დიდი მიხეილ მესხი B4

აინშტაინის წელი B6

MICROSOFT-ი ბრანდიოზულ სარეკლამო კომპანიას იწყებს B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 22 აპრილი, 2005 წელი. №91 (951) — ფასი 50 თეთრი

თვალსაზრისი

საზოგადოების ღირსება და ღირებულებები

გერმანულ ენაზე გამოიცა დათო მაღრაძის ლექსების წიგნი - "salve", რომლის პრეზენტაციაც გაიმართა გოეთეს ინსტიტუტში და სექტემბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგება. ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია პოეტი დათო მაღრაძე. გთავაზობთ მის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მის ახალ ლექსს.

B1

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ღია საზოგადოება - საქართველო

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

გაზეთი "24 საათი"

A8

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	22/4	23/4	24/4
თბილისი	24	27	26
ქუთაისი	26	26	21
ბათუმი	21	23	19
სოხუმი	26	26	16
ფოთი	24	26	19
თელავი	24	26	24
ზუგდიდი	27	28	19
გორი	22	19	22
ახმეტა	24	26	26
ჭიათურა	23	23	21
გაგრა	24	22	19
სამტრედია	25	26	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.3871
ბირვანქა სტერლ.	3.4909
რუბლი	0.0659

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
საზოგადოება	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
ეკონომიკა	A6	სხვადასხვა	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

არ არის გაზეთი, არ არის პრობლემა

კრიტიკული სტატიის გამო, კახეთის ქსელში "24 საათის" გავრცელება შეზღუდეს

კახეთში პირველი შემთხვევა არ არის, როცა კრიტიკული საგაზეთო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამო ქსელიდან გაზეთის ტირაჟს იღებენ. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გაზეთი "24 საათი" კახეთის პრესის სავაჭრო ქსელიდან უკვე მესამედ ამოიღეს, ხოლო კახეთის რეგიონული გაზეთი "სპექტრი" - პირველად. გუშინ ამ საკითხს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის წარმომადგენლობამ სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

საქართველოს კონსტიტუციის ოცდამეოთხე მუხლის თანახმად, **"ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად ან სხვაგვარი საშუალებებით. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება."**

თელავში კი კონსტიტუციაზე მეტად, დაუწერელი კანონი მოქმედებს. 19 და 20 აპრილს კახეთის რეგიონულ გაზეთ "სპექტრში" და "24 საათში" გამოქვეყნებული პუბლიკაციების გამო, გაზეთები საგაზეთო ჯიხურებიდან გააქრეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" კახეთის ოფისის წარმომადგენლებისა და სტატიების ავტორის პრესკონფერენცია თელავში.

აფხაზეთში შეიძლება საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები დაკანონდეს

აფხაზეთის ახალი ხელისუფლება, პირველ რიგში კი, პრეზიდენტი ბაგაფში, აცხადებს, რომ მზადაა საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილოს. სოხუმში ამბობენ, რომ ჯერჯერობით, ეკონომიკა ერთადერთი თემაა, რასაც ისინი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მაგიდასთან განიხილავენ. დღეს საქართველოსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა მხოლოდ დეკლარაციებისა და პოლიტიკური განცხადებების დონეზეა. თუმცა, გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ აფხაზეთში საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები ოფიციალურად დაკანონდეს.

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

უახლოეს ხანებში დაგეგმილია ენგურის ხიდთან საბაჟო პოსტების გამართვა, რაც აფხაზეთის ხელისუფლებას საქართველოს საზღვართან მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გაკონტროლების საშუალებას მისცემს. აქამდე, კონფლიქტური სიტუაციის გამო, საქართველოსთან საზღვარი გადაკეტილი იყო. შესაბამისად, ეკონომიკური ურთიერთობის არავითარი ფორმა არ არსებობდა. რეალურად, საზღვარი მხოლოდ მოსახლეობის, განსაკუთრებით, გალის რაიონის მცხოვრებთა გადაადგილებისთვის იყო ღია.

საკმაოდ შთამბეჭდავია საქონელბრუნვაც, რომელიც ასევე ამ საზღვრის მეშვეობით ხორციელდება. საქართველო-აფხაზეთის საზღვრის მეშვეობით განხორციელებული საქონელბრუნვის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა, აფხაზეთის ბაზარზე არსებული "იმპორტული" სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი სწორედ ქართული წარმოებისაა. იგივე ვითარებაა სასაქონლო ბაზარზეც - ტანსაცმელი და მთელი რიგი სხვა პროდუქცია აფხაზეთში სწორედ საქართველოდან შემოდის. აფხაზეთიდან საქართველოში კი, ტრანზიტის მეშვეობით, გადის ბენზინი და სიგარეტი.

ვინაიდან ოფიციალურად ეკონომიკური ურთიერთობები არ არის, ეს საქონელბრუნვა ყოველგვარი

გაგრძელება A3 გვერდზე

ნატო-ს არაფორმალური შეხვედრა ლიტვაში

A5

სახალხო დამცველი მაღალი თანამდებობის პირებს უტევს

ოპოზიცია - სახალხო დამცველს

გიორგი ასანიშვილი

სახალხო დამცველი ხმამაღლა ასახელებს იმ თანამდებობის პირებს, ვინც უფლებამოსილებას გადაამეტა და ამით კანონი დაარღვია. სოზარ სუბარის "შავ სიაში" არიან: ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა კოპაძე, გორის რაიონის გამგებელი ნუგზარ პაპუნაშვილი, წალკის რაიონის პოლიციის უფროსი ზურაბ ქეშელაშვილი...

2004 წელს გაწეული მუშაობის შესახებ პარლამენტში საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას, ომბუდსმენმა არა მხოლოდ ცალკეულ მაღალჩინოსან პერსონებს შეუტია, არამედ ხელისუფლების მიერ ფართოდ რეკლამირებული სტრუქტურის წარმომადგენლებიც გააკრიტიკა.

"საპატრულო პოლიცია ხშირად უმიზეზოდ იყენებს ძალისმიერ მეთოდებს... ვინაიდან პატრულის რეიტინგი მაღლა იწევდა, მისი შენარჩუნების მიზნით, სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმე, რომელშიც საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა გვარები ფიგურირებდა, არასწორი მიმართულებით წარიმართა," - სოზარ სუბარს არ მორიდებია, რომ ხელისუფლებისთვის საამაყო უწყება უარყოფით კონტექსტში მოეხსენებინა.

სახალხო დამცველი განსაკუთრებით მწვავედ პენიტენციარულ სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე რეაგირებს.

"მაშინ, როდესაც საკნები პატიმრებით არის გადაჭედილი, არის ისეთი "კამერებიც", რომლებშიც ცალკეული პრივილეგირებული ტუსაღები იმყოფებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

კერძო არბიტრაჟის გაუქმება ბიზნესის განაწყენების საფუძველი ხდება

დიანა ჩაჩუა

საგადასახადო კოდექსის მიღების პერიოდში მთავრობის წარმომადგენლებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ, რომ კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი მეწარმეებს გამკაცრებული ადმინისტრირებისაგან დაიცავდა და მას კოდექსის ყველაზე პროგრესულ ნორმას უწოდებდნენ. თუმცა, კოდექსის შემოღებიდან, სულ რაღაც, ოთხ თვეში მთავრობა მიხვდა, რომ გადაწყვეტილება არბიტრაჟის შემოღებასთან დაკავშირებით, მცდარი იყო. ხელისუფლებამ პარლამენტს არბიტრაჟის ინსტიტუტის ამოქმედების 2008 წლამდე გადავადება სთხოვა. პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა მთავრობის ეს თხოვნა მოიწონა. უფრო მეტიც, საგადასახადო კოდექსში არბიტრაჟის საერთოდ გაუქმების ინიციატივით გამოვიდა. პარლამენტმა მთავრობის ის თხოვნაც გაითვალისწინა, რომელიც აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას ითვალისწინებდა. ამიტომ, დღეის ნაცვლად, საკითხის განხილვა პლენარულმა სხდომამ გუშინ დაიწყო. შედეგად, საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში არბიტრაჟთან დაკავშირებით ცვლილებები შეიტანა და კოდექსიდან ის მუხლი ამოიღო, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ საგადასახადო დავების განხილვას ითვალისწინებდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

კურიოზი პარლამენტში

საპარლამენტო უმრავლესობას საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა კანდიდატურების განხილვისას კურიოზი შეემთხვა. გუშინდელ სხდომაზე უმრავლესობის წევრებს ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა კანდიდატების 18-კაციანი სიის ნაცვლად, ცხრაკაციანი სია დაურიგეს.

პარლამენტში გავრცელებული ინფორმაციით, დაშვებული შეცდომის წყალობით, დამსწრეებს სწორედ იმ კანდიდატთა გვარები გააცნეს, ვისაც უმრავლესობა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მხარს დაუჭერს.

უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ შეცდომის გამოსწორება ბოდიშის მოხდით სცადა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, უმრავლესობამ, დამსწრეთა თვალის ასახვევად, სხდომაზე სიის კიდევ რამდენიმე, შერეული ვარიანტი დაარიგა.

სიის პირველი ვარიანტი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ შეცდომით დაარიგა, ასე გამოიყურებოდა: ნინო ანანიაშვილი, ვახტანგ-გიორგი ბაბუნაშვილი, ლევან თარხნიშვილი, ფრიდონ თოდუა, თამარ კინწურაშვილი, გია ნოდია, ალექსანდრე რონდელი, გიორგი ჭირაქაძე და მამუკა ხერხეულიძე.

სავარაუდოდ, სწორედ ესენი გახდებიან საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრები.

თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობამ, ინციდენტის შემდეგ, საზოგადოებრივი ტელევიზიის 18-კაციანი საბჭოს ყველა წარმომადგენელი სათითაოდ განიხილა.

ინტერ-პრესი

მოწვევა საფრანგეთის პრეზიდენტს

2005 წლის 2 მაისს საქართველოში საფრანგეთის ელჩს 3000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქის კოლექტიური წერილი გადაეცა. მოქალაქეთა დიდი ჯგუფი საფრანგეთის ხელისუფლების (რომელმაც 1921 წელს საქართველოდან დევნილი მთავრობა შეიფარა) და საფრანგეთის დღევანდელი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის (რომელმაც სალომე ზურაბიშვილის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაზე თანხმობის მიცემით ჩვენი ქვეყნისადმი თავისი კეთილგანწყობა გამოავლინა) მიმართ მადლიერება გამოხატა და საფრანგეთის პრეზიდენტი, მსოფლიო დიპლომატიაში უპრეცედენტო ფორმით, სახალხო მოწვევით საქართველოში მოიწვია, რათა საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობა დღესაც, რთულ და საპასუხისმგებლო პერიოდში, ჰარმონიულად განვითარდეს.

საქართველოს მოქალაქეთა სწორედ ამ 3000-იანი რიგებიდან საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც ბოლო პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით ქვემოთ მოყვანილი წერილი გაზეთის რედაქციას მოგვაწოდა და გამოქვეყნება გვთხოვა.

1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს, 4 საათსა და 50 წუთზე საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დამოუკიდებლობამ 3 წელს გასტანა. 1921 წლის 12 თებერვლის რუსეთის ინტერვენციას წინ უსწრებდა რუსეთის მთავრობისადმი ე.წ. "საქართველოს მშრომელთა მოთხოვნა"; "მშრომელთა მოთხოვნის" ინსცენირება განახორციელა "შულავერის" მთავრობამ, რომელიც დაკომპლექტდა კრემლში (ფილიპე მახარაძე - თავმჯდომარე; მამია ორახელაშვილი; შალვა ელიავა; საშა გეგეჭკორი და სხვა). რუსეთის მე-11 წითელ არმიას საქართველოს დასაპყრობად წინ სერგო ორჯონიკიძე მოუძღოდა. 15 თებერვალს საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა სახალხო კომისარმა და ბოლშევიკური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა იოსებ (სტალინი) ჯუღაშვილმა, ლენინის თანხმობით, ბაქოში სერგო ორჯონიკიძეს ქართულად დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა: "ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი". ეს ადამიანები დაბადებული იყვნენ საქართველოში!

87 წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ საქართველოში დაბადებული ზოგიერთი "ქართველი" ძველ სცენარს იმეორებს: კვლავ იგეგმება არეულობა ქვეყნის შიგნით.

ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეშია გამოცდილი ფრანგი დიპლომატი და ქართველი ქალი - ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილი და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილიას თანამებრძოლის, "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", "ქართული "დრამატული საზოგადოების", 1918 წლიდან საქართველოს სენატის წევრის ივანე ზურაბიშვილის შვილიშვილი. მისი ერთ-ერთი ვაჟი ლევან ზურაბიშვილი (ქ-ნი სალომეს მამა) საფრანგეთში "ფორდის" ფინანსურ საქმეთა მმართველი, უაღრესად განათლებული და კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. 15 წლის მანძილზე ის იყო ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი საფრანგეთში.

ბ-ნმა ლევანმა და მისმა მეუღლემ ქ-ნმა ზეინაბმა შვილები - სალომე და ოთარი აღზარდეს ქართულად (პროფესიით ექიმი - ოთარი, რომლის სახელსაც უკავშირდება 70-იან წლებში "ჰელსინკის ჯგუფის" ჩამოყალიბება პარიზში). ასწავლეს და შეაყვარეს ქართული ენა, ქართული ადათ-წესები. შეიძლება ითქვას, რომ პარიზის ქართულ ემიგრაციაში ეს ერთადერთი ოჯახია, სადაც მეოთხე თაობაც კი (ქ-ნი სალომეს შვილები) ქართულად გამართულად ლაპარაკობენ.

სალომე ზურაბიშვილმა დაამთავრა პარიზის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 21 წლის ასაკში გაგზავნილ იქნა იტალიის კონსულად. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა აშშ-ში, ბელგიაში, აფრიკაში.

1998 წლიდან 2001 წლამდე იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა განყოფილების გამგე, ხოლო 2001 წლიდან საქართველოში ჩამოსვლამდე - ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი. არის საპატიო ლეგიონის კავალერი (ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარისაგან მინისტრ ზურაბიშვილის გვარის არცოდნა მოწმობს ორმაგ უვიცობას: 1. თავის ქვეყნის უახლესი ისტორიის არცოდნას და 2. მან არ იცის, რა გვარია მინისტრი, რაც უთუოდ მის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქ-ნი სალომეს პროფესიონალიზმზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ ჰარმონიულად ჩაიწერება საქართველო "მსოფლიო თანამეგობრობაში".

ს. ზურაბიშვილი საქართველოს დიპლომატიურ სივრცეში "უმაღლესი ლიგის" დიპლომატია. ის "უმაღლესი ლიგის" დიპლომატია და არა "უმაღლესი ლიგის საქმოსანი". მისი ცოდნა და ენერგია არ უნდა იხარჯებოდეს ინტრიგათა კვანძების გახსნაზე. მეტადრე, თუ ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური იმიჯი ილახება.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, სრულ მხარდაჭერასა და ნდობას ვუცხადებთ ქ-ნ სალომეს, მის ცოდნასა და გამოცდილებას. მიგვაჩნია, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: პარლამენტმა - კანონშემოქმედებაში იღვაწოს, მეწარმემ - სამეწარმეო საქმეში და ა.შ.

დღეს საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია მოხდეს ამერიკისა და ევროპის ინტერესების დაბალანსება. ამდენად, საფრანგეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, როგორც პრაგმატულად, ასევე ევროპულ ფასეულობათა დამკვიდრების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უპირველესი ამოცანაა.

ასეთია საზოგადოების პოზიცია, რასაც მოწმობს სპონტანურად, ერთი ამოსუნთქვით და ერთ კვირაში შეგროვილი ხელმოწერები.

საბედნიეროდ, სამოქალაქო საზოგადოება არსებობს და არავის მისცემს უფლებას, კიდევ ერთხელ შეარყიოს ჩვენი ქვეყნის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე.

საინიციატივო ჯგუფი

პირველი საერთაშორისო ჰოსპიტალი ქუთაისში შენდება

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ლადო ჭიპაშვილი ახალმშენებლობაზე.

1 სექტემბერს ქუთაისში მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამართული სამედიცინო დაწესებულება გაიხსნება. აკადემიკოს ზურაბ ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის მშენებლობა ქუთაისში უკვე დაწყებულია. მშენებარე ობიექტი 21 აპრილს ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მოინახულა.

"ის, რაც აქ კეთდება, უპრეცედენტო მოვლენაა. ეს იქნება პირველი საერთაშორისო ჰოსპიტალი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც გადაწყვეტს დასავლეთ საქართველოში მძიმე ავადმყოფების მკურნალობის პრობლემას, ანუ არც ერთი ჩვენი მოქალაქე აღარ იქნება იძულებული, დასავლეთ საქართველოდან წავიდეს დედაქალაქში", - აცხადებს ლადო ჭიპაშვილი "24 საათთან" საუბარში.

ხუთსართულიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობა ქუთაისში ცენტრალური ბიუჯეტისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება. მინისტრის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული ცენტრისთვის ყოველწლიურად მილიონი ლარი გამოიყოფა. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის პარალელურად, იმავე ტერიტორიაზე პერენატალური ცენტრის გახსნაც იგეგმება, რომელიც ორსულთა პათოლოგიებისა და ახალშობილთა მკურნალობით იქნება დაკავებული. პერენატალური ცენტრი და ქუთაისის N1 სამშობიარო სახლი თავს ერთ შენობაში მოიყრის და მათ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა-გარემონტების ხარჯებს მსოფლიო ბანკი გაიღებს.

დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ფუნქციონირება ქუთაისში არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ ეკონომიკური კუთხითაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტებით გათვლილი არანაირი მშენებლობა არ განხორციელებულა.

"ეს ცენტრი ქუთაისისთვის იქცევა სერიოზულ ეკონომიკურ ობიექტად, რადგან ამ საავადმყოფოში თანხის ბრუნვა ყოველწლიურად 10-12 მილიონზე მეტი იქნება," - აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი.

დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში მკურნალობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება. მასში თავს მოიყრის დიაგნოსტიკური განყოფილება, ზოგადი ქირურგიისა და სასწრაფო ქირურგიის განყოფილებები, ასევე - კატასტროფის სამსახურის ქუთაისის ფილიალი, რომელიც შესაბამისი ავადმყოფების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან.

"კლინიკა 100 პაციენტისთვისაა განკუთვნილი. ყველას უჩნდება ეჭვი, რომ ასეთი დონის კლინიკები იქნება მხოლოდ ელიტისთვის. პირიქით, ეს არის პრეზიდენტის და მინისტრის საჩუქარი უმწეოთათვის. აქ იმუშავებს რეფერალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სამედიცინო მომსახურება იქნება უფასო, ოღონდ მხოლოდ იმ ხალხისთვის, ვინც რეფერალურ დიაგნოზში მოხვდება. მაგრამ თუ გეგმიური ოპერაცია გაკეთდა, თანხას შიდა სტანდარტით გადაიხდიან. ცხადია, დიაგნოსტიკაც ვერ იქნება უფასო, რადგან აქ მილიონიანი აპარატურა იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენი პაციენტების 80 პროცენტი იქნება უმწეო ხალხი," - აცხადებს "24 საათთან" საუბარში აკადემიკოს ზურაბ ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი კახა ნურალიძე.

მინისტრის თქმით, თანამედროვე სტანდარტებით გამართულ სამედიცინო ცენტრში მედპერსონალიც მაღალკვალიფიციური იქნება. უკვე შერჩეულია ძირითადი ბირთვი, ექიმთა თხუთმეტკაციანი ჯგუფი, რომლებიც პროფესიულ გადამზადებას საზღვარგარეთის კლინიკებში გაივლის.

"ასევე, პირველ ხანებში, წელიწადნახევრის განმავლობაში აქ მუდმივად ივლიან უცხოელი პროფესორები, რომლებიც ზოგადად, ორგანიზებას გაუწევენ სამკურნალო პროცესს და იმავდროულად დაკავებული იქნებიან ქართველი ექიმების სპეციალიზაციის ამაღლებით," - აცხადებს ლადო ჭიპაშვილი.

ექიმთა დანარჩენი კონტინგენტის შერჩევა აგვისტოს თვეში იგეგმება. მანამდე კი ჯანდაცვის მინისტრი ქუთაისში სხვა სამედიცინო დაწესებულებებში გეგმავს საკადრო ცვლილებებს. სპეციალური კომისია უკვე ამზადებს დასკვნას იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში არსებული დარღვევების თაობაზე, რომელსაც, მინისტრის თქმით, მთავარი ექიმის თემურ ჩეჩელაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვება. საკადრო ცვლილებების აუცილებლობას მინისტრი ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეფორმით ხსნის, რასაც სამედიცინო დაწესებულებებში ახლებური მენეჯმენტი სჭირდება.

ჩატარდა თუ არა "აღორძინების" ყრილობა მოსკოვში?

"დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ოფიციალურად კვლავაც არსებობს. პარტიას რეგისტრაცია შესაძლოა, ყრილობის ჩაუტარებლობის გამო შეუწყდეს. ასლან აბაშიძემ კი შეიძლება მართლა გამოაგზავნოს შოკოლადები - "მე დავბრუნდები".

ნატა ცივაძე
ბათუმიდან

რევოლუციის შემდეგ საქართველოში გაქრა "აღორძინების" დროშები და სხვა სიმბოლოები. აღარ ითვლება მოდურად ცისფერი ტონები და არწივები. ამ ყველაფერს აღარც ე.წ. "აღორძინების ავტობუსები" გვახსენებენ. ახლა ყვითელი, კიევური ავტობუსებია მოდაში. სულ რაღაც ერთ წელიწადში ასლან აბაშიძე არა, მაგრამ მისი "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ყველას დაავიწყდა. მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც ამ პარტიის წევრებად ითვლებოდნენ.

პარტიის ოფიციალური მონაცემებით, "აღორძინების კავშირს" აჭარის გარეთ 220 ათასამდე წევრი ჰყავდა. ამ ადამიანებს ახლა პარტიის დატოვება ოფიციალურადაც რომ მოუნდეთ, ვერ შეძლებენ. იგივე ითქმის პარტიაში გაწევრიანების მსურველებზე. ისინი ვერ იპოვიან პარტიის ვერც ერთ ფუნქციონერს. "აღორძინებას" საქართველოში არც ერთი ოფისი აღარ აქვს.

ბათუმის ცენტრში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ქუჩაზე, სადაც "აღორძინების" ოფისი იყო, მალე ბათუმის საგადასახადო სამსახური გადავა. თუ გადაწყვეტთ ამ შენობას სურათი გადაუღოთ, მეზობლებს ძალიან გაუკვირდებათ და მორიდებით გეტყვიან, რომ ამ სახლს არავითარი მხატვრული და ისტორიული ღირებულება არ აქვს. თუ "აღორძინებას" უხსენებთ, გეტყვიან, რომ პარტია რევოლუციის შემდეგ აღარ არსებობს. "აღორძინების" ყოფილი ოფისის მეზობლები ამბობენ, რომ ბოლო 4-5 წელია ეს ოფისი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა: **"აქ პარტიის ლიდერები არ მოდიოდნენ, მოდიოდა მხოლოდ ოსიკო გვარიშვილი (აღორძინების გენერალური მდივანი), ჰყავდა ერთი მდივანი და ჩვენ, ყველამ ვიცოდით, რომ რაღაც წიგნს წერდა."**

"აღორძინების" პარტიული ლიდერები ასლან აბაშიძის რეზიდენციაში იკრიბებოდნენ. მათ სხვა, ე.წ. "აღორძინების შტაბიც" ჰქონდათ გოგებაშვილის ქუჩაზე. იმ კეთილმოწყობილ შენობაში ახლა აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიაა.

ასლან აბაშიძე, რომელმაც პარტია დააარსა, ახლა მოსკოვშია. საქართველოში დარჩენილი "აღორძინების" ყველაზე ცნობილი სახეები ამბობენ, რომ პოლიტიკას ჩამოშორდნენ და პარტიაზე საუბარი არ სურთ. თემურ მეგრელიშვილი, რომელიც "აღორძინების" პოლიტიკური მდივანი იყო, ამბობს, რომ პარტიის შესახებ არაფერი იცის და არც აინტერესებს. მან არ იცის, ვის შეიძლება მიმართონ თანაპარტიელებმა, თუ პარტიის დატოვება სურთ: **"მე სხვა საკითხებით ვიყავი დაკავებული და ორგანიზაციული დეტალები არ ვიცი."**

უფრო ხანმოკლეა საუბარი როსტომ ჯაფარიძესთან. ის ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ქობულეთის მაჟორიტარად "აღორძინებამ" წარადგინა. გაიმარჯვა, თუმცა პარლამენტში არ გამოცხადებულა და მისი უფლებამოსილება არ უცვნიათ. პარტიაზე ახლა ჯაფარიძემაც არაფერი იცის.

უფრო თავისუფლად უდგება საკითხს ჰამლეტ ჭიპაშვილი. **"პარტიას რეგისტრაცია არ შეწყვეტია, ოფიციალურად არსებობს, მაგრამ რეალურად - არა."** კითხვაზე, არის თუ არა კვლავ "აღორძინების" წევრი, იცინის: **"ფაქტობრივად არ არის პარტია და აბა საიდან?"** ჰამლეტ ჭიპაშვილი ახლა ამბობს, რომ "აღორძინება" ერთი კაცის პარტია იყო, **"ისევე, როგორც პარტიების უმრავლესობა საქართველოში. არ არის საიდუმლო, რომ "აღორძინებაში" იყო ცენტრალიზმი. რასაც ითხოვდნენ ზემოთ, ისე წყდებოდა ყველაფერი".** მას არ ახსენდება, ჩატარდა თუ არა "აღორძინების" ყრილობა 1998 წლის შემდეგ: **"ერთია, რომ მე არ მახსოვს, მაგრამ მეორეა, როგორ არის ეგ გაფორმებული. შეიძლება დოკუმენტებით ყოველ წელიწადს იყო ყრილობა. შეიძლება სხვა წევრებს ახსოვთ."**

1998 წლის შემდეგ ყრილობა არც საზოგადოებას და არც პარტიის სხვა ყოფილ წევრებს ახსოვთ. საქართველოს ორგანული კანონით პოლიტიკური პარტიების შესახებ, ყოველი პარტია ვალდებულია, არანაკლებ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს ყრილობა. საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი გელბახიანი, რომელმაც "აღორძინება" ერთ წელზე მეტია დატოვა, ამბობს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ პარტია ხელახალ რეგისტრაციას არ გაივლის, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს. ზოგიერთი იურისტი ფიქრობს, რომ ვადების დარღვევა, თუ პარტია, იუსტიციის სამინისტროს გაფრთხილების მიუხედავად, ხარვეზს არ აღმოფხვრის, შეიძლება პარტიის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდეს.

"აჭარის აღორძინების კავშირი" 1992 წელს შეიქმნა და დამფუძნებელ კონფერენციაზე თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ასლან აბაშიძე. 1995 წელს მას "საქართველოს აღორძინების კავშირი", 1997 წელს კი "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ეწოდა. პარტიის ბოლო, მე-5 რიგგარეშე ყრილობა 1998 წლის ივნისში ჩატარდა.

ყრილობის ჩაუტარებლობის გამო, "აღორძინებას" პრობლემები არასოდეს შექმნია, ვთქვათ - წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელშიც მონაწილეობის უფლება უკვე აღარ ჰქონდა. არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და არც იუსტიციის სამინისტროს ეს არ "გახსენებიათ".

კანონში არაფერია ნათქვამი, სად შეიძლება ჩატარდეს პარტიის ყრილობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტიის წარმომადგენლობითი ორგანო შეიძლება სხვა ქვეყანაშიც შეიკრიბოს, მაგალითად, მოსკოვში, სადაც "აღორძინების კავშირის" თავმჯდომარე - ასლან აბაშიძე და მისი გარემოცვა იმყოფება. მოსკოვში შესაძლოა ჩატარდა კიდეც ყრილობა, მაგრამ საქართველოში ამის შესახებ არაფერია ცნობილი.

საქართველოში არავინ იცის, ან არ ამბობს, რა ბედი ეწია "აღორძინების პარტიის" ბალანსზე არსებულ ქონებას, ან რა ქონება ჰქონდა პარტიას. თუმცა "აღორძინება" საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის ყოველთვის ყველაზე სოლიდური ბიუჯეტის მქონედ ითვლებოდა.

რას აკეთებს ასლან აბაშიძე მოსკოვში? - ამის შესახებ ინფორმაციები საქართველოში არ არსებობს. სამაგიეროდ, ბოლო დროს ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შოკოლადების ფირმა "Красный Октябрь"-მა, რომელიც ასლან აბაშიძემ შეისყიდა, ახალი შოკოლადი გამოუშვა. მისი სახელწოდებაა "Я вернусь". შოკოლადი საქართველოში არავის უნახავს, მაგრამ მის შესახებ თითქმის ყველას სმენია...

ორი სიტყვით

თბილისი. უახლოეს დღეებში საქართველოს ეუთო-ში ახალი ელჩი ეყოლება. გუშინ უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი, ვინ შეცვლის ამ თანამდებობაზე გიგა ბურდულს. საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს გიგა ბურდულის შემცვლელად ვიქტორ დოლიძის კანდიდატურა შესთავაზა. ამჟამად ვიქტორ დოლიძე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორია. მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. **ინტერ-პრესი**

თბილისი. შვეიცარიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გომიაშვილი გახდება. პრეზიდენტმა ოფიციალური წერილით მიმართა პარლამენტს, რათა გიორგი გომიაშვილი შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს ელჩად და ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნოს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. ქართველმა სტუდენტებმა რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმართებაში წარმოებული პოლიტიკა გუშინ კიდევ ერთხელ გააპროტესტეს და სიმბოლურად, ენგურის ხიდთან რუსული ჩექმა დაწვეს.

აქცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური მოძრაობის "სტუდენტური კლუბის" ინიციატივით გაიმართა. მასში მონაწილეობა თბილისიდან ჩასულმა სტუდენტებმა და უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის წარმომადგენლებმა მიიღეს.

"დროა, საქართველო საბოლოოდ გათავისუფლდეს რუსული ჩექმისგან," - აცხადებდნენ სტუდენტები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო ბაზების გაყვანას მოითხოვდნენ. "სტუდენტური კლუბის" ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი მეგრელიშვილის თქმით, საქართველოდან რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანის მოთხოვნით აქციები პერმანენტულად გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

თბილისი. მოძრაობა "წინ საქართველო" ამერიკის პრეზიდენტს მოუწოდებს, საქართველოში ვიზიტის პერიოდში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან შესახვედრად დრო გამონახოს და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მათი აზრი მოისმინოს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე მოძრაობის საგარეო ურთიერთობათა კოორდინატორმა გიორგი კობახიძემ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. აჭარის უზენაესი საბჭოს უმრავლესობის წევრები, "გამარჯვებული აჭარის" 26-ვე დეპუტატი თბილისში დაიბარეს.

ისინი შეხვედრას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და პარტიის ხელმძღვანელობასთან გამართავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატების თბილისში ჩამოყვანის მიზეზი ავტონომიის უზენაეს საბჭოს უმრავლესობიდან ფრაქციის მდივნის ხათუნა სამნიძის გარიცხვა გახდა. თავად დეპუტატების თქმით, ისინი პრეზიდენტთან აჭარაში არსებულ პრობლემებზე, განსაკუთრებით კი, განსახლების საკითხზე იმსჯელებენ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სახალხო დამცველი მაღალი თანამდებობის პირებს უტევს

ომბუდსმენის კრიტიკული გამოსვლით ისარგებლა ოპოზიციამ და სხდომათა დარბაზში კვლავ აყალმაყალი ატყდა.

პირველი გვერდიდან

"ქურდული კამერები", თითქოს, მოიშალა, მაგრამ ფორმალურად - მხოლოდ ნუმერაცია შეიცვალა და ანალოგიური საკნები სხვაგან მოეწყო," - აცხადებს სოზარ სუბარი.

ომბუდსმენი მასმედიაში დღეს შექმნილ მდგომარეობასაც მიმოიხილავს და ასეთ დასკვნას აკეთებს: **"შევარდნაძის დროს მედია-მფლობელები და ჟურნალისტები ერთად უპირისპირდებოდნენ არსებულ ხელისუფლებას, დღეს კი სხვაგვარი სიტუაციაა: მედია-მფლობელები ხელისუფლების გვერდით დადგნენ, ჟურნალისტები კი ცალკე დარჩნენ."**

სოზარ სუბარი ჟურნალისტების სოციალურ დაუცველობაზეც საუბრობს და ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ მედია-მფლობელებს ჟურნალისტებთან კონტრაქტები არა აქვთ გაფორმებული.

რაც შეეხება ომბუდსმენის მიერ ფინანსთა მინისტრის კრიტიკას, იგი შემდეგმა ფაქტმა განაპირობა: სახალხო დამცველის ოფისში მოშიმშილე ინვალიდებმა უზენაეს სასამართლოში საქმე მოიგეს და ფინანსთა სამინისტროს მათთვის 600 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა, მაგრამ ვალერი ჩეჩელაშვილი აცხადებს (თანაც, წერილობით!), რომ ვიდრე "ინვალიდთა ლიგის" მიმართ სისხლის სამართლის საქმე იქნება აღძრული, თანხის გადახდა არ მოხდება.

"ფინანსთა მინისტრს არ ჰქონდა უფლება, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება მოეხდინა," - ჩეჩელაშვილის მიერ კანონის დარღვევას ადასტურებს სოზარ სუბარი.

მისი გამოსვლის ეს ფრაგმენტი "მემარჯვენე ოპოზიციამ" უმალ აიტაცა და ვალერი ჩეჩელაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება მოითხოვა. მთლიანობაში კი, დავით გამყრელიძე და მისი თანაფრაქციელები სახალხო დამცველის ანგარიშით უკმაყოფილონი დარჩნენ. ომბუდსმენს ისინი, ძირითადად, იმის გამო საყვედურობდნენ, რომ მის გამოსვლაში მესაკუთრეთა უფლებების დაცვის საკითხს მხოლოდ 10 "პწკარი" დაეთმო.

"ადრე ხალხს იტაცებდნენ და გამოსასყიდ ფულს სძალავდნენ, ახლა კი ძალოვანები მათ იჭერენ, ციხეში სვამენ და ოფიციალურად ძარცვავენ," - აცხადებს დავით გამყრელიძე და იქვე დასძენს, რომ დაპატიმრებულ ადამიანებს და მათ ახლობლებს აიძულებენ, ფული არმიისა და სამართალდამცავი სტრუქტურების განვითარების ფონდებში გადარიცხონ.

გუშინ "მემარჯვენეების" მთავარ სამიზნეს, სოზარ სუბარზე მეტად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენდა - ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი დეტალურად მოუყვა დეპუტატებს, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ორხევში როგორ სცემა სამხედრო მოსამსახურეებს, როგორ მოკლა იარაღით ერთ-ერთი ჯარისკაცის "ოთხფეხა ძაღლი"...

"ოქრუაშვილი პროგრამაში რომ გყავთ, კი ვხედავ, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ თავდაცვის მინისტრი სათანადო პასუხს გაგცემთ," - მოვლენების შესაძლო განვითარება კარგად განჭვრიტა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

თუმცა, ვიდრე "მემარჯვენეები" თავად ოქრუაშვილისგან მიიღებენ პასუხს, დავით გამყრელიძესა და მის თანაგუნდელებს გიგა ბოკერია უბრუნებს ხურდას.

"დავით გამყრელიძის გამოსვლა ცინიზმით იყო სავსე... გინდოდათ, რომ სახალხო დამცველი თქვენი პოლიტიკური აქტივისტი ყოფილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის... როდესაც დავით გამყრელიძე კახა თარგამაძის ბიზნეს-პარტნიორი იყო, რატომ მაშინ არ გახსენდებოდათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეხუთე სართულიდან ხალხი პანტა-პუნტით ცვიოდა... "მემარჯვენეების" ხელმძღვანელი ქუჩაში გაგონილი ჭორების საფუძველზე სდებს ბრალს ირაკლი ოქრუაშვილს," - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი. გიგა ბოკერია იმასაც შეახსენებს საზოგადოებას, რომ ახლახან, როდესაც პარლამენტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მიდიოდა მსჯელობა, "მემარჯვენეებს" განხილვაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა...

სახალხო დამცველის ოფისის მიერ 2004 წელს გაწეული საქმიანობა პარლამენტმა გუშინ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

"ჩვენ გვახსოვს წინა სახალხო დამცველები და მათ ფონზე, სოზარ სუბარი მაქსიმალურად ასრულებს თავის ფუნქციებს," - ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარის ბესო ჯუღელის ასეთ შეფასებას დეპუტატების დიდი ნაწილი იზიარებს.

დიმიტრი ავალიანის სვეტი

ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის?

რამდენად ჯანსაღი ურთიერთობა აქვს დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოებასთან? მოქალაქეებთან, რომლებმაც მას არჩევნებში მისცეს ხმა, და რომელთა საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯების შესახებ ჩვენ ყოველდღიურად ათასნაირი პიარ-აქციების საშუალებით ვიგებთ?

ბოლო დღეების მოვლენებმა, ამ მხრივ, საკმაოდ შემაშფოთებელი სიმპტომები გამოავლინა. გასაგებია, რომ მთავრობა კერძო არბიტრაჟის არსებობას შეცდომად მიიჩნევს და საგადასახადო კოდექსში შესაბამის ცვლილებებს მოითხოვს. ისიც გასაგებია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს სჭირდება ფული. თუმცა, გაუგებარია ამ ყველაფრის დასაბუთება. არც პრემიერს, არც მინისტრს და არც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს არბიტრაჟის უკანონო, უსამართლო საქმიანობის არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ მოუყვანიათ. დასაბუთება უფრო მარტივი იყო - სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ მეწარმეებმა არბიტრაჟის საშუალებით ბიუჯეტში უკვე გადახდილი თანხები დაიბრუნონ. ამ ყველაფერს ისეთი ტონით ამბობენ, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ სახელმწიფოსათვის დავის მოგება და თანხის დაბრუნება კაცობრიობის წინაშე უდიდესი დანაშაულია, სახელმწიფოს სამართლიანობისა თუ უსამართლობის მიუხედავად.

ექსპერტებისა და ბიზნესმენების მხრიდან ოპონირებას "ხისტი" ნოღაიდელი მარტივად პასუხობს: "არ მაინტერესებს". არც საპარლამენტო უმრავლესობას აინტერესებს, რას ფიქრობენ ოპონენტები ამ საკითხზე. იმიტომ, რომ მათ ეს თანხები "ხალხისთვის სჭირდებათ" და მათ, და მხოლოდ მათ იციან ისიც, თუ რა სჭირდება ხალხს. და ვინც საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, ან პირად ინტერესებს იცავს, ან ძველი ცოდვები აქვს, ან არაკომპეტენტურია, და საერთოდ, რა საჭიროა დისკუსიები?

მთავრობას ასევე არ აინტერესებს, რას ფიქრობენ მოშიმშილე ინვალიდები, რომლებიც სასამართლო პროცესის შედეგად სახელმწიფოსათვის მოგებულ თანხებს ითხოვენ. პასუხი აქაც მარტივია - ამ თანხებს ისინი ვერ მიიღებენ. რატომ? იმიტომ! იმიტომ, რომ ისინი არიან მოქალაქეები, ესენი კი - მთავრობა. იმიტომ, რომ მოქალაქეებს არ შეუძლიათ აიძულონ მთავრობა, მთავრობას კი შეუძლია, როგორც საჭიროდ ჩათვლის, ისე მოექცეს მოქალაქეებს. ლოგიკა ძალიან მარტივია.

სწორედ ამ ლოგიკით ვერაფერს მიიღებს მათი უმრავლესობა, ვინც თავის დროზე სახელმწიფოს სასამართლო პროცესი მოუგო. იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ აიღონ, მთავრობას კი შეუძლია, არ გასცეს. და არ მოუსმინოს არც ექსპერტებს, არც ბიზნესმებებს, არც ქუჩაში მოშიმშილე ხეიბრებს. მას "არ აინტერესებს".

ამგვარი სულისკვეთებით განმსჭვალულია ამჟამად სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლი - რიგითი ჩინოვნიკიდან უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებამდე. პრეზიდენტმა ამას წინათ ბრძანა: "შევარდნაძის დროს საქართველო არ იყო სახელმწიფო. სააკაშვილის დროს საქართველო სახელმწიფოა". შევარდნაძის დროს მთავრობა საზოგადოებას ვერ უბედავდა იმ ტონით ლაპარაკს, როგორიც დღეს მისთვის ჩვეულ სტილად იქცა. ეს, ალბათ, სახელმწიფოს სიძლიერედ უნდა ჩავთვალოთ. როდესაც პარლამენტიც, მთავრობაც და სასამართლოც შენია, არ გყავს ძლიერი ოპოზიცია, მსოფლიოში ახალგაზრდა პერსპექტიული დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯით სარგებლობ, მაშინ ძლიერი ხარ და ვერავინ მოგერევა. რასაკვირველია, ამით უნდა ისარგებლო კიდეც.

მოქალაქეები, საზოგადოება, ოპოზიცია, მეწარმეები? მათ არ იციან, რა სჭირდება ხალხს. და იმათ, ვინც ეს იცის, მათი აზრი არ აინტერესებთ. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. თუ სად მიდის, მათ უკეთ იციან და დისკუსიები საჭირო არ არის. "ძაღლქარავნული" საუბარი საკუთარ მოქალაქეებთან სულ უფრო პოპულარული ხდება.

არ არის გაზეთი, არ არის პრობლემა

პირველი გვერდიდან

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისის ხელმძღვანელობამ აღშფოთება გამოხატა მომხდართან დაკავშირებით. რათა აღნიშნული ორგანიზაცია თავად დარწმუნებულიყო იმაში, რომ გაზეთები ქსელიდან ნამდვილად ამოიღეს, საგაზეთო ჯიხურები და სტელაჟები მისმა წარმომადგენლებმა შეამოწმეს. **"მოგეხსენებთ, რომ 2005 წლის 19 აპრილს, კახეთის რეგიონულ გაზეთ "სპექტრში" დაიბეჭდა ზვიად რუაძის სტატია "სად წავიდა 132 ათასი?", ქვესათაურით "კონტროლის პალატის დასკვნა თელავის გამგებლის წინააღმდეგ", უკვე 21 აპრილს გაზეთ "24 საათში" იმავე ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნდა მორიგი პუბლიკაცია - "გენპროკურატურა კონტროლის პალატის დასკვნით არ ინტერესდება". აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ რატომღაც, სხვა დღეებისგან განსხვავებით, გაზეთები თელავში არსებულ საგაზეთო ჯიხურებში ისე არ გავრცელებულა, როგორც ვრცელდება ყოველდღე. ჩვენ მიერ შემოწმებულ საგაზეთო ჯიხურებში, გამავრცელებლების ინფორმაციით, დღეს "24 საათი" საერთოდ არ შესულა, ან უკვე გაიყიდა, რასაც ირონიით გვეუბნებოდნენ.**

რაც შეეხება ხელმოწერებს, გვაქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული გაზეთები, რატომღაც, მათაც შეზღუდვით მიეწოდათ. მაგალითად, "24 საათი" არ მისვლია თელავის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს, როდესაც იკითხეს მიზეზი, პასუხი იყო შემდეგი: "მცირე ტირაჟით შემოვიდა და ვერ მოხერხდა მიწოდება(?!)."

"მივიჩნევთ, რომ გამომდინარე აღნიშნულიდან, დარღვეულია ინფორმაციის მიღების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება," - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისის ხელმძღვანელი ლელა ტალიური. იურისტების მიერ მოკვლეული მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ "საქპრესის" თელავის ოფისში დილით გამგეობის თანამშრომელმა ვინმე ნუნუმ დარეკა, რომელმაც განაცხადა, რომ "24 საათის" გავრცელება შეეზღუდათ.

პრესკონფერენციას თავად თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი გამოეხმაურა და განმარტა, რომ მისი უწყება ასეთ რამეს არ იკადრებდა და ინფორმაცია უსაფუძვლოა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელის თქმით კი, **"ეს არ არის პირველი შემთხვევა და აღნიშნული ფორმით სიტყვის თავისუფლებასთან ბრძოლა, ინფორმაციის მიღების უფლებასთან ბრძოლა, არანაირად არ შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას."**

ცესკო-ს ახალ შემადგენლობას პარლამენტი მალე დაამტკიცებს

საქართველოს მოქალაქეობა, უმაღლესი განათლება, მინიმუმ სამწლიანი სამუშაო სტაჟი, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი და საზოგადოების მხრიდან ნდობა - ეს ის მოთხოვნებია, რომელსაც კანონმდებლები მომავალი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს უყენებენ.

თამარ მჭედლიშვილი

დღემდე, პარტიული ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები და მათ უკან მდგომი პარტიები ყოველთვის ვაჭრობდნენ ერთმანეთთან და იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც კომისიებში უმრავლესობას ფლობდა. ხშირად ასეთი ვაჭრობა წარმატებით მთავრდებოდა (კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკურ გაერთიანებასთან - "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - დაკავშირებული ამბავი. 1999 წელს მათ წარმატებით ივაჭრეს და "მოქკავშირთან" ხანგრძლივი მოლაპარაკებების წყალობით შვიდპროცენტიანი ბარიერი ოფიციალურად გადალახეს). ვაჭრობა მიდიოდა მაჟორიტარული და ადგილობრივი არჩევნების დროსაც.

ახლა კი მმართველი პოლიტიკური ელიტა გვარწმუნებს, რომ ამ ყველაფერს ბოლო მოეღება და ხელისუფლების მიერ შერჩეული კადრები არჩევნებს ობიექტურად და სამართლიანად, ანუ კანონის დაცვით გამართავენ და თუკი არჩევნები მაინც გაყალბდება, ამაზე პასუხისმგებლობა ავტომატურად ხელისუფლებას დაეკისრება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ახალი კანონით, საკუთარ თანამდებობაზე ექვსი წლის ვადით დაინიშნება. ამას კი, როგორც "ნაცმოძრაობის" ერთ-ერთი გულშემატკივარი, წლების მანძილზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ამჟამად კი აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე აცხადებს, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან კომისიები არ იქნებიან თავიდან ბოლომდე დამოკიდებულები იმაზე, თუ ვის ექნება პარლამენტში უმრავლესობა, რაც მათი დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის.

ბუნებრივია, ყველაზე საინტერესო თავად კანდიდატთა შერჩევის პროცესი იქნება. ჯერჯერობით, აბსოლუტურად გაურკვეველია, ვინ შევა იმ კომისიაში, რომელმაც პრეზიდენტს კანდიდატები უნდა წარუდგინოს.

თუმცა, როგორც პარლამენტში აცხადებენ, სულ მალე გამოცხადდება კონკურსი და მაშინ გაირკვევა ის დეტალები, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე დაამტკიცოს.

აფხაზეთში შეიძლება საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები დაკანონდეს

პირველი გვერდიდან

გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებელის გვერდის ავლით მომდინარეობდა. საქართველოში ბენზინს ისე ყიდიან, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ არავის არასოდეს არც ერთი მანეთი არ გადაუხდია.

რაც შეეხება საქართველოდან აფხაზეთში შემომავალ საქონელს, აქ ვითარება ცოტა სხვაგვარადაა. ცხადია, შემოტანილი საქონლით აფხაზეთის ბიუჯეტი არ ხეირობს. სამაგიეროდ, წვრილი მეწარმეები, რომლებიც საქართველოდან საქონლის შემოტანით არიან დაკავებული, "საბაჟო მოსაკრებელს" პირდაპირ საზღვარზე იხდიან. ეს ფული სხვადასხვა სახელმწიფო ჩინოვნიკების ჯიბეებში გროვდება. გარდა იმისა, რომ ასეთ ეკონომიკას სახელმწიფოსთვის სარგებელი არ მოაქვს, პირიქით, მას ხშირად ბოროტადაც კი იყენებენ.

დღეს აფხაზეთის მთავრობა ცდილობს, მაქსიმალურად გაზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტი სწორედ საბაჟოს მუშაობის გზით. ამ კონტექსტში სავსებით გასაგებია, თუ რატომ გადაწყდა ენგურზე საბაჟო პოსტების გახსნა. ამ პოსტების გახსნა, თავისთავად, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე ეკონომიკური აღებ-მიცემობაა გაჩაღებული.

ცხადია ისიც, თუ რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ამ ღონისძიებას. ჯერჯერობით, ექსპერტები არ აცხადებენ, საბაჟო გადასახადების რა პროცენტი გაივლის ენგურის ხიდზე, მაგრამ, ცხადია, რომ საბიუჯეტო მოგება მცირე არ იქნება.

გარდა ამისა, ხელისუფლებას საშუალება ექნება, უკვე კანონის ფარგლებში შეებრძოლოს საზღვართან მოკალათებულ კანონდამრღვევებს.

საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების აწყობის პერსპექტივას, მით უმეტეს, ამ თემის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ფორმატში განხილვას, აფხაზური საზოგადოება ცალსახად არ აღიქვამს. ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. პირველ რიგში, იგი ახალი ოპოზიციის წარმომადგენლებს არ მოსწონთ. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარი კონფლიქტის სრულ მოგვარებამდე დაკეტილი უნდა იყოს. აფხაზური მხარისთვის კონფლიქტის სრული მოგვარება საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მოცემულ ეტაპზე საქართველოსთან ეკონომიკურმა კავშირმა, შესაძლოა, აფხაზეთის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნას.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის მთავრობაში ფრთხილად საუბრობენ იმაზე, რომ "თუ ეკონომიკური კავშირი არსებობს, მაშინ მისი დაკანონება აუცილებელია."

ამერიკულ წვრთნის ახალი ფაზა

საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში, შაბათს, ახალი ქართულ-ამერიკული "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა" ოფიციალურად გაიხსნება.

საზეიმო ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ამერიკის ელჩი საქართველოში და ქართველი და ამერიკელი უმაღლესი სამხედრო პირები დაესწრებიან. ახალი პროგრამა ქუთაისის მეორე ქვეითთა ბრიგადის 23-ე ბატალიონის სწავლებით დაიწყება. მასში მონაწილეობას 35 წლამდე ასაკის 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს. სასწავლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საბრძოლო უნარ-ჩვევების დახვეწა, ტაქტიკური წვრთნები, მიზანში სროლა, დასახლებულ ტერიტორიაზე ვარჯიშები და ძებნის ხერხების დამუშავება. ცხრაკვირიან წვრთნებს ამერიკელი საზღვაო ქვეითები უხელმძღვანელებენ. ისინი ქართველ სამხედროებს ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მოამზადებენ.

ინტერ-პრესი

ცხინვალის რეგიონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი გადაიდო

ცხინვალის რეგიონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღეისათვის დაგეგმილი ვიზიტი გაურკვეველი ვადით გადაიდო. ნოღაიდელი, ქართული სოფლების მოსახლეობასთან ერთად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტსაც უნდა შეხვედროდა, რომელმაც სტუმრის მიღებაზე უარი განაცხადა. უარის მიზეზი ქართული მხარისთვის გაუგებარია.

"იმისათვის, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად დარეგულირდეს, რასაც ქართული მხარე ყველანაირად ცდილობს, მსგავსი დიალოგების გამართვა აუცილებელია. იმედი მაქვს, ოსური მხარე გაგებით მოეკიდება და ადეკვატურად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და მომავალში მაინც დათანხმდება ქართულ მხარეს მსგავსი შეხვედრის გამართვაზე," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

პრემიერის თქმით, უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კოკოითთან შეხვედრის ახალი თარიღის დასაზუსტებლად და ამ პროცესს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს.

შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, ნოღაიდელმა ცხინვალის რეგიონში ჩასვლისგან თავი შეიკავა. თუმცა, თუ კოკოითთან შეხვედრის ორგანიზება ვერ მოხერხდა, პრემიერი ცხინვალის რეგიონში ჩასვლასა და ქართული სოფლების მონახულებას მაინც აპირებს.

ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის განმარტებით, ცხინვალი თბილისთან მოლაპარაკებათა წარმოებაზე უარს არ ამბობს, თუმცა ნოღაიდელისა და კოკოითის შეხვედრაზე განსახილველი საკითხების წინასწარ შეთანხმებასა და მომზადებას ითხოვს. **"ქართული მხარის წინადადება, ნოღაიდელისა და კოკოითის გაცნობითი შეხვედრის ცხინვალში გამართვის თაობაზე, ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ვთვლით, რომ ამ დონის შეხვედრის მოუმზადებლად გამართვა მიზანშეწონილი არ არის,"** - აღნიშნა ჩოჩიევმა.

ცხინვალის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მურად ჯიოევის განცხადებით, შეხვედრაზე უარის თქმის მიუხედავად, საქართველოს სამთავრობო დელეგაციას კონფლიქტის ზონის ქართული სოფლების მონახულებისას პრობლემები არ შეექმნება და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უსაფრთხოებას რეგიონში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, სავარაუდოდ, ზურაბ ნოღაიდელსა და ედუარდ კოკოითს 2004 წლის 5 ნოემბერს ჟვანია-კოკოითს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის პერსპექტივები უნდა განეხილათ.

24 საათი

ბაზარში ისევ არაჩვეულებრივი ხმაურია

ჭაბა ანანიძე
შორენა ბოგირაიშვილი
ბათუმიდან

გასულ წელს ცენტრალური ბაზრის გადატანა, ზაფხულის ბათუმში მასობრივი გამოსვლების მიუხედავად, უმტკივნეულოდ დამთავრდა. მოვაჭრეები ახლა მისაღებ პირობებში მუშაობენ. ხმაური კი ამჯერად საბითუმო ბაზარში დაიწყეს.

ბონის დასახლებაში საბითუმო ბაზრის მოვაჭრეებმა აქცია გამართეს. ისინი მერიის განკარგულებას აპროტესტებდნენ, რომლის მიხედვითაც მათ ბაზარში ვაჭრობის საათები შეეზღუდათ. სამუშაო საათების შეზღუდვით აჟიტირებულმა მოვაჭრეებმა "აკრძალულ დროს" ჭიშკარი შეამტვრიეს და სავაჭრო ადგილზე მაინც შევიდნენ.

"ყველა ჩვენგანის სურვილია, რომ იმუშაოს ბაზარმა და პურის ფული მაინც ვიშოვოთ. მერიამ განაცხადა, რომ ვაჭრობა ათ საათამდე არისო, მერე სად წავიდეთ?" "რატომ არ ფიქრობენ, რომ ჩვენც არსებობა გვინდა. დღეს დროს გვიზღუდავენ, ხვალ კი საერთოდ აგვიკრძალავენ აქ მუშაობას," - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. სააქციო საზოგადოება "საბითუმო ბაზრის" ხმაურის მიზეზი, როგორც თავად აცხადებენ, ცენტრალური ბაზრის დირექციის ბიზნეს-ინტერესებია. ამიტომაც აქციაზე მისული მერიის წარმომადგენელთა არგუმენტები მათთვის ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდა.

ქალაქის ვიცე-მერი გელა ვასაძე მოვაჭრეებს უმტკიცებდა, რომ საბითუმო ბაზარში საცალო ვაჭრობა მოპირდაპირე მხარეს მდებარე ბონის ბაზარს არაჯანსაღ კონკურენციას უწევს, რაც ავტომატურად ხელს უშლის გარევაჭრობის აღკვეთას.

"ჩვენ ვცდილობთ, ყველას ინტერესები დავიცვათ, თუმცა წესრიგის დამყარება ამ შემთხვევაში არც ისე იოლია, რადგან მოვაჭრეები იმას მოითხოვენ, რაც კანონით აკრძალულია. ერთხელ და სამუდამოდ ამ სისტემაშიც ხომ უნდა დამყარდეს წესრიგი..." - განაცხადა ქალაქის ვიცე-მერმა.

საბოლოოდ, მერიამ ბაზრის დირექციისაგან საცალო ვაჭრობის აღკვეთის პირობა მიიღო. შესაძლოა, მერიამ საბითუმო ბაზრის სხვა ტერიტორიაზე გადატანის გადაწყვეტილებაც მიიღოს.

გახმაურებული დავა გრძელდება

ჟურნალისტებს ხშირად სდებენ ბრალს, რომ გადაუმოწმებელ ან მცდარ ინფორმაციას აქვეყნებენ. რა თქმა უნდა, არც უამისობაა, მაგრამ რატომღაც არავინ ამბობს იმას, რომ ხშირად ჟურნალისტს ოფიციალურად და დოკუმენტურად დასაბუთებულ ტყუილებს აწვდიან. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. "ეი-ბი დეველოფმენთ"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ყოფილი მენეჯერის გიორგი ოკრიბელაშვილის გუშინდელი ბოდიშის მიზეზიც სწორედ ეს არის და, როგორც თვითონვე ამბობს, საზოგადოების გაფრთხილებაა ტერორიზმის საშიშროების შესახებ.

ოთარ ქირია

დავა "საქართველოს თამბაქოს წარმოების" მფლობელებს - ერთი მხრივ, ავთო წერეთელსა და, მეორე მხრივ, მუნა ფირიანს და ჰუსეინ ალის შორის დიდი ხნის წინ დაიწყო, როცა ფირიანმა და ალიმ გაარკვიეს, რომ წერეთელმა მათი აქციების 90 პროცენტი "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" უკანონოდ მიითვისა. თუმცა, ეს მათი განცხადებით, თორემ სასამართლოს ეს არ დაუდგენია.

ნახევარი წლის განმავლობაში გიორგი ოკრიბელაშვილი მუნა ფირიანისა და ჰუსეინ ალის კუთვნილი კომპანიის "ეი-ბი დეველოფმენთ"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობებს ხელმძღვანელობდა. თუმცა, გუშინ იგი ჟურნალისტების წინაშე ერთგვარი აღსარებით წარდგა და მისი ყოფილი დამქირავებლების უკანონო საქმიანობის დეტალებზე ისაუბრა.

"ბოდიშს ვიხდი, რომ ექვსი თვის განმავლობაში ჟურნალისტებს ვაწვდიდი დოკუმენტებს, რომლებიც გაყალბებული ყოფილა. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ხელმძღვანელობა, კერძოდ, ქალბატონი მუნა ფირიანი და სხვები გაყალბებულ დოკუმენტებს მომაწვდიდნენ. ბოდიშს ვიხდი ასევე საზოგადოების წინაშეც, რომელიც "საქართველოს თამბაქოს წარმოებასთან" დაკავშირებულ სკანდალებს უკვე რამდენიმე წელია, ისმენს და სიმართლის მოსმენა დღემდე ვერ შეძლო. კომპანიას, რომელმაც მე დამიქირავა, ხელმძღვანელობს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც უკვე ორიოდ კვირაა, სხვა ორგანიზაციის - "იუთა ჯგუფის" - სახელით მოღვაწეობენ საქართველოში. ასეთი სახეცვლილებებით არსებობენ ისინი საქართველოში წლების მანძილზე. ვიცი, რომ სამსახურის დატოვების შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს კონფიდენციალობა, მაგრამ მეც შეურაცხყოფილი ვარ ამდენი მოტყუებით. ამასთან, ქართველი ვარ და მიმაჩნია, რომ საზოგადოებას უნდა ვამცნო იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ვხედავ. დღემდე ვერ გავარკვიე, ეს ადამიანები არიან ინვესტორები, მტაცებლები, თუ ფულის მრეცხავები. მათ შესახებ უცხოეთის პრესაში არაერთხელ ითქვა, რომ ერაყულ ტერორისტულ დაჯგუფებებთან თანამშრომლობენ. შესაბამისად, თავს ვალდებულად ვთვლი, გავაფრთხილო უშიშროების სამსახურები - დაინტერესდით ამ ადამიანებით და ჯგუფით?!" - აცხადებს გიორგი ოკრიბელაშვილი.

დიდი დრო იმაზე, რომ მეორე მხარის კომენტარი მოგვეძია, არ დაგვჭირვებია. მუნა ფირიანი და მისი იურისტი ივა ხოხლოვი პრესკონფერენციაზე შემობრძანდნენ და ჩაშალეს კიდეც. იქ წამოჭრილ დიალოგებზე ყურადღებას, რიგი მოსაზრებების გამო, არ ვამახვილებ. **"ჩვენ უკმაყოფილო ვიყავით გიორგის მუშაობით და გავუშვით. რასაც ის ახლა აკეთებს, ამას ჰქვია შანტაჟი. ჩვენ ჩამოვიყვანეთ საერთაშორისო დონის ექსპერტი და დავადასტურეთ, რომ დოკუმენტი არ არის გაყალბებული. ოკრიბელაშვილი არაპროფესიონალია, თუნდაც იმიტომ, რომ კონფიდენციალურობის პირობას არ იცავს. გარდა ამისა, ის შევამჩნიეთ მოწინააღდეგე, ანუ ავთო წერეთლის მხარესთან თანამშრომლობაში და ამის დასტურია ის, რაც დღეს ხდება. სიმართლეს აქ კი არა, სასამართლო დაადგენს და ეს ავთო წერეთელმაც ძალიან კარგად იცის,"** - აცხადებს მუნა ფირიანი, რომელიც იქვე ისმენს ოკრიბელაშვილის კომენტარს, რომ **"ჩამოყვანილ ექსპერტ ქალბატონს ერთი ხელმოწერა საერთოდ არ შეუმოწმებია, მეორეს კი, უბრალოდ, თვალი გადაავლო."**

ფირიანსა და ალის ხშირად "არაბ ბიზნესმენებს" უწოდებენ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მიხედვით, ჰუსეინ ალი და ახმედ იუნესი ერაყელები არიან, ხოლო მუნა ფირიანი - ლიბანელი. სწორედ მუნა ფირიანმა, რამდენიმე წლის წინათ, ნუგზარ შევარდნაძეს ლობირება სთხოვა, თუმცა დიდი სკანდალების შემდეგ, მაშინდელი პრეზიდენტის ძმისშვილმა სიმართლის დამტკიცება მაინც ვერ შეძლო.

რა შუაშია ტერორისტები? ამის შესახებ ოფიციალური დასაბუთება საქართველოს სამართლადმცველებს, რა თქმა უნდა, არ გააჩნიათ, თორემ საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა. მაგრამ ჰუსეინ ალის ერჩიან აზერბაიჯანში, სადაც იგი ასევე დავობდა ერთ-ერთ ადგილობრივ მწარმოებელთან. სწორედ აზერბაიჯანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰუსეინ ალი და მისი ზემდგომი არკან ნასერი საერთაშორისო ტერორისტებთან თანამშრომლობაში არიან შემჩნეული.

არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ ის, რომ მუნა ფირიანი თანამშრომლობს წარმოშობით უკრაინელ, ვინმე საშა ბელიკთან, რომელიც თავის მხრივ კავშირშია ჩეჩენ ალი შიშანთან. ალი შიშანზე კი რუსულ სპეცსამსახურებში უამრავი ინფორმაცია არსებობს, მათ შორის ისიც, რომ იგი ერაყელი ტერორისტის, აზ ზარქავის დავალებებს ასრულებს... და ა. შ. და ა. შ.

რა თქმა უნდა, მუნა ფირიანსაც მივმართეთ ამ შეკითხვებით. უფრო სწორად, იმით დავიწყეთ, იცნობდა თუ არა ქალბატონი მუნა საშა ბელიკს და რა კავშირი ჰქონდა ჩეჩნებთან. ამ შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ და მხოლოდ ხმამაღალი შეფასება დავიმსახურეთ, რის შემდეგაც ქალბატონმა მუნამ და მისმა იურისტმა ოთახი დატოვეს.

"ჭიშკრის დარაჯებად ვიქცეთ..."

ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლის ჭიშკართან მოხუცი მამაკაცი, რომელსაც ხელში ჩვილი ეჭირა, დარაჯისგან იმის გარკვევას ცდილობდა, თუ როგორ უნდა დაეტოვებინა პატარა ბავშვთა სახლში. მოხუცის შვილიშვილის მიტოვების გადაწყვეტილება ბავშვის დედას მისი დაბადებისთანავე მიუღია. ამ საქმეში დედათა და ჩვილთა თავშესაფრის სოციალური მუშაკები ჩარეულან, რის შემდეგაც ახალგაზრდა, მარტოხელა დედას გადაწყვეტილება შეუცვლია. სამი თვის გასვლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც დედა-შვილი თავშესაფრიდან სახლში დაბრუნდა, დედა კვლავ "პირველ ჩვენებას" დაუბრუნდა და, როგორც ჭიშკართან მყოფი ბაბუა ჰყვებოდა, დედა სახლიდან წავიდა და ბავშვი დატოვა.

თამარ მაისურაძე

ბავშვთა სახლის ეზოში ორი ერთმანეთის "კონკურენტი" შენობა დგას, რომელთაც ერთმანეთისგან რამდენიმე ნაბიჯი აშორებს. პირველ მათგანში პატრონისგან მიტოვებულ ბავშვებს იტოვებენ, მეორეში კი ცდილობენ, რომ დედებს ხელი შეუწყონ, რათა ჩვილები პირველ შენობაში არ დატოვონ. ბედის ირონიას ვერც აქ გაექცევი...

თავში მოყოლილ ამბავს, საბედნიეროდ, გამონაკლისი შეიძლება ეწოდოს, რადგან როგორც თავშესაფარში აცხადებენ, ბოლო ორი წლის განმავლობაში მათი დახმარებით დაახლოებით 150-მა დედამ არ მიატოვა შვილი. მართალია, აქ დედა-შვილი, მაქსიმუმ, სამი თვის განმავლობაში ცხოვრობს, მაგრამ სოციალური მუშაკები მათთან ურთიერთობას მაინც აგრძელებენ, რათა მსგავსი შემთხვევები არ განმეორდეს, რომლის მომსწრეებიც გუშინ თავად გახლდით.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), საერთაშორისო ორგანიზაციის World Vision საქართველოში, Every Child-ის, განათლების და ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროების დახმარებით დედათა და ბავშვთა თავშესაფარმა გუშინ არსებობის ორი წლისთავი აღნიშნა. მოწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდა საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსიც.

"თავშესაფარი ახორციელებს ისეთი ფორმების უზრუნველყოფას, რომელიც ხელს უშლის ბავშვებისა და დედების განცალკევებას, ბავშვების ბავშვთა სახლებში მოხვედრას. აქ ყოფნის პერიოდში სოციალური მუშაკები ცდილობენ, დედებს სოციალური, ფინანსური და ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიონ," -გვითხრა გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროექტების ხელმძღვანელმა მაია ყუფარაძემ. "სამმხრივი" დახმარების მიუხედავად, დედებს, რომელთა უმრავლესობაც მარტოხელაა, ყველაზე მეტად ფინანსური დახმარება ესაჭიროებათ. რადგან დედები, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის მიტოვების მიზეზად არათუ ქორწინების გარეშე გაჩენას, არამედ მძიმე სოციალურ პირობებს ასახელებენ.

ანას დედა ნანა, სამი თვე სრულდება, რაც თავშესაფარშია. უფროსი შვილიც ჰყავს, რომელიც სახლში ბებიასთანაა. ნანა კოსმეტოლოგიის კურსებზე დადის, რათა სახლში დაბრუნების შემდეგ შვილები ელემენტარული პირობებით უზრუნველყოს.

ხათუნა მარტოხელა დედაა. მისი შვილი ჯერ ერთი თვისაც არ არის. ისიც თავშესაფრის დროებითი ბინადარია და სხვა დედების მსგავსად, მასაც დაასაქმებენ. დასაქმების სამსახური "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის" პროექტის შედარებით ახალი კომპონენტია.

დღეს თავშესაფარში შვიდი დედა და ექვსი ჩვილი ცხოვრობს, რადგან ერთი ბინადარი ფეხმძიმედაა. ერთ მიღებაზე აქ, მაქსიმუმ, 10 დედას ტოვებენ. მართალია, მოთხოვნა უფრო დიდია, მაგრამ... თავშესაფარში ფართის სიმცირეა.

ჩვილ ბავშვთა პრევენცია - ბავშვთა სახლებში ბავშვის მოთავსების თავიდან აცილების საშუალება, როგორც უკვე გითხარით, დედის სოციალური, ფინანსური და ფსიქოლოგიური დახმარების გზით ხდება. რაც შეეხება პროექტის კიდევ ერთ შემადგენელ ნაწილს - ბავშვების რეინტეგრაციას, ბავშვთა სახლებიდან ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას გულისხმობს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ვერ მოხერხდა, ალტერნატიული საშუალება არა ბავშვთა სახლში გადაყვანა, არამედ ბავშვის შვილობილად აყვანაა.

"ყველაფერი ის, რაც ორი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, პილოტური პროგრამის შედეგია. პროექტის შედეგების თანახმად, ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტზე მზრუნველობა სახელმწიფომ ითავოს. მით უმეტეს, სახელმწიფოს დაინტერესებაც დიდია," - გვითხრა გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროექტების ხელმძღვანელმა.

მომავალში დაგეგმილ, თავშესაფრის გაფართოებასთან ერთად, დღის ცენტრის დაარსების იდეაც არსებობს, რათა დედებმა, რომლებიც მუშაობით იქნებიან დაკავებული, დღის განმავლობაში ჩვილი ბავშვების ცენტრში დატოვება შეძლონ.

უნდა შეიქმნას "ჭიშკრის დარაჯების სისტემა," - ასეთი იყო გუშინ ნუცუბიძის მე-2 ნომერში შეკრებილი საზოგადოების განწყობა. "უნდა შეიცვალოს კანონი, ჩვენ კი ჭიშკრის დარაჯებად ვიქცეთ, რათა ბავშვთა სახლებისკენ მიმავალი ბავშვების ნაკადი შემცირდეს," - აცხადებდნენ გუშინ.

თვალსაზრისი

რას აირჩევს მთავრობა?

მოსახლეობასთან გულწრფელ ურთიერთობას თუ იაფფასიან პიარკამპანიას

საყოველთაოდ ცნობილია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის დღევანდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საკმაოდ კარგად იცის საზოგადოებრივი აქტივობის და სიტყვის ფასი. ამიტომაც, პრესაში გახშირებულ საყვედურებზე იმის გამო, რომ ხელისუფლება საჭიროდ არ თვლის ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოსახლეობისათვის ახსნას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ სწრაფი რეგირება მოახდინა და მთავრობის წევრებს მოსახლეობაში "გასვლა" დაავალა. ფაქტია ისიც, რომ ბოლო პერიოდში მასმედიასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობას პრეზიდენტის გარემოცვაში გელა ჩარკვიანისა და მარიკა ვერულაშვილის ხელიც დაეტყო. იგივე ტენდენციები არ შეიმჩნევა სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში. მართალია, სახელმწიფო ორგანოების პრესსამსახურების მართვა ერთი ცენტრიდან შეუძლებელია და არცაა სასურველი, მაგრამ პრეზიდენტის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, მუშაობის ახალი სტილის დანერგვის მიზნით, ვფიქრობ, მათი მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

ბურამ მაღლაკელიძე

და მაინც, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა გზას აირჩევს ხელისუფლება: გულწრფელ და კომპეტენტურ ურთიერთობას მოსახლეობასთან თუ უსახურ, მასაზე გათვლილ იაფფასიან პიარკამპანიას. თავის დროზე პასკალმა განაცხადა, რომ თუ საფრანგეთს სამასი ინტელექტუალი დატოვებდა, ის იდიოტების ქვეყანა გახდებოდა. მართალია, საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული მილიონზე მეტმა ჩვენმა თანამემამულემ დატოვა, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას მთავრობის წევრებს, "იაფფასიანი საკენკი" დაგვიყარონ. მაგრამ უბედურება ისაა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები არა მარტო ვერ ერკვევიან ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებაში, არ იციან, როგორ მართონ და წარმოდგენა არ აქვთ ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე, არამედ საკუთარი უწყების დანიშნულების აუცილებლობაზეც უჭირთ საუბარი. გაიხსენეთ, რა დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა მთავრობის ზოგიერთ წევრს პრეზიდენტის დავალების შემდეგ.

"შიდა ქართლში ყოფნისას მივხვდი, რომ ჩვენ პრიორიტეტი, რომელიც ბიზნესის ამუშავებას და სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს, სწორად გვაქვს არჩეული," - სამწუხაროა, როცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ელემენტარულ ჭეშმარიტებაში "დასარწმუნებლად" და "მისახვედრად" რამდენიმე თვე სჭირდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს ის მეთოდი, რომლითაც ის არსებული ვითარების შეცვლას გეგმავს: "რეგიონის ხელმძღვანელებსა და რაიონის გამგებლებს დავავალებ, დეტალურად შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე არსებული საწარმოების კონკრეტული პრობლემები და იზრუნონ მათ მოგვარებაზე." საინტერესოა, რა ბერკეტები გააჩნიათ რეგიონის ხელმძღვანელებს და რაიონის გამგებლებს ამ საკითხის "მოსაგვარებლად": შეამცირებენ ფასებს ენერგომატარებლებზე და ნედლეულზე, საგადასახადო ნიხრებს შეცვლიან, გასაღების ბაზრებზე იზრუნებენ თუ უფასო მუშახელს იპოვიან. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს კითხვა: რა დრო დასჭირდება პრემიერ-მინისტრს იმისათვის, რომ "მიხვდეს" მარტივ ჭეშმარიტებას - ეკონომიკური ხასიათის გლობალურ პრობლემებს რწმუნებულები და გამგებლები ვერ მოაგვარებენ.

მზად ვარ, ვაღიარო, რომ ვცდებოდი, როცა მიმდინარე წლის 22 იანვარს "24 საათში" ვწერდი: "ქვეყანას, რომელსაც პრემიერ-მინისტრიც ჰყავს, ფინანსთა მინისტრიც და, ფაქტობრივად, ეკონომიკის ორი მინისტრი, ეკონომიკური საბჭო არ უნდა სჭირდებოდეს". დღეს ნათელია, რომ პრეზიდენტის გარემოცვაში არ არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ფართო ფენებისათვის გასაგებ, პრესისათვის მისაღებ და სპეციალისტებისათვის კომპეტენტურ ენაზე გაახმოვანოს ეკონომიკაში მიღწეული პირველი დადებითი ძვრები, არსებული პრობლემების დაძლევის გზები და ეკონომიკური წინსვლის რეალური პერსპექტივები.

და მაინც რასთან გვაქვს საქმე? - საკუთარ ხალხთან არაგულწრფელ დამოკიდებულებასთან, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის არცოდნასთან თუ, ხშირ შემთხვევაში, არაკომპეტენტურობასთან? ვფიქრობ, აშკარად სახეზეა ერთიც, მეორეც და მესამეც.

წინა კვირას გაზეთ "ჯორჯიან თაიმს"-მა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიაც მან განაცხადა: "ვფიქრობ, რომ ხელისუფლების მაშინდელი მოქმედებები სწორი და გამართლებული იყო. ჩვენ შევაჩერეთ კონტრაბანდა, რომელიც საქართველოში შემოდიოდა. ბუნებრივია, მომავალში ამას სხვა პრევენციული ღონისძიებებიც უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, მოხდა ისე, რომ ეს "პრევენციული ღონისძიებები" სერიოზულ ესკალაციაში გადაიზარდა."

პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება. გავიხსენოთ თანამდებობის პირების იმდროინდელი განცხადებები: "თვითონ რუსეთისათვის სამხრეთ ოსეთი არავითარ სტრატეგიულ და სამხედრო-პოლიტიკურ ღირებულებას არ წარმოადგენს"; "მომენტიც სწორად შეირჩა და მოქმედებებიც. რეალურად ამ ყველაფრის შედეგად ჩვენ პრობლემის ტემპერატურა გავიგეთ. სხვაგვარად ამ ტემპერატურას ვერ გავიგებდით... ამ ყველაფრის გასაგებად კი პროცესის დაძაბვა იყო საჭირო."

როდესაც შესაძლებელია მეორე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მხედველობაში მაქვს როკის გვირაბი, იქ გვხვდება 20-30 კილომეტრიანი პლაცდარმი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მოკავშირე ძალებით, როცა საშუალება გაქვს "სხვისი ხელებით" მოაწყო ფართომასშტაბიანი პროვოკაცია და დააბრალო ის ქართულ მხარეს, ხოლო შემდეგ "საკუთარ მოქალაქეებზე" და სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის საბაბით დაიწყო სამხედრო ოპერაცია - მეტი რა არის სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური ღირებულება? ამავე დროს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, პოლიტიკაში "პრობლემის ტემპერატურის" გასაგებად ცდებს არ მიმართავენ. ამისთვის სახელმწიფოში შესაბამისი ორგანოები არსებობს, ან უნდა არსებობდეს.

გაუგებარია, რატომ არ გვინდა ამ თემის ერთხელ და სამუდამოდ დახურვა, რატომ გვიჭირს იმის აღიარება, რომ თბილისისა და ბათუმის მოვლენების შემდეგ, მთლიანად ქართულ საზოგადოებაში და მათ შორის, "ნაციონალურ მოძრაობაში" გაჩნდა სურვილი "რევოლუციის ტრიუმფალური მსვლელობისა", რასაც არ შეეძლო შესაბამისი გამოხმაურება და რექცია არ გამოეწვია მმართველი პარტიისა და ხელისუფლების ზედა ფენების გარკვეულ ჯგუფებში. სწორედ ამ ჯგუფების სურვილი იყო გვეჩვენებინა, "რომ სამხედრო თალსაზრისით ამ ტერიტორიის გაკონტროლება შეგვეძლო". შეცდომის დანახვა და აღიარება, მისი გააზრება და გამოსწორება, მხოლოდ ძლიერთა ხვედრია და ხელისუფლებას ამის არ უნდა ეშინოდეს.

სამწუხაროდ, ბოლომდე გაუაზრებელი და პოპულისტური გადაწყვეტილებები არც პარლამენტისთვისაა "უცხო ხილი". საინტერესოა, რა ზნეობრივი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ დეპუტატები, როდესაც თბილისიდან მივლინებულ 450 ჟურნალისტს ომის მონაწილეებთან ათანაბრებენ და პენსიას უნიშნავენ, ხოლო აფხაზეთის მკვიდრ ასამდე ჟურნალისტს, რომელიც "თავის საქმიანობასთან ერთად საომარ მოქმედებებშიც მონაწილეობდა", ამაზე უარს ეუბნებიან.

არჩევანი დიდი არ არის. მთავრობა ან სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის დამყარებას ეცდება მოსახლეობასთან და მასმედიასთან, ან მოუწევს არქივიდან "დიდი ბელადის" ცნობილი თეზისის ამოღება და მისი პერიფრაზი, იმის შესახებ, რომ - სოციალიზმის წარმატებულ მშენებლობასთან ერთად კლასობრივი ბრძოლაც მწვავდება...

ვაკანსია

ამერიკული კომპანია Peocter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

აუცილებელი მოთხოვნები

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებისმქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

პირველად საქართველოში - "ყაზბეგი" ალუმინის ქილაში

ორშაბათიდან ლუდის მოყვარულები კომპანია "ყაზბეგისაგან" მორიგ საჩუქარს მიიღებენ-საქართველოში პირველად ჩამოისხა ლუდი ალუმინის ქილაში.

ალუმინის ქილა ნახევარი ლიტრის ტევადობისაა და თავდაპირველად მასში მხოლოდ ლუდი "ყაზბეგი" ჩამოისხმება.

ნიკოლოზ ბახტაძე, კომპანია "ყაზბეგის" გენერალური დირექტორი: "ლუდის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ალუმინის ქილა იდეალური ჭურჭელია ლუდის გასაცივებლად. ამის გარდა, ალუმინის ქილა საუკეთესოა ლუდის გემოს და სხვა თვისებების ხანგძლივად შესანარჩუნებლად, ეს ჭურჭელი სასმელს მაქსიმალურად იცავს ყოველგვარი ზემოქმედებისაგან."

სპეციალურად ახალი შეფუთვისათვის კომპანიამ ჩამოსასხმელი ხაზი და სხვა ტექნოლოგიური დანადგარები შეიძინა, მოეწყო სპეციალური საამქრო, რომელიც სრული სიმძლავრით აპრილის ბოლოს ამუშავდება.

გიორგი თოფაძე, "ყაზბეგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: "თავდაპირველად ქილაში ლუდი "ყაზბეგი" ჩამოისხმება, უახლოეს მომავალში კომპანია ალუმინის ჭურჭელში სხვა ლუდის სახეობებს და "ყაზბეგის" პოპულარულ უალკოჰოლო სასმელებსაც გამოუშვებს."

კომპანია "ყაზბეგი" ლუდის სეზონისათვის მომხმარებელს კიდევ ბევრ სიახლეს და სიურპრიზს ჰპირდება.

დათო ანთაძე

ნატო-ს არაფორმალური შეხვედრა ლიტვაში

პოლიტიკური დიალოგის გაძლიერება ალიანსის შიგნით და კავშირების გაღრმავება რუსეთთან და უკრაინასთან

ლიტვის დედაქალაქში გუშინ დასრულებულ ნატო-ს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე უმნიშვნელოვანესი განცხადება გაკეთდა - უკრაინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად უკვე 2008 წელს იქნება მზად. მართალია, განცხადების ავტორის, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვების კომენტირება ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა არ ისურვეს, მაგრამ გუშინ დადასტურდა ვარაუდი, რომ დსთ-ს წევრ-ქვეყნებს შორის ალიანსში პირველს უკრაინას მიიღებენ.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე ნათქვამია, რომ 21-22 აპრილს ვილნიუსში გამართული საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალური შეხვედრა ალიანსის შიგნით პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული შეხვედრა პირველი კონკრეტული ნაბიჯია თებერვალში წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა სამიტზე დასახული გეგმის განხორციელების გზაზე.

ორი დღის განმავლობაში ნატოს წევრი 26 ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საერთაშორისო პოლიტიკის უამრავ საკითხს განიხილავდა, მათ შორის - სამხედრო ოპერაციების პერსპექტივებს ავღანეთში, ერაყსა და კოსოვოში; ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა; დარფურის რეგიონში (სუდანი) შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი და ა.შ.

შეხვედრის დასასრულს ალიანსის ურღვევობაზე და სხვადასხვა საკითხზე ერთიანი პოზიციების შესახებ განცხადებები მრავლად გაკეთდა. თუმცა, მთავარ თემებად დღის წესრიგის ორი ღონისძიება იქცა - ნატო-რუსეთის საბჭო და ნატო-უკრაინის კომისია.

რუსეთი - ნატო-ს ოფიციალური პარტნიორი

რუსეთისა და აშშ-ს საგარეო უწყებების ხელმძღვანელები ლიტვის დედაქალაქში თითქმის ერთდროულად ჩავიდნენ. კონდოლიზა რაისის მოსკოვური ვოიაჟის დროს გაკეთებული განცხადებებით გამოწვეული ვნებათაღელვა ჯერ კიდევ ჩამცხრალი არ იყო, ორი ქვეყნის პირველ დიპლომატებს კი უკვე სხვა ფორმატით მოუწიათ მოლაპარაკებების გამართვა.

რთული სათქმელია, რამდენად დაძაბული გამოდგა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა, თუმცა ფაქტია, რომ იგი უშედეგოდ არ დასრულებულა. ვილნიუსში გამართულ შეხვედრაზე ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ნატო-ს წარმომადგენლის ჯეიმს აპათურაის თქმით, "შეთანხმება ჯარების სტატუსის შესახებ", რომელსაც ვილნიუსში მოეწერა ხელი, ნატო-ს და რუსეთს ერთობლივი სამხედრო წვრთნების მოწყობას გაუადვილებს. შეთანხმებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, უდავოდ, ნატოს ჯარების რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება და რუსეთის ჯარების ნატო-ს წევრ ქვეყნებში მოძრაობა გახლავთ.

რაც შეეხება პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებს, მხარეთა განცხადებით, ამ სფეროშიც პროგრესი შეინიშნება.

ნატო-ს ინტერნეტ-გვერდზე ნათქვამია, რომ შეხვედრისას მინისტრებმა საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს, მათ შორის - კოსოვოს მომავალი, რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის საკითხი და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი.

სპეციალური განხილვის საგანი გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. სააგენტო "იტარ-ტასი" იუწყება, რომ სერგეი ლავროვმა ნატო-ელ კოლეგებს გააცნო "რუსეთ-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკებების მდგომარეობა და რუსეთის მიერ შეთავაზებული წინადადებები", თუმცა ამასთან დაკავშირებით ნატო-ს ხელმძღვანელობის პოზიცია უცნობია.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის განვითარების აუცილებლობის შესახებ განცხადებებს გუშინაც არ მორიდებია. მთავარი სამიზნე კვლავ ბელორუსი და მისი დიქტატორი იყო. **"ბელორუსის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა თვალყურს ადევნებს მის მოქმედებას. ეს არ არის ბნელი კუთხე, რომელშიც მოვლენები სხვებისთვის შეუმჩნევლად შეიძლება ვითარდებოდეს - ისე, თითქოს ბელორუსი არ იყოს ევროპის კონტინენტის ნაწილი,"** - განაცხადა რაისმა ბელორუს დისიდენტებთან შეხვედრისას. ამერიკელი დიპლომატის თქმით, ბელორუსში "ჭეშმარიტად დიქტატორული რეჟიმი" მეფობს და მისი შეცვლა გარდაუვალია. საპასუხოდ, ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიქტორ გაისონაკმა განაცხადა, რომ ბელორუსი არ არის რომელიმე გარეშე ძალის მანიპულირების ობიექტი.

უფრო ადრე რაისის კრემლის ლოიალურ მმართველზე "თავდასხმას" რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ იგი ეწინააღმდეგება ბელორუსში რეჟიმის ძალით შეცვლას.

ასე რომ, დიპლომატიური, "ვერბალური ომი" მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, ცალკეული შეთანხმებების მიუხედავად, კვლავაც გრძელდება.

ნატო-უკრაინა - "ინტენსიური დიალოგის" ხანის დასაწყისი

ნატო-უკრაინის კომისიის სხდომისგან ძალიან ბევრს ელოდნენ. ეს პირველი სერიოზული ღონისძიება იყო ნატო-ს ეგიდით 22 თებერვალს ბრიუსელში ვიქტორ იუშენკოს მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადების შემდეგ. შეგახსენებთ, ნატო-ს სამიტზე მიწვეულმა უკრაინის პრეზიდენტმა ღიად დააფიქსირა, რომ მისი ქვეყნის მთავარი მიზანია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება; ამასთანავე, მზადყოფნაც გამოთქვა, მის ქვეყანას ყველა შესაბამისი პროცედურა გაევლო.

გარდა ამისა, გასულ კვირას ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტანას ვალონისმა ისიც კი თქვა, რომ, შესაძლოა, უკრაინა ალიანსში 21 აპრილს დაგეგმილ შეხვედრაზევე მიიწვიონ.

როგორც მოსალოდნელი იყო, კიევს გუშინ ალიანსში ოფიციალური მიწვევა არ მიუღია. თუმცა, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ნამდვილად გადაიდგა. ვილნიუსში გამართულ შეხვედრაზე ნატო-უკრაინის ურთიერთობები "ინტენსიური დიალოგის" ხანაში შევიდა.

ნატო-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დაეხმარება უკრაინას შესაბამისი მოლაპარაკებების წარმართვაში და გაწევრიანებისკენ რეალური ნაბიჯების გადაგმაში, თუმცა კონკრეტული თარიღების დასახელებაზე უარს აცხადებს.

"არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ნატო უკრაინას ინტენსიური დიალოგისთვის იწვევს, რომელიც გაწევრიანებისკენ მის სწრაფვას უკავშირდება. თუმცა, ეს არ გულისხმობს ალიანსის მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების მიღებას," - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე და იქვე დასძინა, რომ ნატო-ში გაწევრიანების კრიტერიუმები მხოლოდ და მხოლოდ ეფექტიანობას ემყარება.

პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე პირველი არაოფიციალური შეხვედრისას ოფიციალურმა ბრიუსელმა დაადასტურა, რომ კიევს ალიანსში შესვლისთვის აუცილებელი რეფორმების გატარებაში დაეხმარება.

პასუხად, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ნატო-უკრაინას შორის ახალი ურთიერთობების დასაწყისის ნიშანია. მისი თქმით, უკრაინა ყველაფერს იღონებს, რათა შეიარაღებული ძალები დასავლურ სტანდარტებს შეესაბამებოდეს. **"გავბედავ და ვიტყვი - უკრაინა მზად იქნება, შეასრულოს რეფორმების პროგრამა სამი წლის შემდეგ, 2008 წლისთვის,"** - განაცხადა ტარასიუკმა პრესკონფერენციაზე.

თავად სხეფერი არაფერს ჰპირდება უკრაინელებს - იგი არ ამბობს, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება "ინტენსიური დიალოგი" და როდის მიიღებს უკრიანა ალიანსში ოფიციალურ მიწვევას, მაგრამ ბალტიისპირელთა ენთუზიაზმი მისთვისაც გადამდები აღმოჩნდა: **"თქვენ მანქანის საჭეს მართავთ, ხოლო ნატო ამ მანქანის საწვავით მომარაგებაზე იზრუნებს,"** - იმედი ჩაუსახა სხეფერმა უკრაინელებს. სხვათა შორის, მეტაფორა ორაზროვანი გამოვიდა - დღეს უკრაინაში დიდი პრობლემებია ბენზინთან დაკავშირებით. რუსმა მიმწოდებლებმა ბოლო ხანებში კატასტროფულად გაზარდეს საწვავზე ფასები.

ხუმრობა ტარასიუკმაც სცადა: **"ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ წავიყვანთ მანქანას ჩვენი სტრატეგიული მიზნისკენ."**

ჯერჯერობით ნატო-მ უკრიანას მხოლოდ აურაცხელი ვალდებულებების შესრულება დააკისრა. მიიღებენ თუ არა უკრაინას სამხედრო ბლოკში, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გაართმევს იგი ამ ვალდებულებების შესრულებას თავს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კიევმა პირველი გამოცდა უკვე ჩააბარა. ქვეყნის სამხედრო დოქტრინაში აღადგინეს ფრაზა ნატო-სა და ევროკავშირში გაერთიანების სტრატეგიული მიზნის შესახებ. შეგახსენებთ, ეს ფრაზა გასულ წელს არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ლეონიდ კუჩმამ ამოიღო.

უკრაინამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია.

ნარკოდამოკიდებულების მკურნალობიდან ერის პოლიტიკურ გაჯანსაღებამდე

ჯენიშბეკ ნაზარალიევი - ყირგიზეთის მომავალი სავარაუდო პრეზიდენტი

ხათუნა გაბიევი

"ჩვენი იდეოლოგია დემოკრატიაა - ეს დასავლეთია. ჩვენი აღმსარებლობა ისლამია - ეს აღმოსავლეთია. ჩვენი მონათესავე რუსეთია - ეს ჩრდილოეთია. ჩვენი მეზობელი კი ჩინეთია - ეს სამხრეთია. ყირგიზეთი გეოპოლიტიკურ თამაშებში არ მონაწილეობს, უბრალოდ, ეს თამაშები მის ცხოვრებაში თავისთავად იჭრება," - აცხადებს დსთ-ს სივრცეში ცნობილი ექიმი-ნარკოლოგი ჯენიშბეკ ნაზარალიევი, რომელიც ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენას აპირებს. ვიდრე ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი კურმანბეკ ბაკიევი ბიშკეკის საქალაქო საბჭოს (კენეშის) დეპუტატებთან ერთად 24 მარტის შემდეგ საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს აანალიზებს, 10 ივლისს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სიის შედგენა იწყება. ბაკიევის არასწორი საკადრო პოლიტიკის გამართლებას ობიექტური მიზეზებით ბიშკეკის კენეშის წარმომადგენელი ნურჯამალ ბაიბოლოვიც ცდილობს. მისი თქმით, ვინაიდან 25 მარტს სამართალდამცავ ორგანოებს საგანგებო ზომების მიღება არ შეეძლოთ, ხოლო მოვლენები თანდათან უმართავი ხდებოდა, ზოგიერთ საკითხზე პასუხისმგებლობის აღება საქალაქო საბჭოს დეპუტატებს მოუწიათ.

სწორედ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმით ხსნის ექიმი ნაზარალიევი თავის გადაწყვეტილებას. მისი აზრით, რესპუბლიკაში არ არსებობენ ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორსაც პოსტრევოლუციური ქვეყანა ითხოვს. ხელისუფლების სათავეში მყოფი კურმანბეკ ბაკიევი და ფელიქს კულოვი კი, დოქტორის შეფასებით, სუსტი და ყავლგასული პოლიტიკოსები არიან. ისინი ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ასკარ აკაევის პარტიულ-ნომენკლატურულ გარემოცვას მიეკუთვნებოდნენ და თავიანთი დრო უკვე მოჭამეს.

21 აპრილს ბიშკეკის ტელევიზიის ეთერში ჯენიშბეკ ნაზარალიევმა საპრეზიდენტო არჩევნების 2 კანდიდატურის (კურმანბეკ ბაკიევი და ფელიქს კულოვი) ამარა ჩატარების გეგმა მკაცრად გააკრიტიკა. მისი თქმით, ქვეყანა, რომელიც ავტოკრატიული ჭაობიდან თავის დაღწევის შემდეგ დემოკრატიულ ფასეულობებზე იღებს ორიენტირს, არჩევნებში მრავალმხრივი პოლიტიკური შერკინების ნაცვლად, დუელის მოწყობით საკუთარ მომავალს სტაგნაციის საფრთხეს უქმნის. ამან, შეიძლება, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებამდე, ერის გახლეჩამდე და სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანოს.

მისი თქმით, აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულების კარდინალური განახლება, რისი მიღწევაც მხოლოდ რადიკალური რეფორმების გატარების გზითაა შესაძლებელი.

"მანამდე, ვიდრე ამგვარ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ძალიან ღრმად და საფუძვლიანად მომიწია ამ უკიდურესად ფაქიზი და მწვავე საკითხის გაანალიზება. ასეთი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისათვის სიმამაცე და სულის სიმტკიცეა საჭირო", - აღნიშნა ყირგიზული რევოლუციის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა ჯენიშბეკ ნაზარალიევმა.

ჯენიშბეკ ნაზარალიევი, გამარჯვების შემთხვევაში, პირობას დებს, რომ ხელმეორედ აღარ იყრის კენჭს პრეზიდენტის თანამდებობაზე, რადგან ერთი საპრეზიდენტო ვადა სრულიად საკმარისი იქნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე დასაყენებლად. ამდენად, მის პრეზიდენტობას ყირგიზეთის საბოლოოდ წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე, ერთგვარად, "ტექნიკური" ან, თუ გნებავთ, "გარდამავალი" ხასიათი ექნება.

სატელევიზიო მიმართვისას ნაზარალიევმა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის "ახალი ყირგიზეთის" ჩამოყალიბების შესახებაც ამცნო მოსახლეობას.

მცირეოდენი ისტორიული ექსკურსისთვის - 24 მარტს მანიფესტანტთა ჯგუფმა სახელისუფლებო ორგანოების შენობებისაკენ საპროტესტო სვლა, სწორედ, დოქტორ ნაზარალიევის კლინიკიდან დაიწყო. თავად ექიმი-ნარკოლოგი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჯენიშბეკ ნაზარალიევი აქტიურად მონაწილეობდა მარტის მოვლენებში. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ასკარ აკაევსა და მის გარემოცვას მკაცრად აკრიტიკებდა.

მოსკოვი უცხოელ ოფიციალურ სტუმართა ნაკლებობას არ უჩივის

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის შემდეგ, მოსკოვს ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუ ეწვია. **"ევროკავშირისა და რუსეთის დიალოგი საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებაზე აისახება. პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრისას, ევროკავშირი-რუსეთის პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, მე სამომავლო პერსპექტივებზე საუბარს ვაპირებ,"** - განაცხადა ჯერ კიდევ მოსკოვში ჩასვლამდე ევროკომისიის უმაღლესმა წარმომადგენელმა. ამ ამპლუაში რუსეთში ვიზიტი ბაროზუსთვის პირველია.

ბაროზუს ვიზიტის მიზანი 10 მაისს დაგეგმილი სამიტის შესახებ მოლაპარაკებების გამართვა იყო. როგორც ცნობილია, რუსეთ-ევროკავშირის რიგით მე-15 სამიტს რუსეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. განხილვის თემა, სამიტის დღის წესრიგის შეთანხმების გარდა, ე.წ. "საგზაო რუკის" შემუშავებაც გახლდათ, რომელიც მოიცავს - საერთო ეკონომიკურ სივრცეს; თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და იუსტიციის სფეროს; საგარეო უსაფრთხოების დაცვის საკითხებს; დაბოლოს - სამეცნიერო კვლევების, განათლებისა და კულტურის სფეროებს.

ვლადიმირ პუტინმა და ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუმ უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრეს. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ვლადიმირ პუტინის თქმით, რუსი და ევროპელი ექსპერტები უკვე მუშაობენ იმ დოკუმენტაციაზე, რომელთა ხელმოწერაც 10 მაისს იგეგმება ევროკავშირი-რუსეთის სამიტზე. **"ეკონომიკურ სივრცეზე, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ სფეროებზე მუშაობა იმ პირობებსა და ვადებში მიმდინარეობს, რომელზეც ჩვენ ადრევე შევთანხმდით,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა ევროკომისართან მოლაპარაკებისას.

შეხვედრის დასასრულს კი რუსეთის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობების განვითარების დადებითი დინამიკის გამო.

უკანასკნელი 2 კვირის მანძილზე ევროკავშირის მაღალჩინოსანთან რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრის ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელს ხავიერ სოლანას ვლადიმირ პუტინი 5 აპრილს შეხვდა.

24 საათი

სასახლის "სარაკეტო" ინტრიგები

ვიტალი პორტნიკოვი
გრანი

მას შემდეგ, რაც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის პრეზიდენტის აღთქმულ მიწაზე მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ გააკეთა განცხადება, დამკვირვებლებმა მაშინვე დასვეს კითხვა: რა დაუჯდება მოსკოვს ასეთი გაბედულება და როგორ მოხდება მისი "გაწონასწორება"? ისრაელში სახელმწიფო ვიზიტით არც საბჭოთა კავშირისა და ისრაელის დიპლომატიური ურთიერთობების აღმდგენი მიხაილ გორბაჩოვი ჩასულა და არც - ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს ტრადიციული მოკავშირეებისაგან დისტანცირებული ბორის ელცინი.

სამაგიეროდ, ვლადიმირ პუტინმა, რომელმაც გაიხსენა ტრადიციული მოკავშირეები და მათთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გააკეთა, წასვლა გადაწყვიტა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ისრაელში წასვლას არ უნდა დაერღვია წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება. ამის მტკიცება საჭირო არც ყოფილა, მით უმეტეს - რუსეთ-ირანის ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობისა და სირიაში რუსული იარაღის შეტანის გამო ატეხილი სკანდალის ფონზე. თუმცა, როგორც ჩანს, კრემლში გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო, სიტუაციისთვის ნათელი მოეფინათ.

ეგვიპტეში ვიზიტი, რომელიც წინ უსწრებს ისრაელში გამგზავრებას, საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა პროპაგანდისტული ნაბიჯების გადადგმა, რამაც, ცხადია, არიელ შარონის დიდი სიხარული უნდა გამოიწვიოს და, ამასთანავე, მისთვის ნათელი გახადოს, რომ უმჯობესია, მოსკოვიდან ჩამოსულ დიდ სტუმარს არანაირი პრეტენზია არ წაუყენოს.

ვლადიმირ პუტინმა ებრაელ ჟურნალისტებს უამბო დამასკოსთვის მიწოდებულ რაკეტებზე; განსაკუთრებული სიხარულით მისცა პირობა, რომ მათ სამხედრო თვითმფრინავებს აღარ მოუწევთ პრეზიდენტ ბაშარ ასადის სასახლის თავზე ფრენა და მისი დაცვა. რუსეთის პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა, რომ ეს სასახლე გოლანის სიმაღლეებისგან რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული, რაც იმას გულისხმობს, რომ რუსულმა სარაკეტო დანადგარებმა შეიძლება რეგიონში სტრატეგიული ვითარება სერიოზულად გაართულა. შესაძლოა, ამ გეოგრაფიული დეტალების თაობაზე მას, უბრალოდ, არ მოახსენეს.

რუსეთის პრეზიდენტის "ისტორიული" ხასიათის განცხადებები და მისი ისრაელში ვიზიტი "პროტოკოლური" ხდება, რომელიც არავის არაფერს აიძულებს. ისრაელში მოსკოვის სიგნალს, ეჭვგარეშეა, რომ სწორად აღიქვამენ. საეჭვოა, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციის გაძლიერებაზე საუბარი მაშინ, როდესაც მოსკოვი ცალმხრივ ქმედებებს ახორციელებს და ამას არც თელავივთან და არც ვაშინგტონთან არ ათანხმებს. ამასთან, აღნიშნული ქმედებების დამასკოსთან შეთანხმება რუსულ პოლიტიკასაც ნამდვილად ვერ ჰპირდება ახლო აღმოსავლეთში ბრწყინვალე მომავალს: ბაშარ ასადმა უკვე მიანიშნა, რომ, მამისგან განსხვავებით, რთული მანევრებისთვის მზად არ არის; სამაგიეროდ, ძალზედ იოლად ნებდება ამერიკის შეერთებული შტატების გავლენას, რომლისგანაც ვერანაირი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების მოწყობილობა ვერ დაიცავს.

თარგმნა სანდრო ნავერიანმა

ორი სიტყვით

სამხრეთ ამერიკა. ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიუ და სილვამ ეკვადორის ექსპრეზიდენტს ლუის გუტიერესს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

გუტიერესი პრეზიდენტის პოსტიდან ქვეყნის პარლამენტმა ოთხშაბათს გადააყენა და მის ადგილას ვიცე-პრეზიდენტი ალფრედო პალასიო დანიშნა. ახალმა პრეზიდენტმა თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ წინამორბედის დაპატიმრების ბრძანება გასცა. ეკვადორის ახალი ხელისუფლება გუტიერესს საპროტესტო დემონსტრაციების სისხლიან ჩახშობასა და ქვეყანაში დიქტატურის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებს. თუმცა, როგორც ეკვადორში ბრაზილიის ელჩი სერჟიუ სობრინო აცხადებს, ეკვადორის მთავრობასთან წარმატებული მოლაპარაკებების შემდეგ, ქვეყნის დატოვების შემთხვევაში, ექსპრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გუტიერესი ეკვადორს, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში დატოვებს.

ბრაზილიელ პოლიტიკოსთა აზრით, გუტიერესისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს. *24 საათი*

კერძო არბიტრაჟის გაუქმება ბიზნესის განაწყენების საფუძველი ხდება

პირველი გვერდიდან

მოვლენები კერძო არბიტრაჟის თემასთან დაკავშირებით, გუშინ დინამიური სცენარით ვითარდებოდა. დილიდან "ბიზნესმენთა ფედერაციაში" შეკრებილი ბიზნესმენები და ექსპერტები ხელისუფლებას საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვის მიზანშეწონილობაში არწმუნებდნენ და დიალოგზე იწვევდნენ. რამდენიმე საათში ნოღაიდელმა საგანგებო განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ არბიტრაჟის გაუქმება გადაწყვეტილი საქმეა და მთავრობა ბიზნესმენებთან დიალოგზე წასვლას არ აპირებს. საღამოს კი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მონახულებისას, პრეზიდენტი კომენტარს აკეთებს.

მიხეილ სააკაშვილი არბიტრაჟის ინსტიტუტის სრულ გაუქმებას მხარს არ უჭერს, თუმცა მიაჩნია, რომ არსებული ფორმით მისი შენარჩუნება ბიუჯეტს მნიშვნელოვნად აზარალებს და ეს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც აისახება.

პრეზიდენტი აღიარებს, რომ თავის დროზე, საქართველოს მთავრობამ შეცდომა დაუშვა, როცა "საგადასახადო კოდექსში" კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი იმ ფორმით შეიტანა, როგორც ახლაა. **"მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. თუ ჩვენ ყველაფერს უცვლელად დავტოვებთ, ველარ დავარიგებთ პენსიებს, ველარ გავცემთ ხელფასებს და ველარ დავაფინანსებთ ძალზე მნიშვნელოვან სფეროებს,"** - აცხადებდა გუშინ პრეზიდენტი.

რაც შეეხება ბიზნეს-სექტორის პოზიციას, ის ასე ჟღერდა: **"საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟებში განხილვის იდეა, რაც კოდექსის განხილვის საწყის ეტაპზევე გამოითქვა, იმ სიახლეთაგანი იყო, რომელსაც ქართული ბიზნესი საკმაოდ დიდი ოპტიმიზმით შეხვდა. ხაზგასასმელია, რომ ამ საკითხში სახელმწიფო სტრუქტურებისა და საქმიანი წრეების პოზიცია სავსებით იდენტური იყო, რამაც საბოლოოდ ჰპოვა კიდეც ასახვა საგადასახადო კოდექსის საბოლოო ვერსიაში. საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟებში განხილვის პრაქტიკის გადავადება, ან სულაც, მასზე უარის თქმა, რისი მცდელობაც უკანასკნელ ხანებში შეინიშნება, ბიზნესისა და სახელმწიფოს პარტნიორული ურთიერთობების გამყარებისკენ მიმართულ ნაბიჯად ნამდვილად არ შეიძლება მივიჩნიოთ.**

გამოვთქვამთ მზადყოფნას აქტიური კონსულტაციებისათვის ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან საკითხის საბოლოო დახვეწაში მონაწილეობის მისაღებად," - ასეთი განცხადებით მიმართეს "ბიზნესმენთა ფედერაციაში" შეკრებილმა ბიზნესმენებმა და ექსპერტებმა ხელისუფლებას საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ.

გუშინ, "ბიზნესმენთა ფედერაციაში" არბიტრაჟის გაუქმების მოწინააღმდეგეებს შორის იყვნენ ბადრი პატარკაციშვილი, მამუკა ხაზარაძე, თემურ ჭყონია, ფადი ასლი და სხვა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენები. ფედერაციაში გამართულ სხდომას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ლანს ფლეჩერიც, რომელსაც ბიზნესმენებმა განცხადების ტექსტი პირადად გადასცეს და სთხოვეს, მათი პოზიცია არბიტრაჟის ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით პრეზიდენტს პირადად მოახსენოს.

"კერძო არბიტრაჟის გაუქმება ქვეყანაში სერიოზულ პრობლემას შექმნის, მაგრამ არ მინდა, რომ ბიზნესმა პარლამენტის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რადიკალური განცხადებები გააკეთოს. ჩვენ ხელისუფლებას უნდა დავანახოთ, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის. მივცეთ ხელისუფლებას შესაძლებლობა, გამოასწოროს ის სერიოზული შეცდომა, რომელიც მან გუშინ დაუშვა," - განუცხადა გუშინ ბადრი პატარკაციშვილმა "ბიზნესმენთა ფედერაციაში" შეკრებილ ბიზნესმენებს და ექსპერტებს.

ხელისუფლებასთან კონსენსუსის მიღწევის იმედი ჰქონდა გუშინ კიდევ ერთ ქართველ ბიზნესმენს, "თიბისი ჯგუფის" ხელმძღვანელს მამუკა ხაზარაძეს. იგი დარწმუნებულია, რომ დავა, რომელიც კერძო არბიტრაჟის შესაძლო გაუქმებას უკავშირდება, სახელმწიფოებრივად უნდა გადაწყდეს.

"ხელისუფლება არ უნდა აღიქვამდეს ბიზნესს, მხოლოდ როგორც გადასახადის გადამხდელს. თუ ხელისუფლებას ბიზნესმენების ნდობა არ ექნება, ასე ჩვენ ქვეყანას ვერ ავაშენებთ," - განაცხადა მან.

კომპანია "კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია კერძო არბიტრაჟის გაუქმებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

"ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამა თუ იმ პიროვნებას ყველაზე ჭკვიანი ჰგონია თავი, არადა, ეს ასე არ არის," - აცხადებდა ჭყონია, რომლისთვისაც მიუღებელია ხელისუფლების დაპირება, თითქოს არბიტრაჟის გაუქმების გადაწყვეტილება მხოლოდ 2008 წლის შემდეგ ამოქმედდება.

"რა გარანტია გვაქვს, რომ 2008 წლის შემდეგ ამ დანაპირებს შეასრულებენ, ან თავად პრემიერი ნოღაიდელი დარჩება 2008 წლამდე თანამდებობაზე?!" - აცხადებდა გუშინ თემურ ჭყონია.

"კოკა-კოლას" პრეზიდენტი "თელასის" შემთხვევასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სადავო 10 მილიონი დოლარი ქართულ ელექტროგამანაწილებელ კომპანიას სამართლიანად ეკუთვნოდა.

"კერძო არბიტრაჟის წევრები, ანუ ყოფილი დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე, იურისტი დავით უსუფაშვილი და კონტროლის პალატის ყოფილი შეფი რეზო შავიშვილი ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას არასოდეს მიიღებენ, ამიტომ სახელმწიფოს კერძო არბიტრაჟის არსებობის არ უნდა ეშინოდეს," - აღნიშნა მან.

კერძო არბიტრაჟის გაუქმების თემას გუშინ ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და ბიზნესმენი ფადი ასლიც გამოეხმაურა. იგი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გააუქმოს კერძო არბიტრაჟი, რომელსაც ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ერთგვარი მედიატორის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, უკან გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

ფადის ასლის პოზიციას სრულიად იზიარებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ნიკო ორველაშვილი. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება ნაჩქარევია. **"ეტყობა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კერძო არბიტრაჟის გაუქმების შემთხვევაში ხელისუფლება დაკარგავს ნდობას, რაც შესაბამისად აისახება ქვეყანაში ბიზნესგარემოზე. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებას აქტიურად უნდა ვესაუბროთ,"** - აღნიშნა ორველაშვილმა.

თუმცა, "ბიზნესმენთა ფედერაციაში" გამართული შეხვედრიდან, სულ რაღაც, რამდენიმე საათში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საგანგებო ბრიფინგს აწყობს და ბიზნესმენებს დიალოგზე უარს ეუბნება. **"ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი მთავრობის მიერ მიცემული შესაძლებლობის გამოყენებისთვის მზად არ აღმოჩნდა და კერძო არბიტრაჟის სისტემა ბიუჯეტისთვის შემოსავლების მოკლების და "მღვრიე წყალში თევზის დაჭერის" შესაძლებლობად გამოიყენა,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ამის მაგალითად ნოღაიდელმა თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასი" მოიყვანა, რომელმაც პრემიერის აზრით, სახელმწიფოს 10 მლნ ლარის შემოსავალი დააკარგვინა.

"დამოუკიდებელმა არბიტრაჟმა არასწორი, საგადასახადო კოდექსთან წინააღმდეგობაში მოსული გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მხოლოდ პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ველარ შევასრულებთ სოციალურ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფომ აიღო. არ მოხდება ბიუჯეტის შევსება, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით," - აცხადებდა პრემიერ-მინისტრი.

"თელასის" შემთხვევით შეშფოთებულმა პრემიერმა გუშინ ხმამაღლა განაცხადა, რომ თუ კერძო არბიტრაჟი არ გაუქმდება, ბიზნესსა და საგადასახადო ორგანოებს შორის დავები კამპანიურ ხასიათს მიიღებს, რაც ქვეყნის ბიუჯეტს მნიშვნელოვან შემოსავლებს დააკარგვინებს.

რაც შეეხება ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუარესებას, რასაც კერძო არბიტრაჟის გაუქმების შემთხვევაში ბიზნესმენები პროგნოზირებენ, პრემიერის აზრით, **"ეს არგუმენტი არ არის და პირიქით, ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საინვესტიციო გარემო გაუმჯობესდა."** ამის მაგალითად ნოღაიდელმა ქვეყანაში განვითარებული საპრივატიზაციო პროცესები მოიყვანა, კერძოდ - ახლახან ყაზახ ინვესტორებთან გამართული მოლაპარაკებები, რომლებზეც ყაზახურმა მხარემ აქტიური ინტერესი გამოთქვა საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე.

მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრი ბიზნესმენებს დიალოგზე და დებატებზე უარს ეუბნება, ეკონომიკური რეფორმების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე გამოსავალს სწორედ ამაში ხედავს. კახა ბენდუქიძის თქმით, მას კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის გაუქმება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, თუმცა იზიარებს იმასაც, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსის პირობებში, როცა კერძო არბიტრაჟს სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის მედიატორის ფუნქცია აკისრია, სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესები მნიშვნელოვნად ილახება. შექმნილ ვითარებაში, ბენდუქიძეს ერთადერთ სწორ გამოსავლად ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის საქმიანი და კონსტრუქციული დიალოგის დამკვიდრება მიაჩნია.

ოთხშაბათს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია "მაჟორიტარების" ლიდერი ბესო ჯუღელი ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა - ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა აგოს პასუხი ძველი ხელისუფლების დროს დაშვებულ შეცდომებზე. ჯუღელის თქმით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა აუცილებელი არ არის. უბრალოდ, მთავრობამ აპრიორი უნდა განაცხადოს, რომ პასუხს მხოლოდ მისი მმართველობის დროს დაშვებულ შეცდომებზე აგებს. **"თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები მეწარმეებთან ურთიერთობაში უფრო ფრთხილები იქნებიან და შეცდომებსაც ნაკლებს დაუშვებენ,"** - განაცხადა ბესო ჯუღელმა.

საქართველო - მე-6 ეკონომიკურ ფორუმზე

ბრიუსელში ევროკომისიის ორგანიზებით დაიწყო მე-6 ეკონომიკური ფორუმი, სადაც ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ასპექტები განიხილება. ფორუმში მონაწილეობენ ევროკავშირის სტრუქტურების წარმომადგენლები და ექსპერტები წამყვანი კვლევითი ინსტიტუტებიდან. ევროკომისიის საგარეო ურთიერთობებისა და სამეზობლო პოლიტიკის კომისრის, ფერერო ვალდნერის მიწვევით, ფორუმში ქართული მხრიდან მონაწილეობას იღებს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, 22 აპრილს სესიაზე - "ევროკავშირის მეზობლები მჭიდრო ინტეგრაციისაკენ" - თამარ ბერუჩაშვილი მოხსენებით გამოვა.

ფორუმის ამ ნაწილს ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო პოლიტიკის კომისარი ფერერო ვალდნერი თავმჯდომარეობს.

ფორუმში მომხსენებლად მიწვეული არიან ევროინტეგრაციის საკითხებში უკრაინის ვიცე-პრემიერი ოლეგ რიბაჩუკი და მოროკოს ფინანსთა სამინისტროს გენერალური მდივანი აბდელფიტ ლოუდი.

ფორუმზე განხილული იქნება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ახალი შესაძლებლობები. კერძოდ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე მონაწილეობის სამომავლო პერსპექტივები ევროკავშირის მეზობელი ქვეყნებისთვის, აგრეთვე, ის ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ევროკავშირის ეკონომიკურ მოდელთან დაახლოებასა და სამეზობლო პოლიტიკის ახალი შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას.

ეკონომიკური ფორუმი მუშაობას დღეს დაასრულებს.

24 საათი

ბოლნისში აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დაიწყო

როგორც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" "24 საათს" აცნობეს, ბოლნისში აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დაიწყო. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ქვემო ქართლის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად წარიმართება და, თავდაპირველად, 250 მრიცხველი დამონტაჟდება.

ამასთან, მრიცხველების შესყიდვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გაღებული სახსრებით ხორციელდება. თანხის გარკვეული ნაწილი გამგეობასა და საკრებულოს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო წარმოქმნილი დავალიანებაა, ხოლო დანარჩენი - აღნიშნულ ორგანიზაციებს წინასწარ ანუ ავანსის სახით გადახდილ თანხებად ჩაეთვლებათ.

"დღეისათვის, უკვე გადმორიცხულია 30 000 ლარი და გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. რუსული წარმოების მრიცხველების დამონტაჟების ტექნიკურ უზრუნველყოფას ინდმეწარმე "დავით კობახიძე" ახორციელებს, რომელიც დეკემბერში გამართულ ტენდერზე გამარჯვებულად დასახელდა," - განაცხადეს კომპანიაში.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ინდივიდუალური გამრიცხველიანება ხელს შეუწყობს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ზუსტი აღრიცხვა-დარიცხვის სისტემის დახვეწას, ელექტროენერგიის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას და კორუფციის ფაქტების აღმოფხვრას. ქალაქ ბოლნისში დაახლოებით 3 500 აბონენტია.

ქვემო ქართლის რეგიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანება რუსთავში და თელეთ-მარტყოფის მომსახურების ცენტრის სამოქმედო ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში განხორციელდა.

24 საათი

საქართველო აბრეშუმის გზის ქვეყნების მე-7 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას მასპინძლობს

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მხარდაჭერით, აბრეშუმის გზის ქვეყნების საერთაშორისო ტურისტული გამოფენა წელსაც საქართველოში ტარდება. უკვე მეშვიდედ, თბილისში გამართულ გამოფენაზე ქართული ფირმების გვერდით უცხოური ფირმებიც იქნებიან წარმოდგენილნი ავსტრიიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, იტალიიდან, სომხეთიდან და უკრაინიდან. გამოფენის დამთვალიერებლებს პირადად შეეძლებათ გაესაუბრონ ფირმების წარმომადგენლებს, გაეცნონ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და წინასწარ დაგეგმონ საზაფხულო არდადეგები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

დიანა ჩაჩუა

გამოფენის ორგანიზატორები და მხარდამჭერები გუშინ აღნიშნავდნენ, რომ ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რთულია ტურიზმში საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, თუმცა მსგავსი საგამოფენო საქმიანობა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა აღნიშნული მიზნის მისაღწევად. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ტურიზმის სფეროში აშკარა პროგრესი შეიმჩნევა. **"გაუმჯობესდა საკანონმდებლო გარემო დაბეგვრის თვალსაზრისით, აქტიური მარკეტინგი დავიწყეთ და პირველად გვაქვს საშუალება, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა მივიღოთ,"** - აცხადებდა იგი.

კომპანია "ექსპო ჯორჯიას" ორგანიზატორობით მოწყობილ გამოფენაზე 110 სხვადასხვა საწარმოს და ორგანიზაციის 37 სტენდია წარმოდგენილი - ტუროპერატორები, სასტუმროები, ავიაკომპანიები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, დაცული ტერიტორიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ცალკე არის წარმოდგენილი ხალხური რეწვისა და სუვენირების ექსპოზიციაც. გამოფენაში მონაწილეობს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი, მათ შორის - პირველად, აჭარა.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად, აბრეშუმის გზის ქვეყნების საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობას იღებს უკრაინა. წლევანდელ გამოფენაზე კვლავ არ არის რუსეთის დელეგაცია. შარშანდელ გამოფენაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა, რასაც ორგანიზატორები სავიზო რეჟიმსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას მიაწერდნენ. ასეთ წარმომადგენლებს შორის იყო რუსული კომპანიებიც, რომლებმაც "ქვეყანაში არსებული ვითარების გამო" უარი თქვეს გამოფენაში მონაწილეობაზე, თუმცა სურვილი გამოთქვეს, წლევანდელ გამოფენას სწვეოდნენ. ორგანიზატორების აზრით, რუსული კომპანიები და, განსაკუთრებით, მედია საქართველოს მიმართ გადაჭარბებულად პოლიტიზირებულია, რაც უშლის ხელს საქართველო-რუსეთის შორის ტურისტულ ურთიერთობებს.

იუსტიციის მინისტრი ევროკავშირის შეფასებით კმაყოფილია

თამარ მაისურაძე

"ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მუშაობით ევროკავშირის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი კმაყოფილია," - იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ასე მიესალმა ჟურნალისტებს. როგორც მისგან შევიტყვეთ, 18-20 აპრილს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების თაობაზე შუალედური მოხსენებით წარდგა.

"საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მუშაობა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი პრეცედენტია. კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოში მისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, საქართველოს მაგალითზე, ევროკავშირი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დაეხმარება", - განაცხადა კემულარიამ.

მისიის მუშაობის დასრულების შემდეგ საქართველოში მოვლენილი იქნებიან სხვა ექსპერტები, რომლებიც შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვაში დაგვეხმარებიან.

ვახო ხალილოვის ფოტო

ცნობისთვის - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ოქტომბრის განკარგულებით შეიქმნა. მისი მუშაობის შედეგად კანონმდებლობის შესაბამის სექტორებში რეფორმის სტრატეგია უნდა შემუშავდეს. სამუშაო ჯგუფი და, შესაბამისად, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია საქართველოში მუშაობას 14 ივლისს დაასრულებს. პრესკონფერენციაზე მინისტრმა თემას გადაუხვია და პენიტენციალური სისტემის დაფინანსებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, სახელმწიფოსგან გვერდში დგომის მიუხედავად, პენიტენციალურ სისტემას დაფინანსება არ ჰყოფნის. კონკრეტული ციფრების დასახელებისგან მინისტრმა თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ სისტემას გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი თანხა ესაჭიროება, რისი მიღების იმედიც კემულარიას შემოდგომაზე აქვს.

"აჭარის ენერგოკომპანიის" ხელმძღვანელ პირთა მიმართ საქმე აღიძრა

ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" საქმიანობის კომპლექსური რევიზია ჩაატარა და დაადგინა, რომ 2004 წლის განმავლობაში საზოგადოების ხელმძღვანელობამ ბიუჯეტი 7 241 275 ლარის ოდენობით აზარალა.

ამ პერიოდში ფირმამ სამი გენერალური დირექტორი გამოიცვალა, მაგრამ დარღვევები სამივე ხელმძღვანელის მმართველობის პერიოდშია აღმოჩენილი. წლის დასაწყისში ფირმას გიორგი თავაძე ხელმძღვანელობდა. მისი მმართველობის პერიოდში დაკარგულია 2 481 389 ლარის ღირებულების ელექტროენერგია. თავაძე რამაზ თურმანიძემ შეცვალა; ამ დროს 3 226 716 ლარის ელექტროენერგია დაიკარგა. რუსლან ხოროშვილი კი სექტემბრიდან დღემდე საზოგადოების გენერალური დირექტორია. ამ პერიოდშიც გაუჩინარდა 1 533 120 ლარის ღირებულების ელექტროენერგია.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის მონაცემებით, "აჭარის ენერგოკომპანიის" თანამშრომლების სახელფასო დავალიანებამ ამ პერიოდისთვის 446 000 ლარი შეადგინა. არადა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სრულიად უკანონოდ შეძენილია, დაახლოებით, 50 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ქონება, ჩამოიწერა 15 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ქონება; ასევე, ხელმძღვანელი პირები საკუთარი სურვილისამებრ ინიშნავდნენ მაღალ ხელფასებს, რაც, რა თქმა უნდა, უკანონოდ ხდებოდა, რადგან შპს "აჭარის ენერგოკომპანია" 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევებისა, საზოგადოებას რუსული კომპანია "ვინსლედინ ჰოლდინგის" 2 700 000 ლარი მართებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფირმა ელექტროენერგიის მიღება-რეალიზაციიდან წარმოქმნილ დავალიანებას 100 პროცენტით დაფარავს, საწარმოს მაინც დარჩება გადასახდელი 43.5 მლნ ლარი. როგორც ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გოჩა ჭელიძემ განაცხადა, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და გადამეტებას, რის გამოც, ფინანსურ პოლიციაში აღნიშნული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა ქვედანაყოფებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტებზე სამი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ, ამ ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა თბილისში, ქეთევან წამებული გამზირზე მდებარე საკონდიტრო საწარმო "ექმექის" წინააღმდეგ, რომელსაც თურქეთის მოქალაქე ჰალილ ლენგერლი ხელმძღვანელობს. ფინანსური პოლიციის განცხადებით, 2004-2005 წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად საწარმოს მფლობელმა 197 ათას 940 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო. თუმცა, იმის გამო, რომ საქმიანობა ლიცენზიის გარეშე ხორციელდებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტს სოლიდური თანხები დააკლდა.

ანალოგიური დანაშაულისათვის თბილისის სამმართველომ 1971 წელს დაბადებული მუხრან ცუხიშვილიც ამხილა, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში პურ-ფუნთუშეულის საცხობ საამქროს ყოველგვარი ნებართვის გარეშე ამუშავებდა. მის მიერ უკანონოდ მიღებული შემოსავალი 4000 ლარს აღემატება.

აჭარის ოპერატიულმა სამმართველომ კი ინდივიდუალური მეწარმე დურსუნ მსხალაძე ამხილა. მის ძირითად საქმიანობას თხევადი აირით ვაჭრობა წარმოადგენს. მსხალაძემ სამართალდამცველებს მისი საქმიანობის დამადასტურებელი ვერანაირი საბუთი ვერ წარუდგინა, რითაც მტკიცდება, რომ ის სამეწარმეო საქმიანობას სრულიად უკანონოდ ეწეოდა.

სამივე ფაქტზე ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის გამო, რის საფუძველზეც, მათ 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

24 საათი

ტელეოპერატორის გატაცება მშვიდობიანად დასრულდა

გუშინ სოფელ ჭუბურხინჯში, ტრადიციულ ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე მხარეები სამშვიდობო მისიათა წარმომადგენლებთან ერთად კონფლიქტის ზონაში შექმნილ კრიმინალურ ვითარებაზე მსჯელობენ და კონკრეტულ საკითხებს განიხილავენ ხოლმე, უჩვეულო ინციდენტი მოხდა - აფხაზებმა, მართალია დროებით, მაგრამ თავისუფლება აღუკვეთეს ტელეკომპანია "იმედის" ოპერატორს.

გუშინ ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრის ძირითად განსახილველ თემას გალის რაიონის სოფელ ღუმურუშში, რუსეთის სამშვიდობო ძალების 108-ე საგუშაგოზე მომხდარი ინციდენტი წარმოადგენდა. კერძოდ: გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი ლომიას განცხადებით, სამშვიდობოების პოსტს თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები, რომლებიც რუსი ჯარისკაცების განიარაღებას შეეცადნენ. ამას ორმხრივი სროლა მოჰყვა, რის შედეგადაც დაიღუპა 20 წლის ქართველი ახალგაზრდა, რომელიც გალის რაიონის მკვიდრი აღმოჩნდა.

ქართულ მხარეს კი მომხდარის შესახებ სულ სხვა ინფორმაცია აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ინციდენტი სწორედაც რომ მკვლელობით დაიწყო - გალის რაიონის სოფელ ღომურიშის გამგებლის ვაჟი, 20 წლის ლაშა ბიგვავა რუსმა "ცისფერჩაფხუტიანებმა" სახლიდან გაიყვანეს და წამებით მოკლეს. მკვლელობამდე გამგებლის ვაჟს რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად "მშვიდობისმყოფელებთან" შელაპარკება მოუვიდა, რის შემდეგაც რუსმა სამხედროებმა მათ სახლში მიაკითხეს.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ, მომხდარის გამო, ოთხმხრივი გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრას გუშინ ერთი ინციდენტიც ახლდა - მოლაპარაკების მიმდინარეობისას უცნობმა პირებმა ტელეკომპანია "იმედის" ოპერატორი აკაკი პერტაია გაიტაცეს.

თავდაპირველად მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ოპერატორი უცნობმა პირებმა ავტომობილში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ პერტაია აფხაზმა მებაჟეებმა გაიტაცეს. დაახლოებით, ერთსაათიანი მოლაპარაკებების შედეგად ტელეოპერატორი გაათავისუფლეს კიდეც.

თავად ირაკლი პერტაიას ნაამბობის თანახმად, აფხაზმა მებაჟემ მას კადრების გადაღებისას აკრედიტაცია მოსთხოვა. პერტაიას აკრედიტაცია არ აღმოაჩნდა და ამ საბაბით მებაჟეებმა მას ვიდეოკამერა და მობილური ტელეფონი ჩამოართვეს, ავტომანქანაში ჩასვეს და გალის მიმართულებით წაიყვანეს. პერტაიას თქმით, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მებაჟეებს აინტერესებდათ, თუ რატომ იღებდა იგი საბაჟოს კუთვნილ ტერიტორიას.

აკაკი პერტაიას თქმით, იგი გადაღების დროს მართლაც იმყოფებოდა აფხაზური საბაჟოს ტერიტორიაზე, თუმცა იქ იმიტომ აღმოჩნდა, რომ რუსმა სამშვიდობოებმა ჭუბურხინჯის შეხვედრის მიმდინარეობის ადგილამდე საკუთარი პოსტის გავლით არ გაატარეს.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა კახა არდიამ, რომელიც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ჭუბურხინჯში საგანგებოდ ჩავიდა.

ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ჟურნალისტის დაკავების მიზეზები აუცილებლად უნდა გაირკვეს. ქართულმა მხარემ უკვე ჩააყენა საქმის კურსში აფხაზური უშიშროების წარმომადგენლები და გალის აფხაზური ადმინისტრაცია.

სამეგრელო ზემო-სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული კი აცხადებს, რომ უშუალოდ შეხვდება რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალ გენერალ ევტეევს, აფხაზური მხარის წარმომადგენლებსაც და კატეგორიულად დასვამს მათ წინაშე დღევანდელი ინციდენტის საკითხს. არდიას თქმით, **"ოთხმხრივი შეხვედრები ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთობების დათბობას, ხოლო მსგავსი ინციდენტები ურთიერთობას მხოლოდ დაძაბავს"**. არდია არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, აფხაზურ მხარეს არიან დაინტერესებული პირები, რომლებსაც ხელს აძლევთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გართულება. არდიას განცხადებით, ისინი ყველა ზომას მიმართავენ, რათა ოპერატორს საკუთარი ვიდეოკამერა და მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს.

24 საათი

ელენე თევდორაძე გადაცემა "პატრულის" წინააღმდეგია

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან ტელეგადაცემა "პატრულის" წინააღმდეგ გაილაშქრა.

როგორც თევდორაძემ აღნიშნა, იგი მომხრეა, რომ "თავად პატრულის სამსახურს რეკლამა გაეწიოს, მაგრამ - არა იმ ფორმით, რომლითაც ეს გადაცემაში ხდება".

"ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავეებმა იმ ადამიანებზეც უნდა იფიქრონ, რომლებიც ტელეეკრანებზე ჩნდებიან და რომლებსაც შემდგომ პოლიცია ბრალს ველარ უყენებს", - განაცხადა თევდორაძემ და მაგალითად მოიყვანა ორი დღის წინ "პატრულში" ნაჩვენები თანამდებობის პირები, რომლებსაც პოლიციამ ბრალი ვერ წაუყენა და მეორე დღესვე გაათავისუფლა.

ინტერ-პრესი

პოლიციის აკადემიაში ახალი, მულტიმედიური პროგრამებით ისწავლიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პოლიციელთა მომზადების ახალი მულტიმედიური პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აკადემიის რექტორმა ლევან იზორიამ განაცხადა, პოლიციის აკადემიაში პირველადი საბაზისო სწავლებლის პროგრამები შემუშავდა, რომლებიც საპატრულო პოლიციელთა მოსამზადებლად არის განკუთვნილი.

მისი თქმით, აღნიშნული პროგრამები სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და ნორმებს. იზორიას ინფორმაციით, კურსის მსვლელობისას შეისწავლება ეთიკა, ოქმის შედგენა, დაკითხვის წარმართვა, თავდაცვის ტაქტიკის სახეები, პოლიციელთა ტექნიკური და ფიზიკური მომზადება და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უნარჩვევები.

ჯერჯერობით მომზადებულია მხოლოდ ერთი მულტიმედიური პროგრამა, რომელიც იარაღისა და ძალის გამოყენების უნარ-ჩვევებს შეეხება. სასწავლო პროგრამას ახლავს დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლთა და სტუდენტებისთვის.

აღნიშნული მეთოდით სწავლება ბულგარეთში, ჩეხეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მონღოლეთში, ტაილანდში, სლოვაკეთსა და უკრაინაში წარმატებით მიმდინარეობს. მოდულების დანერგვის პროცესი უნგრეთსა და პოლონეთშიც დაიწყო.

შს აკადემიაში 2004 წლის 20-24 სექტემბერს "ღია საზოგადოება - სამართლის" ინიციატივის ექსპერტებმა (ილზე რუკერე - ლატვია, ივანა დუფკოვა - ჩეხეთი) რამდენიმე მოდულის პრეზენტაცია მოაწყვეს. პროგრამის წარმატებით დასანერგად პოლიციის აკადემიის მასწავლებლებისთვის ტრეინინგები ამჟამადაც მიმდინარეობს.

ინტერ-პრესი

სოხუმში სადღეღამისო პატრულირება დაწესდება

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს ხანებში 60 მსუბუქ ავტომანქანას მიიღებს, რის შემდეგაც უწყებას სადღეღამისო პატრულირების საშუალება მიეცემა.

ამის შესახებ სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა სახალხო კრების - პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრაზე განაცხადა.

გარდა ამისა, მისი თქმით, შემოდგომისთვის სოხუმში მანდარინის მიმღები და გადამამუშავებლი ახალი ქარხანა აშენდება. უკვე მოიძებნა ინვესტორი, რომლის ექსპერტები აფხაზეთში უახლოეს დღეებში ჩავლენ და ახალი ქარხნის ადგილმდებარეობას განსაზღვრავენ.

ანქვაბის განცხადებით, ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს აფხაზეთში წარმოებათა უმეტესობის რეანიმაციისთვის. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ქალაქ ტყვარჩელში რეალურად დაიწყება ნახშირის მოპოვება. ინვესტორები მზად არიან წარმოებების ამოქმედების დაფინანსებასთან ერთად კონკრეტული სოციალური პროგრამები დააფინანსონ.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

რუსთავი. გუშინ რუსთავში საპატრულო პოლიციის ამუშავება უნდა აღენიშნათ, თუმცა ეს ღონისძიება 24 აპრილისთვის გადაიდო. ამის ერთ-ერთ მიზეზად შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქართველოში არყოფნა სახელდება. კვირას კი პატრულს რუსთავში, სავარაუდოდ, თავად მინისტრი ჩაჰყვება. ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსის ოთარ გურგენიძის თქმით, რუსთავში ექვსი საპატრულო მანქანა და 41 პატრული იმოქმედებს. საპატრულო პოლიცია ყოფილი საგზაო პოლიციის შენობაში განთავსდება, რომელიც სპეციალურად გარემონტდა; ასევე, სასწრაფო წესით შეკეთდა შენობასთან მისასვლელი გზა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ "კამაზის" მარკის ავტომანქანა გორის შესასვლელთან, ცენტრალურ ტრასაზე დააკავა. სატვირთო ავტომანქანა, დაახლოებით, 60 ათასი ლარის ღირებულების სასურსათო საქონლით იყო დატვირთული. ავტომანქანის მძღოლმა გია ხელაშვილმა ტვირთზე საბუთი ვერ წარმოადგინა. ტვირთის მეპატრონე ლევან იდაძე და მძღოლი ხელაშვილი დასაკითხად გორის ფინანსურ პოლიციაში გადაიყვანეს. უკვე დადგენილია, რომ ტვირთი თბილისიდან ქუთაისში გადაჰქონდათ. ფინანსური პოლიცია ეჭვობს, რომ ეს პირები ყალბი საბუთების გამოყენებას აპირებდნენ. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....

საკონტაქტო ტელეფონი ....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულია კანონპროექტები "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". დღეს გთავაზობთ დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებებს აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით. სტატიის ავტორები არიან ლევან ალაფიშვილი და დიანა ბერეკაშვილი. მეტი სიცხადისათვის, ასევე გთავაზობთ მოქმედ კანონს "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" და პარლამენტის მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტებსაც.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ, მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

საქართველოს კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ

მუხლი 1

ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

მუხლი 2

1. გაუქმებულია (7.06.2001 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/103, 117,137,147-48,152-53 გადაწყვეტილებით).

2. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, რაც დასტურდება ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა და სხვა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა), მაშინ ასეთი გარიგება წესრიგდება ამ კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3

1. თუ მოსარგებლეს უკავია ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სადგომი, მესაკუთრეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოსარგებლის მიერ ნამეტი ფართობის გამოთავისუფლება, თუ:

ა) მოსარგებლემ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ) მესაკუთრეს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის.

2. თუ მესაკუთრეს აქვს ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, იგი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოსარგებლეს ერთ სულზე ცხრა კვ.მ-ზე მეტი ფართობის გამოთავისუფლება.

მუხლი 4

1. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლებ საცხოვრებელ ფართობზე შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის ერთ პროცენტს თითოეულ კვადრატულ მეტრზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტ საცხოვრებელ ფართობზე თვეში შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის სამ პროცენტს თოთოეულ კვადრატულ მეტრზე.

3. მოსარგებლე მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა შრომისუუნარო პირები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავისუფლებულნი არიან კომუნალური გადასახადებისაგან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიან ბინის ქირას დაუბეგრავი მინიმუმის ათი პროცენტის ოდენობით.

მუხლი 5

გაუქმებულია (7.06.2001 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/103, 117,137,147-48,152-53 გადაწყვეტილებით).

მუხლი 6

1. მოსარგებლეს აქვს საკუთრების უფლება მესაკუთრის თანხმობით, საკუთარი ხარჯებით განხორციელებულ საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დათმობისას მესაკუთრე ვალდებულია, აანაზღაუროს მოსარგებლის მიერ გაწეული ხარჯები.

მუხლი 7

1. მოსარგებლე უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობის გარეშე გაუკეთოს ქონებას გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტი. მესაკუთრის ინიციატივით გარიგების მოშლის შემთხვევაში მოსარგებლეს აქვს ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

2. გაუქმებულია (7.06.2001 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/103, 117,137,147-48,152-53 გადაწყვეტილებით).

მუხლი 8

ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე კერძო საცხოვრებელ სადგომში შესახლებულ პირსა და მესაკუთრეს შესაბამისი კანონის მიღებამდე შეუნარჩუნდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით მათთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 8^{1}

"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 1 ივლისამდე მიიღოს ამ კანონში შესატანი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე სასამართლოებმა შეაჩერონ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებული დავების განხილვა, აგრეთვე შეჩერდეს სააღსრულებო მოქმედებები და საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრესა და მოსარგებლეს შეუნარჩუნდეთ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი (29.12.2004 N964).

მუხლი 9

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,
1998 წლიჲ 25 ივნისი
N1459 - IIს

საქართველოს კანონის პროექტი "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1 "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998 წელი, N25-26) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11 მუხლი:

"11. ამ კანონის მიზნებისთვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოსარგებლე - პირი, რომელიც კეთილსინდისიერად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან დადებული ფორმადაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს სარგებლობის უფლების დათმობით ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ბ) რეგისტრაცია - "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" კანონის მიღებამდე არსებული წესით საცხოვრებელ ფართში რეგისტრაცია (ჩაწერა)."

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 2

"1. თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება ბინის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე) და მესაკუთრე მოსთხოვს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, მაშინ მოსარგებლეს (ასევე მის სამართალმემკვიდრეს) უფლება ეძლევა მესაკუთრისაგან მიიღოს მის მიერ განხორციელებული შესრულება დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 80%-ის ოდენობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს აქვს უპირატესი უფლება მოსთხოვოს მესაკუთრეს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 20%) სანაცვლოდ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა.

3. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მაშინ მოსარგებლეს (ასევე მის სამართალმემკვიდრეს) უფლება აქვს მესაკუთრისაგან მიიღოს მის მიერ განხორციელებული შესრულება დაკავებული სადგომის საბაზრო ღირებულების 60%-ის ოდენობით.

4. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ დადასტურებულ უნდა იქნეს შემდეგი სამი გარემოებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა).

5. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს აქვს უპირატესი უფლება მოსთხოვოს მესაკუთრეს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 40%) სანაცვლოდ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა.

6. თუ მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ.

7. იმ მესაკუთრეს, რომლის კერძო საცხოვრებელ სადგომში ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსთხოვოს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფოს მიერ აუნაზღაურდება დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება.

8. მოსარგებლე ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას მიიღებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. მესაკუთრეს უფლება აქვს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს მე-7 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება."

3. ამოღებულ იქნეს კანონის მე-3 მუხლი.

4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 4

1. ბინის ქირის მესაკუთრისათვის გადახდის ვალდებულება ეკისრებათ ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს.

2. ბინის ქირის ოდენობა განისაზღვრება კვადრატულ მეტრზე ერთი ლარის ოდენობით".

5. კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მესაკუთრე, რომელიც მოსთხოვს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აანაზღაუროს მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე ან/და არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები".

6. კანონის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 8

თუ ამ კანონით დადგენილი უფლებები არ განხორციელდება 2010 წლის 1 იანვრამდე, მესაკუთრეს უფლება აქვს უპირობოდ მოსთხოვოს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა. "

7. კანონის მე-81 მუხლი ამოღებულ იქნეს

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონის პროექტი "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, N47-48) შევიდეს შემდეგი ცვლილება და 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და ასევე "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

ხელისუფლება "აქსტუპნიკების" საკითხით ინტერესდება

ლევან ალაფიშვილი
დიანა ბერეკაშვილი

საზოგადოების განვითარების სტაბილურობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკუთრებითი ურთიერთობები და ამ ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება.

საბჭოთა პერიოდის არსებითი ნაკლოვანება სწორედ ის გახლდათ, რომ საკუთრება გახლდათ შეზღუდული. მოგეხსენებათ, საბჭოთა რეჟიმის დამყარების საწყის ეტაპზე განხორციელდა მოქალაქეთათვის საკუთრების ჩამორთმევა, ხოლო მომდევნო ეტაპებზე დაწესდა არსებითი შეზღუდვები. მაგალითად, კანონით დაწესდა მოქალაქეს რამდენი საცხოვრებელი სახლი შეიძლება ჰქონოდა საკუთრებაში, ან რა ოდენობის ფართი გამოიყოფოდა ერთ სულ მობინადრეზე. მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, მოქალაქეებს საკუთრებაში დარჩათ საცხოვრებელი ბინები, რომელთა თავისუფალი განკარგვა არსებული კანონმდებლობის პირობებში აკრძალული, "საბჭოთა საზოგადოებისათვის" მიუღებელი გახლდათ. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კანონმდებლობის პირობებში პრაქტიკით დამკვიდრებულ იქნა სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც მოქალაქეები, რომელთაც საკუთრებაში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების კანონიერად გვერდის ავლით ახორციელებდნენ თავის უფლებებს; ეს გახლდათ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის უფლების დათმობა. მოქალაქეები წერილობითი დოკუმენტის შედგენით (რომელიც არ გახლდათ დადასტურებული სანოტარო წესით) თავის უფლებას უთმობდნენ სხვა პირებს და ამ უკანასკნელთ ჩაწერდნენ ამ ფართში. ასეთის წესით საცხოვრებელი ფართის შემძენთ "აქსტუპნიკები" ეწოდებოდათ. თვით ტერმინი "აქსტუპნიკი" გვაძლევს სამართლებრივი ურთიერთობების არსის განმარტების საშუალებას: დათმობა - რუსული "უსტუპიტ".

აღნიშნული ურთიერთობები გრძელდებოდა ათეულობით წლის განმავლობაში და ამ პერიოდში შეიცვალა თაობები. 1991 წლის შემდგომ, "საკუთრების უფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებით შეიცვალა საკუთრებითი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირება, რასაც 1992 წლიდან მოჰყვა ბინების მასობრივი უსასყიდლო პრივატიზება, ხოლო 1993 წლიდან ე.წ. მასობრივი პრივატიზაცია, შემდგომ კი 1996 წლიდან მიწების განსახელმწიფოებრივება. ამ ყველაფერმა საზოგადოებაში შვა მესაკუთრეთა ფენა, რომელთა უფლებებიც დაცული და დარეგულირებული გახლდათ კანონით. ერთადერთი კატეგორია მოქალაქეებისა, რომელთა უფლებებიც ერთმნიშვნელოვნად არ გახლდათ მოწესრიგებული კანონმდებლობით, გახლდათ სწორედ ე.წ. აქსტუპნიკები - პირები რომლებმაც ამ წესით "გაასხვისეს" ან "შეიძინეს" უფლება საცხოვრებელ ფართზე; დღის წესრიგში დადგა საჭიროება საკანონმდებლო წესით დაცულიყო როგორც "გამსხვისებელთა", ასევე "შემძენთა" უფლებები და არ დაზარალებულიყო არც ერთი მხარე. სწორედ ამ ურთიერთობების საკანონმდებლო წესით მოსაწესრიგებლად 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ", რომელშიც მოცემული გახლდათ ამ სახის ურთიერთობებისა და მოქალაქეთა უფლებების განხორციელების მექანიზმები. დრომ და პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კანონმა ვერ უზრუნველყო "აქსტუპნიკების" ორივე მხარის (შემძენი და გამსხვისებელი) უფლებების თანაბარმნიშვნელოვანი დაცვა, რამაც თავის მხრივ საწყისი დაუდო დავებსა და კონფლიქტებს ამ პირთა შორის. 2001 წელს კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონის ის მუხლები, რომლებშიც მოცემული გახლდათ ურთიერთობების რეგულირების მექანიზმები. ყოველივე ამის შედეგად საზოგადოებამ მიიღო არა სტაბილურობა და უფლებების დაცვის გარანტიები, არამედ კონფლიქტები და გაურკვევლობა, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.

ამ წინაისტორიის გათვალისწინებით, მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის ინიციატივა, რომ ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც იქნება ამ კატეგორიის მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და განხორციელების ინსტრუმენტი. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მისაღებად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტით შემოთავაზებული კონცეფცია, თუმცა შესაძლებელია ამ კანონპროექტში გარკვეული კორექტირების შეტანა.

კანონპროექტის 11 "ა" მუხლში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი დამატების შეტანა: "აგრეთვე ამ პირთა სამართალმემკვიდრეები". აღნიშნული დამატების მიღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: თვით კანონპროექტის 2.1. და 2.3. მუხლში მოცემულია პირთა ეს კატეგორია, გარდა ამისა დროის ხანგრძლივ პერიოდში შეიცვალა თაობები, რომლებიც ამ წესით ფლობდნენ საცხოვრებელ ფართებს. ამავე საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ, საჭიროა კანონპროექტში გარკვეული დამატებების შეტანა; კანონპროექტის 2.4. მუხლი სარგებლობის უფლების დათმობის დადასტურებას კანონპროექტი უკავშირებს 3 ფაქტის (ერთად) არსებობას: ჩაწერა, კომუნალური გადასახადების გადახდა და მესაკუთრისათვის საფასურის გადახდა. თუკი კანონპროექტი მოსარგებლე პირთა უფლებების დადასტურებას უკავშირებს ამ 3 გარემოებას და ამავე დროს უფლებების განხორციელების საშუალებას აძლევს მემკვიდრეებსაც, მაშინ შესაძლებელია, არსებობდეს ფაქტობრივი გარემოება, როდესაც მემკვიდრე არსებობს, იხდის კომუნალურ გადასახადსაც და მესაკუთრესაც უხდის გადასახადს - თუმცა არ არის რეგისტრირებული ამ სახლში. დაგვეთანხმებით, წინააღმდეგობა კანონის 2 მუხლს შორის სახეზეა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლით დადგენილი წესი, რომ მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონპროექტის 2.4. მუხლს დაემატოს შემდეგი წინადადება: "საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციის ფაქტის არსებობა არ არის საჭირო სამართალმემკვიდრეებისათვის".

კანონპროექტის 2.1.; 2.2.; 2.3. და 2.5. მუხლებით, ვფიქრობთ, არ არის მოცემული მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი კონცეფცია ქონების ღირებულების განსაზღვრისათვის. კანონპროექტის 2.1. მუხლით მესაკუთრისაგან მისაღები კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სადგომის საბაზრო ღირებულების 80%-ით, ხოლო 2.2. მუხლში კი - 20%-ით. საბოლოოდ გაუგებარია რა არის თვით ობიექტი: ქონება თუ მისი ღირებულება. გარდა ამისა ვერსად ვხვდებით განმარტებას ან დასაბუთებას, თუ რა პრინციპით არის აღებული ეს ციფრები. ვფიქრობთ, რომ ობიექტი უნდა იყოს ქონება და არა მისი ღირებულება. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონპროექტის ზემოაღნიშნული მუხლებიდან ციფრების ამოღება და ამ შემთხვევაში სახეზე იქნება მკაფიო, გასაგები და რაც მთავარია, ახალი კონფლიქტების წარმოშობისაგან თავის აცილების კონცეფცია: ან მესაკუთრე უხდის შემძენს დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულებას, ან უარის შემთხვევაში შემძენი იღებს საკუთრების უფლებას საცხოვრებელ ფართზე. თუ ეს კონცეფცია არ იქნება მისაღები, მაშინ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის ავტორებმა ამავე კანონპროექტში მოგვცენ ციფრების აღების პრინციპი და დასაბუთება.

ვფიქრობთ, დასახვეწია კანონპროექტის 2.7. და 2.8. მუხლებით მოცემული კონცეფცია. კანონპროექტის 2.7. მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, მოსთხოვოს მოსარგებლეს მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფოს მიერ აუნაზღაურდება დაკავებული ფართის ღირებულება. თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, ამ წესის პირობებში მესაკუთრე ყველა შემთხვევაში დამოკიდებულია მოსარგებლის ნებაზე და პრაქტიკულად ვერ განახორციელებს მის უფლებას 2010 წლის 1 იანვრამდე (5 წლის განმავლობაში), რადგანაც მოსარგებლეს რჩება უფლება არ მიმართოს სასამართლოს. მართალია, კანონპროექტის 2.9. მუხლში მოცემულია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მესაკუთრეს უფლება ენიჭება თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს სადგომის ღირებულება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლებელია მესაკუთრეს არ ჰქონდეს საშუალება გადაიხადოს საფასური და ეს საფასური შემდგომ, ხანგრძლივი დროის შემდგომ მიიღოს სახელმწიფოსაგან (3 ინსტანციის სასამართლო, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, აღსრულების პროცესი, ბიუჯეტის შესაძლებლობები და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონპროექტს 2.8. მუხლის ბოლოს დაემატოს შემდეგი წინადადება: "თუ მოსარგებლე ამ კანონის ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში არ მიმართავს სასამართლოს, მესაკუთრე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით".

დაბოლოს, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია, მოცემული იქნეს კანონპროექტის მიღების ფინანსური გათვლები, რამეთუ კანონპროექტის 2.7. და 2.9. მუხლების შესაბამისად საჭირო გახდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა.

რაც შეეხება კანონპროექტს "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59.3. მუხლში წესდება 1 თვიანი ვადა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავების განხილვისათვის, მისაღებად მიგვაჩნია და რაიმე შენიშვნა მის მიმართ არ გვაქვს, მიგვაჩნია, რომ ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის დავების დროულად და ოპერატიულად განხილვას, თავიდან აგვაცილებს საქმის განხილვის გაჭიანურებას. შემოთავაზებული კონცეფციის შესაბამისად, დავის განხილვას 3 ინსტანციის სასამართლოში, თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, დასჭირდება მაქსიმუმ 4 თვე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 1 თვიანი ვადის დაცვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მხარეებზე, რომლებსაც კანონით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და გარანტიების სარგებლობით მაინც შეუძლიათ გააჭიანურონ საქმის განხილვა-გადაწყვეტა და აღსრულება (საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, შუამდგომლობების დაყენება, საბუთის სიყალბის განცხადება, საქმის შეჩერება და სხვა), მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატება იქნეს შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლშიც, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს, ამ კატეგორიის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამის საშუალებას კი არ იძლევა 268.1."ზ" მუხლი, რამეთუ ეს მუხლი სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას უკავშირებს "განსაკუთრებულ გარემოებებს" და "მნიშვნელოვან ზიანს", გარდა ამისა ამავე მუხლში მოხსენიებულია სუბიექტიც "გადამხდევინებელი".

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კანონპროექტები მიღებულ იქნება, რაც წერტილს დაუსვამს ამ კატეგორიის პირთა შორის წამოჭრილ დავებს და საზოგადოებას მისცემს საკუთრების უფლების განხორციელების მკაფიო გარანტიებს.

სტატიის ავტორის მოსაზრებები შესაძლოა, არ ემთხვეოდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პოზიციას.

რა ეშველება ხატს



B3

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია

B3

ლუიშ ფიგუ: "არ ვიცი, შემადგენლობიდან რატომ ამომაგდეს"

B4

საზოგადოების ღირსება და ღირებულებები

გერმანულ ენაზე გამოიცა დათო მაღრაძის ლექსების წიგნი - "salve", რომლის პრეზენტაციაც გაიმართა გოეთეს ინსტიტუტში და სექტემბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგება. ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია პოეტი დათო მაღრაძე. გთავაზობთ მის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მის ახალ ლექსს.

დათო მაღრაძე

ბესო გულაშვილის ფოტო

ნოემბრის დღეებში, როცა ქართული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი წვიმაში ათენალამებდა, მაშინ ვწერდი: "ბოლო მოვლენები ნიშანია იმისა, რომ ქართული საზოგადოება გაცოცხლდა, ფერფლიდან აღსდგა. რა მისწრაფების ადამიანიც არ უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში, ველარავინ გაბედავს და აკადრებს ქართულ საზოგადოებას უკადრებელს. ეს არის გასათვალისწინებელი მაგალითი ყველა მომავალი ხელისუფლებისათვის" (ჟურნალი "თავისუფლება" №11).

დღესაც ვიმეორებ, რომ ეს არის გასათვალისწინებელი მაგალითი დღევანდელი და ყველა მომავალი ხელისუფლებისათვის.

რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობ ძველი ხელისუფლების მსგავსად ინტელიგენციის მოქრთამვასა და მასთან გამართულ აღებ-მიცემობას, ვგულისხმობ ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების პატივისცემას.

ქართულ საზოგადოებას თავისი არსებობა არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ გასაბჭოების დღიდან ხვრიტეს, გადაასახლეს, "გადარჩენილები" საკუთარი სახლების სარდაფებში ჩაასახლეს. ამ კოშმარის ფონზე საერთო შუშაბანდებში ჩურჩულით, სხვენში გადამალული აკრძალული წიგნებით, უნატიფესი თავშეკავებით, მრავლისმეტყველი გამომეტყველებით, გამომეტყველების უძირო სიღრმით, ქარაგმით, იგავითა და გადარჩენილი იუმორით იგი აგრძელებდა არსებობას და ნოემბრის დღეები, მიმაჩნია, რომ სწორედ მისი უკვდავების გამოძახილი იყო.

ქართულმა საზოგადოებამ ცეცხლში და სისხლის წვიმებში გამოატარა ის უმთავრესი ღირებულებები, რომელთა გათავისება და რომელთა მსახურება არის მადლი და მარილი ამა ქვეყნისა.

დღეს, როდესაც მეკითხებიან, რა შეიცვალა რევოლუციიდან დღემდე, გიპასუხებთ, რომ ქვეყანა იყო ჩიხში და გაჩნდა შანსი. ჩემი გადაწყვეტილება, რომ მონაწილეობა მიმეღო საქართველოს ჰიმნის ტექსტზე გამოცხადებულ კონკურსში, განა ამ პოზიციის დასტური არ არის... ძველ ხელისუფლებას, თავისი საქმიანობის ბოლო წლებში რომ გამოეცხადებინა იგივე კონკურსი, აზრადაც არ მომივიდოდა მასში მონაწილეობა, რადგან სიბინძურის გასაკეთილშობილებლად არ დავიხარჯებოდი, რომ ამით ქართული საზოგადოებისთვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა.

"ცისკრის ვარსკვლავი ამოდის..." დავწერე მე და მღერის ყმაწვილი ქართველი თუ არაქართველი საქართველოს მოქალაქე. ამის შემხედვარეს, და ჩემი ქვეყნის რეალური მდგომარეობის შემხედვარეს, მიმაჩნია, რომ არა მაქვს უფლება, არ შევნიშნო და წავუყრუო რაიმე ისეთს, რაც არ შეუწყობს ხელს ცისკრის ვარსკვლავის ორ ზღვას შუა გაბრწყინებას.

როგორც ხელოვნების მსახური (მომიტევეთ), ვხელმძღვანელობ პოსტულატით - "ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში", ან კიდევ: "ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა". და რადგან უფრო ლამაზი მინდა, ამ უბრალო მიზეზის გამო ვერ გამოვდგები აღტკინებულ მეხოტბედ და დითირამბისტად. ამ საქმის აპრიორული მოხალისენი და ოსტატები ყველა დროის ხელისუფლებას მრავლად ჰყავს და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. მე კი ჩემს მეგობრებთან ერთად იმ საზოგადოების მსახურებას განვაგრძობ, ვის სულიერ მემკვიდრეობაზეც თავი დამიდია და ვიტყვი, რომ ქართული საზოგადოება ხელისუფლებისაგან არ არის იმის ღირსი, რომ სამეცნიერო სამყაროსათვის შემთხვევითმა ადამიანებმა ხელისუფლების სახელით რჩევა-მითითება მისცენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, თუ ვინ აირჩიონ რექტორად, მიუხედავად ზემოხსენებული საბჭოს უამრავი შეცდომისა.

ჩემი გულწრფელი წადილია, რომ ჩვენ, სახელმწიფოს მოწყობით, საზოგადოების ცხოვრების წესით, ჩვენი ერის სულიერი თავგადასავლის ერთგულებით ევროპისკენ წავიდეთ და პროტესტი მაშინ მეუფლება, როცა ევროპისგან თავქუდმოგლეჯილები შორს გავრბივართ. ზემოხსენებული მაგალითი ევროპიდან გაქცევაა და ამიტომაც ვამახვილებ ყურადღებას. მერწმუნეთ, რომ ევროპის ქვეყნების ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ იკადრებს, რომ უნივერსიტეტის პედაგოგებს მიუთითოს, ვინ უნდა იყოს სასწავლებლის ხელმძღვანელობაში.

ქართული საზოგადოება არ არის იმ შეურაცხყოფის ღირსი, რომ დედაქალაქის თავის არჩევის უფლება არ მისცე. რუსეთის თვითმპყრობელობამაც კი არ აკადრა ეს ჩვენს ხალხს და თბილისის მოსახლეობამ დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში ქალაქის თავად დიმიტრი ყიფიანი აირჩია. ჩემი და ჩემი მეგობრების მიერ გამართულ აქციებში, როცა თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევას ვითხოვდით, დევიზით - "არჩევანი თბილისელებს, ღირსება თბილისს!" დღევანდელი ხელისუფლებაც ხომ მონაწილეობდა...

ახლა მე გეკითხებით: რა შეიცვალა და რატომ რევოლუციიდან დღემდე?..

უნდა დაინიშნოს ქალაქის თავის პირდაპირი არჩევნები. ირიბად და ზიგზაგით შეგვიძლია საკუთარი მეგობრები ავირჩიოთ.

ქართული საზოგადოება არ არის ხელისუფლებისაგან დაცინვის ღირსი, რომ ძველ ქალაქში, მის ისტორიულ ნაწილში არც ერთ დაზიანებულ შენობას არ უმკურნალო და ფასადები საღებავებით "წათხიპნო" (სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია). ეს იგივეა, რომ მიცვალებულს ფერუმარილი წაასცხო და მერე გაცისკროვნებული სახით საქვეყნოდ შესძახო: ნახეთ, ცოცხალივით ხომ გამოიყურება!..

ფასადს იქით, თბილისის მოქალაქე საკუთარი ბინის კედლის ბზარიდან ცას რომ უყურებს, ის არის შენი და ჩემი სამშობლო. ამას განცდა უნდა და ზრუნვა სჭირდება. სხვის თავმოსაწონებლად ცხოვრება კი არ ვარგა.

- საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ, - დიდებული ნათქვამია. პირიქით კი უხერხულია, რომ მუდმივად შენ ცდილობდე, გამოაჩინო საქმე, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს.

ყოველივეს იმიტომ ვამბობ, რომ ზემოთქმული მაგალითები სიმპტომებია ერთი, ზოგადი ტენდენციისა, რომელიც, ჩემი ფიქრით, ამგვარად შეიძლება გამოიკვეთოს - მთავარი ის კი არ არის, რომ საქმე გაკეთდეს, არამედ ის, რომ ხალხს ეგონოს, რომ საქმე კეთდება.

სახელმწიფო შეცდომებზე მითითებით, მათი აღიარებითა და გამოსწორებით შენდება და არა ოვაციის შეძახილით.

ულირსობაა, როცა ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც სტუდენტობის მუდმივ პოლიტიზირებას ცდილობენ. თუ ჩემი აზრი ერთ სტუდენტს მაინც აინტერესებს, თუ რომელი პოლიტიკური ორიენტაციისკენ წავიდეს, მე იმ ერთ სტუდენტს ვურჩევდი - პაემანზე წავიდეს.

თვალსაჩინოებისთვის კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება ნიშნად იმისა, რომ ქართული საზოგადოება ხელისუფლებისაგან აბუჩად აგდების ღირსი არ არის, მაგრამ დღეს აქ შევჩერდეთ.

ჩვენო ხელისუფლებავ, თქვენში ზოგიერთი ჩემი მეგობარია და ფიქრობს, მერე რა, რომ ვიღაც პოეტია, მერე რა, რომ ვიღაც პროზაიკოსია, მერე რა, რომ ვიღაც მხატვარია... მერე და ის, რომ არ არის სავალდებულო, თქვენც ლექსები წეროთ, თქვენი გამოსვლები ხშირად ამის უშედეგო მცდელობაა. მერე და ის, რომ კედლის მოხატვისას მხატვარს დაუძახეთ და თქვენით ნუ წათხუპნით ქალაქის შენობებს, თორემ "ბეღურების გადაფრენიდან" ყველას ერთი შეკითხვა გვახსენდება: - მალიარი ხარ, ბიჭო?..

ჩვენო ხელისუფლებავ, მე ლექსის მწერალი ვარ და არა სუპერქანჩი, დღემუდამ ტელეკამერების წინ ვიარშიყო. მითქვამს და თუ გამგონე ხარ, გაიგონე. თუ გაშმაგებული რეაქცია არ გექნება და გაიგონებ და მტერ-მოყვარის გარჩევას შეძლებ, ვფიქრობ, შენც წაგადგება და რაც მთავარია, ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოსაც.

P.S. ერთიც მინდა ჩვენს ხელისუფლებას შევახსენო: ჩემმა მეგობრებმა და მეც მათ შორის, ნოემბრის რევოლუციაში ჩვენი გვარი და სახელი და ჩვენი წუთისოფელი დავდეთ, განსხვავებით მათგან, ვინც გვარიც, სახელიც და წუთისოფელიც ნოემბრის რევოლუციით იშოვა. ასეთი რამ ეგრეთ წოდებულ "თავის საქმეში" ხელმოცარულ ხალხს ემართება ხოლმე.

პრემიერა

მონაწილეობენ:

ჰამლეტი - დათო
ოფელია - ვენერა (ჩემი ძველი შეყვარებული)
პოლონიუსი, იგივე იეფთაე - ვენერას მამა
ლაერტი - ვენერას ძმა
ჰორაციო - ჩემი მეგობარი
სხვა აქტიორებიც ჩვენი უბნელები არიან

ერთი წელია, რა მინდა, ვიცი,
რადგან გმირი ვარ და არა მოწმე,
მთავარი როლი დანიის პრინცის
ბევრი ჭოჭმანის გარეშე მომცეს.

როლები მქონდა, მაგრამ ჰამლეტი
მეძახდა, როგორც ბარძიმს ზედაშე,
ხან ისე, როგორც აღმოსავლეთი
მუსლიმს მუდმივად უხმობს მექაში.

ასე მიხმობდა დანიის პრინცი
და გავხდი გმირი ყოფილი მოწმე,
წამართვეს ზეცა და ახლა ვიცი,
რა ცის სანაცვლოდ რა მიწა მომცეს.

წამართვეს ცა და მომცეს ბილეთი,
ციდან მიწამდე, ფიქრების ჭვარტლით,
და რეჟისორი არის იმედით,
ლამანჩელისგან რომ ჰამლეტს გავთლი.

და მელოდება როგორც საკანი
საკუთარ ეჭვის და ფიქრის სმენა
და შხამიანი იატაგანით
პროვინციული თეატრის სცენა.

სხვის სიმარტოვეს შემოვრჩი უძმოდ
და ძველი საძმოს ღამის ნარჩენებს
გზას გასავლელი კარისკენ უხმოდ
საჩვენებელი თითით ვაჩვენებ.

ფიქრს ვაფრთხობინებ რიჟრაჟის მამლებს
და მივაგენი ვიწრო ბილიკით,
რომ მე კი აღარ ვთამაშობ ჰამლეტს,
როლი მთამაშობს ახლა პირიქით.

და მონასტერში ვგზავნი ვენერას,
მას ოფელიას უნდოდა როლი...
აქ მირაჟია და ეფემერა,
- იქ, მონასტერში წადი, ვენერა.

მე შენ მიყვარდი, მაგრამ, მერე რა,
პრინცსაც უყვარდა დიდი ხნის წინათ,
და ოფელიას, ანუ ვენერას
მსურს მონასტერში დავუდო ბინა.

ხოლო მისსა ძმას ლაერტა - "ლაყეს",
რომელიც მიმზერს თვალებით ავით,
მინდა პირლია საფლავში ჩავყვე,
თუკი ვენერამ წყალს მისცა თავი.

და იეფთაე, ჩლახო ბებერო,.
მე შენს ქალიშვილს ველარ ვეხვევი,
თუ ძველებურად ერთიც შევბერო,
გიჯობს, არ შემხვდე სადმე შემთხვევით.

რის სმოკტუნოვსკი, რა ოლივიე,
რამდენი მზერა ცეცხლის მკვესავი...
რადგან მე ერთმა რაც მოვილიე,
ვერავინ იტყვის ამას ჩემსავით:

- რომ დანიაში... სერ უილიამ,
გთხოვ, რომ შემინდო კერძო ჩურჩული,
- რომ საქართველო საპყრობილეა,
- რომ საქართველო არის ჯურღმული.

აქედან საით, ჟღალო გვრიტებო,
მიფრინავთ, რადგან ასეა ალბათ,
რომ დანიაში... გთხოვთ მომიტევოთ,
საქართველოში რაღაცა დალპა.

და მოვარდება წყალი სატივე,
- ცუდ ამბებს ვხედავთ,
ცუდს ველოდებით, -
ელსინორაში... ო, მაპატიეთ,
თბილისში ასე სვამენ ლოთები.

და მე ტუსაღი და პატიმარი
ბედნიერი ვარ ჩემი სასჯელით,
რადგან უბეში, როგორც ჩინარი
ჩაფენილი მაქვს დროშის ნაჭერი.

ჩაფენილი მაქვს ხმელი ფოთლები -
როგორც არსობის პური და შვრია,
თუ სიცხიანი გავიოფლები,
შუამთის ტყეში იწყებენ შრიალს.

და ჩაფენილი სატრფოს თავშალი,
რაც ყელზე ყულფად გავნასკვე შემდეგ,
თეთრი ხომალდის აფრად გავშალე...
თავისუფალი დავუხვდი ზემდეგს.

- სალამი, ყველას! გმირო, ლაჩარო,
ძველო მსაჯულო, რკინის ხუნდებით,
ვარ, როგორც სიტყვა თქმული საჯაროდ
და ჩემს სხეულში ველარ ვბრუნდები.

ვარ დახლზე თევზი, თევზის ვაჭარო,
და ფასი მადევს მხოლოდ ნაპირზე,
მინდა ეგ ბადე უკან გაგჩარო,
გაგხადო ჩემი სიტყვის სამიზნე.

პოეტსაც ასე ედება ფასი,
როცა მოწყდება მზიან ტაროსებს,
როცა ეტყვიან შენდობას თასით
და შემოდებენ წიგნის თაროზე.

და გარდამოხსნა ქრისტესი როგორც
წიგნი გადმოვა ხელში თაროდან
და შეყვარებულ ბიჭსა და გოგოს
ის გაახარებს რაც გვიხაროდა.

მანამდე არც რას სიკეთე უჩანს,
ფუჭია ყველა ნატრაბახევი,
მოხალულ ნიგოზს მთავაზობს ქუჩა
ჩემი აფიშის კიდის ნახევით.

და ვტოვებ სცენას და უკვე ვიცი,
თეატრიც იქცა სულის საბაჟოდ,
და ვტოვებ ნიღაბს დანიის პრინცის,
მოვდივარ ხალხში და ცხოვრებაში.

მოვდივარ, თქვენკენ გამომაქანა,
საკეთილდღეოდ, თუ საზიანოდ
და მივუჯდები საბეჭდ მანქანას,
ვით საკონცერტო ფორტეპიანოს.

და პრემიერა ვარდება რადგან
დასში არ არის მეტი ჰამლეტი,
თუმცა ჰგონია თითეულ მათგანს
შემთხვევით ასცდა ბედის ნაფლეთი.

და ჰორაციო, რასაც გიყვები,
თუ გყვარებივარ, ჩემი ამბავი
ამცნე ქვეყანას და ეს სიტყვები
არ დამიტოვო დაუსტამბავი:

- ცოცხალი უფრო გავცოცხლდი, ვფიცავ,
და რომ სამყარო ვიგრძენ სრულებით,
შევეხე ზეცას,
შევეხე მიწას,
მლვიძარე გრძნობის ხელისგულებით.

თეატრში ვტოვებ ჰამლეტის ნიღაბს,
ცხოვრება თავის საკმეველს აკმევს
და ვუბრუნდები საკუთარ იღბალს,
ვით შუაგზაში მიგდებულ საქმეს.

აფიშა

კონცერტები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
ცეკვის ზეობა
მონაწილეობენ ანსამბლები "რუსთავი", "სუხიშვილები", "იმედი"
დას: 19:00 სთ.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
კონსერვატორიის ასპირანტთა კონცერტი
დას: 19:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"რობოტები"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"ხერხი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ზარი2"
დას: 18:00; 22:00 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ.

გამოფენები

ქარვასლა
რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები
ლეონიდ ტიშკოვი
"სოლვეიგი. ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი" - ინსტალაცია

რუსეთის სახელმწიფოს ხალხური ხელოვნების სახლი წარმოაჩენს სანკტ-პეტერბურგის "ქვილთ-კლუბის" გამოფენა "წიგნი დაბადებისა"

სამამულო ომის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

TMS
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა
გერმანელი მხატვრის ბერნარდ შვარცერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ჰობი
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

ცენტრ-პოინტის გალერეა
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები
კინოს სახლი
"ფარვანების თამაშები"
(რეჟისორი ა. პროშკინი)
დას: 20:00 სთ.

კინომსახიობთა თეატრი
მოსკოვის მუსიკალური თეატრი "ჰელიკონ-ოპერა"
ჯ. ლემპი "პირამოსი და თისბე"
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
მოსკოვის "თეატრი DOC"
ე. ისაევა "მესამეკლასელი ალიოშა"
დას: 19:00 სთ.

კლუბები

ნოა-ნოა
"შედოუქეთი" წარმოადგენს:
დი-ჯეი Queen Nakadia-s (ბანგოკი)
ასევე, ადგილობრივი დი-ჯეები: ლილუ, ქეში და ედგარ სებისი
კლუბის გახსნა: 20:00 სთ. ბილეთის ფასი: 30 ლარი;
"შედოუქეთის" ვირტუალური ფან-კლუბის წევრებისთვის: 20 ლარი; დასაჯდომი ადგილები: 50 ლარი.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

რა სარგებლობა მოაქვს ცხვარს

სოფიო თოდუა

ცხვარი მეტად სასარგებლო ცხოველია. ცხვარი გვაძლევს მატყლს, მატყლი - თექას, თექა კიდევ ტანსაცმლისა და აქსესუარების ფართო ასორტიმენტს.

ყველგან, სადაც ამ უწყინარ ცხოველს აშენებენ, იციან, რა არის თექა და რა უპირატესობა აქვს ამ ქსოვილს. ჯერ ერთი, ნატურალურია, რაც ჩვენს საუკუნეში იშვიათობაა; მეორეც თბილია; დაბოლოს, ძალიან ლამაზია. ეს იციან ევროპაში, ამერიკასა თუ ავსტრალიაში, ეს იცოდნენ საქართველოშიც. თავდაპირველად თექას მწყემსები კარვების გადასახურად იყენებდნენ, ოღონდ ასეთი თექა ხარისხიანი და გამძლე უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით მოთელილ მატყლზე ფიგურები და ფერები გაჩნდა, სულ ახლახან კი თექა აბრეშუმით დამშვენდა და მოდურ ქსოვილად იქცა.

დღეს თექის ნივთებზე დიდი მოთხოვნილებაა. თექას იყენებენ როგორც ინტერიერების დასამშვენებლად, ისე ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის გასაწყობად: ხალიჩები, ფარდები, გადასაფარებლები, ჩანთები, ქუდები, ქამრები, ჩექმები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰაეროვანი მოსასხამები თუ საქორწილო კაბებიც. გასული საუკუნის მიწურულს, როცა საბჭოთა "შირპოტრებს" დასავლური ავანგარდი ჩაენაცვლა, ქართველმა დიზაინერებმა თუშეთში სიარულს მოუხშირეს და პარალელურად ევროპელ დიზაინერთა კატალოგები თუ ვებსაიტებიც მოიძიეს. დასავლური და აღმოსავლური ტექნოლოგიების გვერდიგვერდ დანერგვამ შედეგი გამოიღო: მარტო თბილისში თექის რამდენიმე

იური ლობოდინის ფოტო

სახელოსნო გაიხსნა. ვიწრო სპეციფიკის მიუხედავად, გამორჩეულ ხელწერაზე ლაპარაკი უკვე ამ შემთხვევაშიც შეიძლება. "თექამიქსის" სახელოსნო, რომლის გამოფენაც გუშინ გაიხსნა ხელოვნების მუზეუმში, ერთი მათგანია.

"თექამიქსი" არც ისე დიდი ხნისაა და სანამ მისი ხელმძღვანელი ნატო ჯაფარიძე საკუთარ სახელოსნოს გახსნიდა, მანამდე მანაც იგივე გზა განვლო, რაც დანარჩენებმა. სხვა სახელოსნოებისგან განსხვავებით, მათი პრიორიტეტი ქსოვილების დამზადებაა, რაც, თავის მხრივ, თექის გამოყენების სფეროს საგრძნობლად აფართოებს. უმთავრესი, რაც აქ მოთელილ თექას გამოარჩევს, ეს ქსოვილზე დატანილი ფიგურების მყარი კონტურები და ბზინვარებაა, რაც აბრეშუმის გამოყენებით მიიღწევა. როგორ ახერხებენ ამას, ეს, ცხადია, ფირმის საიდუმლოებაა და, შესაბამისად, ძვირიც ღირს. ისედაც, თექის მოთელვა მხოლოდ ხელით შეიძლება და მისი ფასიც, ბუნებრივია, სხვა ქსოვილებთან შედარებით, მაღალია. ერთი კვადრატული მეტრი საშუალოდ სამოცდაათი დოლარი ჯდება.

იმისთვის, რომ ჩვეულებრივი მატყლი ნაზ ქსოვილად იქცეს, საჭიროა საუკეთესო მატყლი, ხარისხიანი საღებავი, დიდი მოთმინება და კარგი გემოვნება. ორი სიტყვით ასეც შეიძლება ითქვას: ყიდულობ მატყლს, კარგად რეცხავ, მერე ქიმიურ ან ბუნებრივ საღებავში ღებავ, როგორც აპლიკაციას, ისე აწყობ ნახატს და დიდხანს თელავ ორივე მხრიდან. მთავარი სირთულე სწორედ აქ იწყება: მოთელვის დროს საღებავები ერთმანეთში გადადის და ნაჭერიც უნიჭო მხატვრის აბსტრაქტულ ტილოს ემსგავსება. სააღდგომო გამოფენაზე წარმოდგენილი "თექამიქსის" ექსპონატები - დეკორატიული კვერცხები, მარაოები, ქუდები, ქვედაკაბები თუ მოსასხამები, - ზედმიწევნით ასახავს როგორც ტექნოლოგიურ სიახლეს, ისე ტრადიციებისადმი ერთგულებას და ამ სფეროში ნოვაციის დანერგვის მცდელობას.

როგორც გაირკვა, შეძლებული ქართველები თექას ნაკლებად ეტანებიან და მყიდველი უმთავრესად დასავლეთიდან მოდის. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: იმ ქვეყნებშიც კი, სადაც თექის წარმოება მრავალ საუკუნეს ითვლის, ქართული თექა კარგად ფასობს. ნატო ჯაფარიძისა და მისი სახელოსნოს (მაია ურუშაძე, ნინო ჯაში, თეა ჯაფარიძე, ნინო იოსავა, მაია ნადარაია, ანი ანტლაძე) ნაწარმიც უმთავრესად უცხოეთში იყიდება. ეს არც რეკლამაა და არც ანტირეკლამა - ეს, უბრალოდ, რეალობაა. აქედან დასკვნა: რადგან ჩვენი ბაზარი აქ წარმოებული თექის ასათვისებლად ჯერჯერობით მზად არ არის, იქნებ სჯობდეს, თექის ყველა სახელოსნომ ერთობლივი გამოფენა მოაწყოს და ქართველი ესთეტები აქაური პროდუქციით დააინტერესოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქაც იგივე მოხდება, რაც სხვა სფეროში: ადრე თუ გვიან ქართულ თექას უცხოური ჩაენაცვლება და ბეკეკები მხოლოდ გაზაფხულზე, ჩაქაფულის სეზონზე გაგვახსენდება.

ერთი ფიროსმანი და ბევრი მირზაშვილი

თეონა ჯაფარიძე

ეს არც ორიგინალებია და არც რეპროდუქციები: - თენგიზ მირზაშვილის მიერ ფიროსმანის მოტივებზე შექმნილი ნამუშევრები ერთდროულად ფიროსმანის კვლევისა და შესწავლის პროცესიც არის და დამთვალიერებელში ფიროსმანის განწყობასაც ბადებს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მაღალი ხარისხის რეპროდუქცია. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი უფრო მეტად იმაზე ვფიქრობ, როგორ გაუწყოთ და რა დავარქვა გამოფენას, დღეს საღამოს ზუბალაშვილების ქუჩაზე, ხელოვნების სახლ **"თაგისში"** რომ გაიხსნება - ფიროსმანი და ფიროსმანის მოტივები თუ მხატვარ **თენგიზ მირზაშვილის** პერსონალური გამოფენა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ "თაგისში" ორივე მხატვარი გამოიფინება: აქ ფიროსმანის მოტივებთან ერთად მის ერთ-ერთ, ახლად გამოჩენილ ორიგინალს **"შავ დათვსაც"** შეხვდებით. მაგრამ ფიროსმანის გვერდით პრეტენზიული გამოფენა ისეთი უპრეტენზიო მხატვრისთვის როგორიც თენგიზ მირზაშვილი ანუ ჩუფჩიკაა, ცოტა შორსაა.

"შავი დათვი" გალერეის ცალკე კედელზე დაიკიდება, გალერეის დარჩენილ სივრცეს კი მირზაშვილისეული ფიროსმანის მოტივები დაიკავებს, ანუ ეს ფიროსმა-

ნის ერთი ტილოს გამოფენაა საინტერესო ფონისა და მოტივების თანხლებით.

მაინც როგორია ეს ფონი და მოტივები? ზემოთ ვახსენე, რომ მათგან ფიროსმანისეული უფრო მეტი სიგნალი და მუხტი მოდის, ვიდრე ყველაზე კარგი ხარისხის რეპროდუქციიდან ანდა ოსტატურად შესრულებული ასლისგან. ალბათ იმიტომ, რომ მირზაშვილი იმას კი არ ცდილობს, რომ ფიროსმანს დაემსგავსოს, არამედ, უბრალოდ, ის ფიქრობს ფიროსმანზე. მირზაშვილის ფიროსმანისეული მოტივები ეს ხატვის პროცესისა და ფიროსმანზე ფიქრის დემონსტრირებაა და არა მისი კოპირება.

ბევრი ტილო კომპოზიციურად მეორდება, მაგრამ მონასმები, ტექნიკა, მასალა დაუფარავად და აშკარად თენგიზ მირზაშვილისაა. ბევრი კომპოზიცია საერთოდ ჩუფჩიკასგანაა შეთხზული, მაგრამ ფიროსმანის განწყობა იმდენად ძლიერია, რომ მირზაშვილისეული სიუჟეტი, ერთი შეხედვით, შეიძლება ფიროსმანს მიაწერო. ბევრგან კი მხატვარი ფიროსმანის რომელიმე ტილოს მხოლოდ ფრაგმენტს გვთავაზობს კინოს ერთი კადრივით. ერთი სიტყვით, აშკარაა, მხატვარი დამთვალიერებელსა და საკუთარ თავს ლაღად ეთამაშება და თანაც დაუსრულებლად სწავლობს ფიროსმანს.

"ეს ასეთი ჟანრია, როცა რომელიმე მხატვარს მიმართავ. სტუდენტობის დროს დიურერით ვიყავი გატაცებული", - მიხსნის ის. მაგრამ დიურერი მხოლოდ სტუდენტობის დროს იყო, ფიროსმანი კი მხატვრის ცხოვრების თანამგზავრად იქცა. შეგახსენებთ, რომ მირზაშვილის სახელს უკვე მრავალი წელია უკავშირდება ფიროსმანის ახალი ტილოებისა თუ ნიკალას შთამომავლების აღმოჩენები და ლექციები მხატვარზე. ის ფიროსმანის ექსპერტია, "ოღონდ არაოფიციალური", - მისწორებს ის. ახლად გამოჩენილი ფიროსმანი შესამოწმებლად ყოველთვის მასთან მიაქვთ. "ყოველთვის ვხვდები, რომელია ყალბი და რომელი არ არის ფიროსმანი. მისი ტექნიკის საიდუმლოებაა მინიმალური საშუალებით მაქსიმალურის მიღწევა", - ამბობს ბატონი თენგიზი.

დღეს კი დამთვალიერებელი "თაგისში" ფიროსმანის ერთ ტილოსა და მირზაშვილის ბევრ ვარიაციას ნახავს ფიროსმანის თემაზე.

"დაიკიდე" და მოდუნდი

გაქურდული ტარანტინო ანუ სახელმძღვანელო ქართული შოუბიზნესისთვის

ია ვეკუა

კინოთეატრი "რუსთაველი" აგრძელებს საყმაწვილო კომედიების გადმოქართულების ტრადიციას, თუმცა, ამჯერად შედარებით უფროსი ასაკის მაყურებლისთვისაც გაისარჯა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ფილმი სიუჟეტით და მსახიობების შემადგენლობით ნაკლებად ჰგავს გაკვეთილებიდან გამოპარული თინეიჯერების ფავორიტ "ევროტურსა" და "დაბოლილებს", სათაური 19 წლამდე ასაკის მაყურებლისთვის ერთობ მომხიბლავად და მშობლიურად ჟღერს. "დაიკიდე" (ორიგინალში Be Cool) - ასე ჰქვია ჰარი გრეის ახალ ფილმს, რომელშიც კვენტინ ტარანტინოს საყვარელი მსახიობების თითქმის სრული შემადგენლობაა წარმოდგენილი.

ჰარი გრეი ფართო მაყურებლისთვის ნაკლებად ცნობილი რეჟისორია, თუმცა, კინოს მოყვარულებს მაინც ემახსოვრებათ მისი დრამა "მომლაპარაკებელი" სემუელ ჯეკსონითა და კევინ სპეისით მთავარ როლებში. ამჯერად მან ჰოლივუდის ელიტაში შეძლო შეღწევა და ფილმში საკმაოდ წარმომადგენლობითი სამსახიობო შემადგენლობა დააკავა: ჯონ ტრავოლ-

ტა, უმა თურმანი, ჰარვი კეიტელი, დენი დე ვიტო და ვინს ვონი. ფილმისთვის მსახიობები შოუბიზნესიდანაც ამოკრიბა. "დაიკიდე" კინოდებიუტად იქცა სტივენ ტაილერისთვის, "აუტკასტის" წევრებისა და კრისტინა მილიანისთვის.

ორიგინალური სათაურის მქონე ფილმი ბარი ზონენფელდის "დაიჭირე ქონდრისკაცის" სიკველია. ეს ფილმი 1995 წელს გამოვიდა ეკრანებზე და მაშინვე ჰიტად იქცა. "დაიჭირე ქონდრისკაცი" ტრილერის, მძაფრსიუჟეტიანი ფილმისა და კომედიის სინთეზურ ჟანრს განეკუთვნება. მთავარი გმირი, განგსტერი ჩილი პალმერი (მას ჯონ ტრავოლტა თამაშობს და ფილმში მაფიის ვალების ამოღება ევალება) ჰოლივუდში კარიერის გაკეთებას გადაწყვეტს, რისთვისაც საკუთარი ცხოვრების შესახებ სცენარს შექმნის. იმისთვის, რომ ფილმი გადაიღოს, მხოლოდ სურვილი არ კმარა, ამიტომ იძულებულია, პროდიუსერს (ჯინ ჰეკმანის არაჩვეულებრივი როლი) იმავე მეთოდებით აართვას ფული, როგორც ამას "წინა ცხოვრებაში" აკეთებდა. თუმცა, "ხელოვნებასთან ზიარების" მიუხედავად, ჩილი პალმერი მაინც ვერ შეძლებს მაფიოზური კლანებისგან გათავისუფლებას.

"დაიკიდეში" ტრილერი და დრამა სრულიად დაკარგულია და მაყურებელი მხოლოდ კომედიის ამარა რჩება (რასაც ქართული იუმორის "მამები" უფრო სასაცილოს ხდიან). კინოწარმოებისგან მიღებული იმედგაცრუების შემდეგ ჩილი პალმერი მუსიკალურ ბიზნესში გადადის იმის იმედით, რომ იქ უფრო "სუფთა" სიტუაცია დახვდება. პალმერი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ აქაც ყველას თავისი "კრიშა" ჰყავს - რეპერებს შავი საძმო, ხოლო რუსულ და უკრაინულ მაფიას პოპი აქვს "ჩაბარებული".

ექსგანგსტერი პალმერი ერთ-ერთ ბარში მულატ მომღერალ ლინდა მუნს (კრისტინა მილიანი) აღმოაჩენს და მასში დიდ პოტენციალს დაინახავს. სწორედ აქ გამოდის სცენაზე უმა თურმანი, რომელიც ცნობილ მუსიკალურ პროდიუსერს თამაშობს და საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიაც აქვს. ტრავოლტა-თურმანის კინოწყვილი ახალბედა მომღერლისგან ვარსკვლავის შექმნას განიზრახავს.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ფილმის ყურებისას გეგონებათ, რომ ისევ "დაიჭირე ქონდრისკაცს" უყურებთ, რადგან საკმაოდ ბევრი ეპიზოდი და კომედიური სცენები პირდაპირ გადამღერებულია. ჰარი გრეი ტარანტინოსთვის მსახიობების უსინდისოდ "მოპარვას" არ დასჯერდა და "მაკულატურიდან" ვინსენტ ვეგასა და მია უოლესის (ტრავოლა და თურმანი) ცეკვის ცნობილი სცენაც გადაამღერა.

"დაიკიდეს" ქართულად ამჯერადაც ყოფილი "105-ელები", ქრისტინე იმედაძე, ვანიკო თარხნიშვილი, ვერშემდგარი მეფე ლადო ბურდული და ნინი ბადურაშვილი ახმოვანებენ. ამ უკანასკნელს მხოლოდ სამსახიობო კი არა, სასიმღერო მონაცემების გამომჟღავნებაც მოუხდა, რადგან ფილმის ქართულ ვერსიაში კრისტინა მილიანი სწორედ მისი ხმით მღერის. შეიძლება ითქვას, რომ "დაიკიდე" მისი გამხმოვანებელი შოუბიზნესელებისთვის ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება იმის გასაგებად, თუ როგორ იქმნებიან ვარსკვლავები. ფილმი 22 აპრილიდან ერთდროულად გამოვა "რუსთაველისა" და "ამირანის" ეკრანებზე.

რა ეშველება ხატს

ნათია ლურსმანაშვილი

2001 წელს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში საგანძურის განყოფილებას სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს წარმომადგენელმა რომან ფოჩხუამ მიაკითხა. თან ოქონის ტრიპტიქონის ქსეროასლები ჰქონდა და მის წარმომავლობას კითხულობდა. საგანძურის მცველმა, ქალბატონმა ელენე კავლელაშვილმა აუწყა, რომ ეს ის ტრიპტიქონია, რომელიც ცხინვალის მუზეუმში ინახებოდა. რომან ფოჩხუამ სიხარული ვერ დამალა - ე.ი. ჩვენი ყოფილაო. **"გამოგიტყდებით და საკმაოდ გაოცებული ვუყურებდი, ვერ ვხვდებოდი, რაზე იყო საუბარი. თუმცა, მოგვიანებით ამიხსნა, რომ უკვე 1992 წლიდან აღარ იყო ცხინვალში და სულ ახლახან კრისტის აუქციონზე იყო წარდგენილი"** (ელენე კავლელაშვილი).

ხატი აუქციონზე წარადგინა ვინმე ზემლიანიკოვის ადვოკატმა. ტრიპტიქონი 2 მილიონ დოლარად შეაფასეს (საწყისი ფასი). თუმცა, დაეჭვდნენ და ექსპერტ კაზმირა პლაჩკოვას გაუგზავნეს. სწორედ მან დაადგინა ხატის წარმომავლობა. ზემლიანიკოვი დააკავეს. მისი განცხადებით, ხატი მამამისისგან დარჩა, რომელიც ექიმი იყო და ტრიპტიქონი ვილაცამ აჩუქა. სამწუხაროდ, არც მამამისი და არც ის ადამიანი, ვინც ხატი მოუტანა, ცოცხლები აღარ იყვნენ.

ტრიპტიქონი 2001 წლიდან 2004 წლის მაისამდე ჟენევის კანტონის სასამართლოს საკანში იყო ჩაკეტილი. შვეიცარიის მხარე დაწვრილებით ცნობებს ითხოვდა. გარდა ამისა, დიპლომატიური კორპუსის ჩარევაც გახდა საჭირო. **"2004 წლის თებერვალში მივიღეთ ხატის ჩამოტანის უფლება, თუმცა, თანხები არ გაგვაჩნდა. ამიტომ ეს მაისამდე გაჭიანურდა, სანამ არ გვითხრეს, რომ მისი შენახვა აღარ შეეძლოთ".** ამის შემდეგ გამოიყო თანხა ორი ექსპერტისათვის და 2004 წლის მაისის ბოლოს ტრიპტიქონი საქართველოში ჩამოაბრძანეს. დღეს ის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის საგანძურშია დაცული.

თავად ხატზე ვედრების კომპოზიციაა გამოსახული. კარედის ფრთებზე წმინდანებია, ცენტრალურ ნაწილზე კი - ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, რომლებიც ქრისტეს კაცობრიობის ცოდვებს ავედრებენ.

ტრიპტიქონი სპილოს ძვლისგანაა ნაკეთები. აღსანიშნავია, რომ სპილოს ძვლის ამ ზომის ნაკეთობა მსოფლიოში მეორე არ მოიპოვება. მისი სიგანე დაახლოებით 14 სმ-ია. ძალიან ზუსტად და დახვეწილადაა გადმოცემული ყველა შტრიხი - სახის ნაკვთებიდან დაწყებული, ტანსაცმლის ნაოჭებით დამთავრებული.

ტრიპტიქონის წარმომავლობაზე მეცნიერები ბევრს დავობენ; ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ხატი ბაგრატ კურაპალატის პირველ მეუღლეს, ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ არგიროსის ძმისშვილს, ელენეს გამოაყოლეს მზითევში. მოგვიანებით მეფე თამარმა ცხინვალთან ახლოს ეკლესიაც ააშენა და ხატი იქ აასვენა. ტაძარს "ოქონა" ეწოდა.

თუმცა, მეცნიერთა ნაწილი - ექვთიმე თაყაიშვილი, გოლდშმიტი, ვიეცმანი (რომელთა მიერ გამოცემულ ბიზანტიური სპილოს ძვლებისადმი მიძღვნილ კატალოგშიც ვნახულობთ ცნობებს ამ ხატზე), ლეილა ხუსკივაძე არ იზიარებენ ამ აზრს. გოლდშმიტი მიიჩნევს, რომ ცხინვალის ტრიპტიქონი ამავე ჯგუფის ბიზანტიური ტრიპტიქონებისგან გამოირჩევა და ის ბიზანტიის ჩრდილოეთით, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს დამზადებული. ის, რაც დედოფალმა ელენემ ჩამოიტანა, ღვთისმშობლის ხატია, რომელიც, სამწუხაროდ, არ შემოგვრჩენია.

დაახლოებით მე-17 საუკუნეში ხატი ვერცხლის გარსაკრავით შემოსეს. გარსაკრავი მოოქროვილი იყო და წინა მხარეს 30 პატიოსანი თვლით შემკული. მეორე მხარეს ვერტიკალზე წაგრძელებული ჯვრები იყო გამოსახული და ასომთავრული წარწერა ახლდა - ოქონის ხატო, შეიწყალე ევდემონ ცოდვილი.

"როცა ჟენევაში ვნახეთ ხატი, ის ისეთი დაზიანებული იყო, რომ, როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო შემოსა თავის დროზე ევდემონმა"(ე.კ.).

კრისტის აუქციონზე ხატი ვერცხლის პერანგის გარეშე მიიტანეს. ეს ალბათ იმის გამო იყო, რომ ვერცხლის გარსაკრავი პირდაპირ მიუთითებდა მის ქართულ წარმომავლობას. თუმცა, ზემლიანიკოვი ამტკიცებს, რომ ხატი მას ასეთ მდგომარეობაში დარჩა და რესტავრაცია გრაზრის სახელოსნოში ჩაუტარა. შემოწმების შედეგად კი დადგინდა, რომ გასამაგრებლად ებოქსის წებოა გამოყენებული.

ზემლიანიკოვს ციხე ნამდვილად ეკუთვნოდა, თუმცა, სასამართლომ საკმარისი მტკიცებულება ვერ მონახა მისი დამნაშავედ ცნობისთვის. მისმა ადვოკატმა ისიც დაამტკიცა, რომ ხატი ზემლიანიკოვს ეკუთვნოდა და იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე მას ტრიპტიქონს წაართმევდა და თან მის დაპატიმრებასაც მოითხოვდა, ზემლიანიკოვი კომპენსაციის სახით მოითხოვდა (და მიიღებდა კიდეც) 3 მილიონ დოლარს. მაგრამ თუ მას გაუშვებდნენ, ფულს აღარ მოითხოვდა. ქართული მხარე იძულებული იყო, დათმობაზე წასულიყო.

ელენე კავლელაშვილი თვლის, რომ ძიება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რადგან ვერცხლის მოჭედილობა ჯერ არ უპოვიათ.

1923 წელს მაშინდელმა მთავრობამ ახლად შექმნილი ავტონომიური ოლქის მუზეუმს ოქონის ტრიპტიქონი გადასცა. ოსური მხარე ქართველ მეცნიერებს არც კი აკარებდა მას. თუმცა, საბედნიეროდ, ავტონომიის პერიოდში ეს ხატი კარგად შეისწავლეს, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ლეილა ხუსკივაძეს.

"როგორც ჩანს, შვეიცარიულმა მხარემ 2001 წლამდეც იცოდა, რომ ეს სიძველე რუსეთში იყო გატანილი. მაშინ გაირკვა, რომ 1992 წელს დაკარგულა ცხინვალიდან და ქართული მხარისთვის არაფერი უცნობებიათ. ცხადია, ამაში მუზეუმი იყო გარეული და ამიტომაც დამალეს"(ე.კ).

თუმცა, ამის მიუხედავად, ცხინვალის მხარემ ხატის გამოჩენისთანავე განაცხადა მასზე პრეტენზია. **"შევხედოთ სამართლებრივი თვალსაზრისით: ჯერ ერთი, თუ ცხინვალი ოსეთია, ეს არ არის ოსეთის კულტურის ნიმუში. ის ელენე დედოფალმა ჩამოიტანა თუ არა, უშუალოდ ქართულ მხარესთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ის სწორედ ხელოვნების ეროვნული მუზეუმის ძალისხმევით დაბრუნდა საქართველოში. ეკლესიაც ითხოვდა მას, თუმცა, უწმინდესმა მოინახულა ის და მისი მძიმე მდგომარეობის გამო ბრძანა, რომ ეკლესიაში გადაბრძანება ყოვლად დაუშვებელი იყო"**(ე.კ.).

ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის დროზე ოსურმა მხარემ არც კი აცნობა ქართულ მხარეს ხატის დაკარგვის შესახებ. არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ დაბრუნების შემთხვევაში ხატი ისევ არ "დაიკარგება". 1952 წელს, როდესაც ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი გადავიდა იმ შენობაში, სადაც დღესაა, შალვა ამირანაშვილმა სოხუმის მუზეუმს ილურის მონასტრიდან გადატანილი ბედიის ბარძიმი მოსთხოვა დროებით შესანახად. თხოვნა აუსრულეს. ძეგლი ბაგრატ III-ის დროს, 999 წელს იყო მოჭედილი. როცა სოხუმმა ბარძიმი უკან მოითხოვა, ბატონმა შალვამ გალვანური ასლი გაუგზავნა (დილეტანტისთვის გარჩევა თითქმის შეუძლებელია). ორი კვირის შემდეგ ასლი დაიკარგა.

ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ინახება ნიკორწმინდის სპილოს ძვლის ტრიპტიქონი; საქართველოს ისტორიის მუზეუმში ქოროღოდან ჩამოტანილი სპილოს ძვლის ხატი გახლავთ დაცული. ის კოშკში, თაქჩაში ინახებოდა. ერთ-ერთი სპილოს ძვლის ტრიპტიქონი 1930 წელს ლატალში, ზემო სვანეთში იქნა ნაპოვნი - იატაკის ქვეშ იყო გადამალული. სვანებმა ტრიპტიქონი თავდაპირველად ქართულ მხარეს შესთავაზეს, თუმცა, უფულობის გამო ეს ხატი ვერ შეგვისყიდია. სამაგიეროდ, ფული ჰქონდა ერმიტაჟს და დღეს იქ ინახება. ცხადია, ოთხი ნამუშევრის გარდა სხვა ძეგლებიც გვექნებოდა, თუმცა, მათ შესახებ რაიმე ინფორმაციას ჩვენამდე არ მოუღწევია.

1990-იან წლებში საქართველოს მთავრობამ სპეციალური კანონი გამოსცა. ამ კანონის თანახმად, როგორი სიძველისაც არ უნდა ყოფილიყო საგანი და სადაც არ უნდა გეპოვა იგი, მაინც შენ გეკუთვნოდა. ამ კანონის გამო მთელი საქართველო, განსაკუთრებით კახეთის რეგიონი გადაითხარა. **"ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლები უცხოეთში გავიდა, იმიტომ რომ ჩვენ ვერ ვიყიდეთ. ახლაც მოდიან და უფულობის გამო ვერ ვყიდულობთ. ერთხელ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ქანდაკება მომიტანეს - ხუთი ვერცხლის და ხუთი თიხის თასით. თავდაპირველად 10 000 დოლარად შეაფასეს. თუმცა, ჩვენ თანხა არ გაგვაჩნდა. ბოლოს და ბოლოს, 2 000 დოლარამდე ჩამოვაყვანინეთ ფასი. ეს თანხაც ვერ ვიშოვე. არ გამომიყო კულტურის სამინისტრომ. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება წარმართული იყო, საპატრიარქო დაინტერესდა, როგორც ქართული კულტურის ნიმუშით. მაგრამ როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ თანხას გამომიყოფდნენ, ძეგლი უკვე გაეყიდათ"**(ე.კ.).

ალბათ სწორი არ იქნება, მთლიანად რიგით ადამიანებს შევაწმინდოთ ხელი. პირადად მე ძალიან კარგად ვიცნობ საქართველოს ისტორიიის ეროვნული მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელს, რომლებსაც უამრავი "უმნიშვნელო" ძეგლი აქვთ მიყიდული უცხოელი კერძო კოლექციონერებისთვის სულ რაღაც 300-500 დოლარად. დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანები ყველგან, მათ შორის, ხელოვნების ეროვნულ მუზეუმშიც არიან.

ასეა დღესაც: ადამიანები მიდიან ხელოვნების, ისტორიის მუზეუმებში, მიაქვთ უნიკალური ძეგლები. მუზეუმები კი უსახსრობის გამო ვერ ყიდულობენ. ეს არავის ადარდებს. შეიძლება ადარდებს კიდეც, უბრალოდ, ვერ იცლიან ამაზე ფიქრისთვის. თუმცა, ქალბატონ ელენეს დიდი იმედი აქვს ახალი მთავრობის: **"რაც ეს მთავრობა მოვიდა, ფეოდალური ხანის ოქროს ბეჭედი შევიძინეთ."** იმედი აქვს, რომ თუ გამოჩნდება რაიმე ნივთი, მას შეეძლება მიმართოს მთავრობას თხოვნით, გამოყონ თანხა და მიიღებს კიდეც მას.

დენი ბრაუნის კოდი

რონ ჰოვარდი სკანდალური ნაწარმოების ეკრანიზაციაზე მუშაობს

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და ამავდროულად, ბესტსელერად ქცეული ნაწარმოები "და ვინჩის კოდი" კიდევ ერთხელ შეახსენებს თავს როგორც მკითხველს, ისე კათოლიკური ეკლესიის რადიკალურად განწყობილ ფრთასაც. დენი ბრაუნის ცნობილი წიგნის მიხედვით ფილმის გადაღებას უკვე შეუდგნენ. ფილმის რეჟისორი ფანტასტიკურ-ზღაპრული ფილმების შექმნით ცნობილი რონ ჰოვარდი იქნება, რომელმაც ადრე გადაიღო "უილოუ", "აპოლო 3", "ჭუპრი" და "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა".

ჰოვარდმა ცნობილი თემის გადასაღებად არანაკლებ ცნობილი მსახიობების ანსამბლი მიიწვია: "ბეჭდების მბრძანებლის" ვარსკვლავი იენ მაკკელენი, ფრიდა კალოს ეკრანული მეუღლე ალფრედ მოლინა, ტომ ჰენკსი და ოდრი ტოტუ. ალფრედ მოლინა უკვე დაამტკიცეს ეპისკოპოს არიგაროსის როლზე. წიგნის მიხედვით იგი აქტიურად ინტერესდება ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარის რობერტ ლენგდონის აღმოჩენებით, რომელსაც ტომ ჰენკსი თამაშობს. იან მაკკელენს კი იმ მდიდარი არისტოკრატის როლი ერგო, რომელიც გრაალის თასის პოვნაზე ოცნებობს და ლენგდონსაც ეხმარება. არ არის გამორიცხული, რომ ფილმში სათამაშოდ ჟან რენოც მიიწვიონ.

"და ვინჩის კოდის" ეკრანული ვერსიის ავტორები ვარაუდობენ, რომ ფილმის მსოფლიო პრემიერა 2006 წლის 19 მაისს შედგება.



მანამდე კი დენი ბრაუნის მიმართ ატეხილი სკანდალები კვლავ გრძელდება. წიგნში კათოლიკური ეკლესიის ინტრიგების, სამღვდელოების წარმომადგენელთა შორის არსებულ არცთუ სასიამოვნო დამოკიდებულებასა და მასონთა ლოჟის საქმიანობის შესახებაა მოთხრობილი. გარდა ამისა, ავტორს მოჰყავს საკუთარი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ იესო და მარია მაგდალინელი დაქორწინდნენ და შვილებიც ჰყავდათ. ნაწარმოების ამ ნაწილმა კათოლიკეთა საშინელი განრისხება გამოიწვია და წიგნს სრული სიცრუე უწოდეს.

ეკლესიის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, დენი ბრაუნი უკანასკნელი წლების ყველაზე ცნობილი ბესტსელერის ავტორად მიიჩნევა. ბრაუნის მეოთხე რომანი თარგმნეს 44 ენაზე და 2003 წლის შემდეგ უკვე გაყიდულია 25 მილიონი ეგზემპლარი. ბოლო ნაწარმოების პოპულარობამ ბრაუნის დანარჩენი წიგნებიც ბესტსელერად აქცია. გაიყიდა მისი სამი ნაწარმოების 7 მილიონი ეგზემპლარი, არადა, მანამდე მათით არავინ ინტერესდებოდა. საერთო ჯამში, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გაყიდული ტირაჟიდან ბრაუნის ანგარიშზე 50 მილიონი დოლარი დაჯდა.

ამჟამად დენი ბრაუნი განმარტოებით ცხოვრობს, რადგან, გარდა იმისა, რომ თაყვანისმცემლები მოსვენებას არ აძლევენ, "და ვინჩის კოდის" გაგრძელებაზეც მუშაობს.

ნინია კაკაბაძის სვეტი

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია

უკანასკნელ ხანს ბევრ ახალ საინტერესო ტენდენციას შეამჩნევდით, რომელიც, შესაძლოა, ერთი შეხედვით, წვრილმანია, მაგრამ დაგროვილი წვრილმანი საბოლოოდ რა სახეს მიიღებს, არავინ იცის. იმის შანსიც არის, რომ ყველაფერმა ამან კიდევ უფრო მახინჯი სახე მიიღოს, ვიდრე დღეს არის.

მაგალითად, თუკი არა ერთი, არამედ მთლიანად გადაღებილი სახლების ფერი არ მოგეწონათ, გაბედავთ და ამას საჯაროდ განაცხადებთ - ხალხის მტრად გამოგაცხადებენ. "ახალი და ნათელი ფერები დღეს არ მოსწონთ, ძველი და დანგრეული ურჩევნიათ. ეს ახალი "სინათლე" თბილისში დარჩება, ბუში კი არ გააჩვევს და თან კი არ წაიღებს", - გვეტყვის საქართველოს პრეზიდენტი. 1. ჭრელი და ჭყეტელა - ნათელს არ ნიშნავს, და თუკი ფოსფორისფერი სახლები არ მოგვწონს, ეს არ ნიშნავს, რომ ძველი და დანგრეული გვირჩევნია. 2. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ "ნათელ" ფერებს ბუში თან ვერ წაიღებს, თან რომ მიჰქონდეს, ალბათ ხმას არავინ ამოიღებდა. სახლების ფერი არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარი ის არის, რა ხდება სახლებში, თორემ ამ პრობლემას მალე ეშველება, საცაა ზაფხული მოვა, მზე დააჭერს, გახუნდება და შხამიანი "ნათელი" ფერები პასტელის ფერებად იქცევა (იმედი მაქვს). ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს კი, ალბათ, ერთი ადამიანი მაინც გამოვა გარეთ და ხელში ტრანსპარანტს დაიჭერს: "look through The window" "შეიხედეთ შიგნით". ერთი რამ მაკვირვებს და გულს მწყვეტს: თუ ბუშის ვიზიტისთვის გამოინახა სახსრები, სასწრაფოდ შეიღებოს სახლები (რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული), რატომ აქამდე არ შეკეთდა ის სახლები, რომლებიც მიწისძვრის დროს დაზიანდა და იქ მცხოვრები ადამიანები ყოველდღიურად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებიან. სამწუხარო ეს არის - "მსოფლიოს დირექტორისთვის" ტყუილის სათქმელად ფული ყოველთვის გამოინახება, უბრალო მოკვდავებისთვის კი - არა. ტყუილი კი გაუგებარი მიზეზით უნდა მივიღოთ და ვაი, ჩვენს თავს, ტყუილის ფერი თუ დავიწუნეთ.

უნივერისტეტში პრეზიდენტის გამოსვლაში ბევრი იყო საინტერესო. "თაობრივი კონფლიქტი (ალბათ, თაობათა კონფლიქტი იგულისხმებოდა) აღარ იქნება თუ არ უნდა იყოს". რატომ? თაობათა კონფლიქტი საზოგადოების განვითარების მანიშნებელია. თუ ბაბუასა და შვილიშვილს შორის უთანხმოებაა, ეს ნიშნავს, რომ ოჯახში პროგრესია. სრული ჰარმონია, განსაკუთრებით ისეთ საინტერესო და დინამიკურ სამყაროში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არ შეიძლება არსებობდეს, არ შეიძლება ყველა ერთნაირად ფიქრობდეს. ალბათ, ამიტომ არის, რომ პრეზიდენტი ამბობს: "არ მინდა ისეთი საზოგადოება, რომელსაც არაფერი მოსწონს და ვერაფერს ხედავს". გასაგებია: პრეზიდენტს უნდა საზოგადოება, რომელსაც ყველაფერი მოეწონება, მაგრამ, თაობათა კონფლიქტისა არ იყოს, ესეც წარმოუდგენელია. არ შეიძლება ყველას ყველაფერი მოეწონოს. რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი მოსაზრება იქნება და ეს ისევ და ისევ ამ საზოგადოების განვითარების მანიშნებელი იქნება ყოველთვის. თუკი არ მოგვწონს ის, რომ საქართველოში წინასწარი დაკავების იზოლატორში ისევ არის წამების ფაქტები, ეს არ ნიშნავს, რომ არ მოგვწონს პატრულის არსებობა. საიდან და რატომ ასეთი სწორხაზოვნება და რადიკალიზმი? სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ კრიტიკის არგაგება თუ არმიღება (ეს ეხება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ყველა ქართველს), ჩვენი, ქართული განუვითარებლობის შედეგია. ჩვენთან მოხდა, რომ სიტყვები "კრიტიკა" და "ლანძღვა" სინონიმებად იქცა, თუმცა, სინამდვილეში ეს ანტონიმები უფროა. შესაძლოა, ხელოვანი არ ესწრაფოდეს კრიტიკულ აზრებს და არ ცდილობდეს მათ შეგროვებას - ეს მისი ხელოვნებაა, მისი სუბიექტური პროდუქტია, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც თუნდაც 5-მილიონიანი ქვეყანა აბარია, არ შეიძლება კრიტიკულ მოსაზრებებს არათუ არ ისმენდეს, არამედ კრიტიკოსებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით ამკობდეს. ეს უზნეო საქციელია.

საზოგადოება ხედავს ყველაფერ იმას, რაც ქვეყანაში კეთდება, რასაც ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აკეთებს. ხედავს, რომ ჯარი ფეხზე დადგომას იწყებს, მაგრამ ჯერ არ დამდგარა, ხედავს, რომ მინიმალური პენსიები თუ ხელფასები უმეტესწილად რიგდება, ხედავს, რომ, მართალია, არაკანონიერი გზით, მაგრამ ბიუჯეტი გაიზარდა, ხედავს, რომ პატრულმა ყაჩაღის დევნისას სიცოცხლე გაწირა, იმასაც ხედავს, რომ პატრულს უდანაშაულო ადამიანი შემოაკვდა, ყველაფერს ხედავს - კარგსაც და ცუდსაც, მაგრამ როლები გადანაწილდა, ხელისუფლება თავის ნამოქმედარს დღედაღამ აქებს, საღად მოაზროვნე საზოგადოებას კი ისღა დარჩენია, შეცდომებზე მიუთითოს, რომელსაც ხელისუფლება სიამოვნებით გაუკეთებდა იგნორირებას. ეს ქვეყანა მხოლოდ პრეზიდენტისა და მთავრობის არ არის, ეს ქვეყანა, პირველ რიგში, ხალხისაა და ვიდრე არსებობს მშიერი, უსახლკარო, უსახსრობისგან დაავადებული ადამიანი, მანამდე იარსებებს სოციალური კრიტიკა და იარსებებს საზოგადოება, რომელიც, მიუხედავად იმისა, პრეზიდენტი მისი მეგობარია თუ არა, მაინც იტყვის იმას, რასაც ფიქრობს. სამწუხაროა, რომ ამგვარი მარტივი სინამდვილის გაგება პრეზიდენტს არ სურს, მისთვის უფრო ადვილია, ყველა საჯარო გამოსვლისას სათითაოდ უპასუხოს თითქმის ყველა ოპონენტს და კიდევ ერთხელ და მრავალჯერ შეგვახსენოს, რომ ბიუჯეტი გაიზარდა, პატრული დადის, ჯარი გაძლიერდა და სხვა.

საგულისხმოა (და ამის მრავალი მაგალითი არსებობს), რომ პრეზიდენტს განსაკუთრებით აშფოთებს კრიტიკა (და არა ლანძღვა) საზოგადოების იმ ნაწილისგან, რომელიც, როგორც შევარდნაძის დროს, ისე ახლაც, სამთავრობო პრივილეგიებისა თუ თანამდებობების გარეშე არსებობენ და რომელთაც, ისევე როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, აქვთ ხალხის ნდობის მანდატი. ამ მანდატის დაკარგვა კი ერთ წუთში შეიძლება. ამიტომ პრეზიდენტი ყოველთვის უნდა იყოს ხალხის მორჩილი და არა იმ მლიქვნელებისა და კარიერისტებისა, რომლებიც უხვად ჰყავს გარშემო. სხვა შემთხვევაში რეგრესი გარდაუვალი იქნება. ამის ნიშნები პრეზიდენტის უკანასკნელ გამოსვლაში იგრძნობოდა - მას უკვე აღელვებული და აგრესიული ტონით უწევდა საკუთარი "სიმართლის" დამტკიცება, რომლის უკან საშიში ტენდენცია იმალებოდა: "ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია".

ფორმულა 1

ფორმულა თურქული ქაბაბი ხომ არ გგონიათ?

უახლოეს ხანში სამეფო რბოლებში შესაძლოა, ორი მნიშვნელოვანი რამ მოხდეს. პირველყოვლისა "თურქეთის დიდ პრიზი" ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას. მეორე ის, რომ საკვალიფიკაციო რბოლების ფორმატი შეიძლება ისევ შეიცვალოს.

ისე, ბოლო ხანებში რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა სპორტში. თავდაპირველად ესა თუ ის ქვეყანა ერთმანეთს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ასპარეზობის მასპინძლობისთვის იბრძვიან, მერე კი სასურველ სპორტულ ღონისძიებასაც ეუფლებიან, მაგრამ მერედამერე მოვლენები ისე ვითარდება, რომ მასპინძლობის თავი აღარ აქვთ. ფაქტია, საწყისი კაპიტალი არასდროს არ ჰყოფნით. კარს მომდგარი ასპარეზობის წინ იწყება ქაოტური მოძიება დამატებითი სახსრებისა, რათა სიმწრით მოპოვებული ასპარეზობის მასპინძლობის უფლება არ დაკარგონ. თავის დროზე ანალოგიურ ვითარებაში იყვნენ ბერძნებიც რომლებმაც ათენის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის მზადების ტემპები ჩააგდეს. იგივე დღეში იყვნენ პორტუგალიელებიც, რომლებმაც ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი ლამის ჩააგდეს...

იგივე სურათია თურქებთან დაკავშირებითაც, რომლებმაც წლეულს პირველად უნდა უმასპინძლონ ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩცემპიონატის ეტაპს. თურქული გაზეთის "ზამანის" ინფორმაციით, იმისთვის, რომ საასპარეზო ტრასის მშენებლობა დროზე დასრულდეს, თურქებს არ ჰყოფნით 55 მილიონი დოლარი. ირკვევა, რომ მდგომარეობიდან გამოსავალს სტამბოლის სავაჭრო პალატა ეძებს. უფრო სწორად, დამატებით სახსრებს ეძებს.

თავდაპირველად პროექტის ღირებულება 100 მილიონს შეადგენდა, მაგრამ დროტა განმავლობაში 100 მილიონი 153 მილიონამდე გაიზარდა.

შექმნილი ვითარებიდან გამოსვლისთვის სტამბოლის სავაჭრო პალატას განზრახული აქვს საგანგებო სხდომაც კი მოიწვიოს, რომელიც ისევ და ისევ ავტოდრომის მშენებლობის დაფინასების საკითხს მიეძღვნება.

პალატის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ სტამბოლის ადმინისტრაციის საქმიანი წრეების დახმარებით დამატებით სახსრებს მოიძიებენ.

რაც შეეხება თავად "თურქეთის დიდ პრიზის" საასპარეზო არენას, იგი 21 აგვისტოს უნდა გაიხსნას ანუ მაშინ, როდესაც ფორმულა 1-ის კალენდარით მსოფლიო ჩემპიონატის მე-14 ეტაპია გათვალისწინებული. თურქეთის ისტორიაში პირველ "დიდ პრიზზე", წინაწსარი მონაცემებით დაახლოებით 120 ათას მაყურებელს ელიან და მათი უმეტესობა უცხოელები იქნებიანო.

ამჟამად ტრასის მშენებლობა 90 პროცენტითაა დასრულებული, ხოლო ინფრასტრუქტურისა 95 პროცენტით. თურქეთის ხელისუფალთა გათვლებით სამეფო რბოლების ყოველწლიურად მასპინძლობა ადგილობრივ ბიუჯეტს 70 მილიონ დოლარს შემატებს.

მეორე სიახლე, რომელსაც ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსოფლიო ჩემპიონატზე და მათ საჯინიბოებზე ფორმულა 1-ის იმპრესარიომ ბერნი ეკლსტოუნმა გაახმოვანა, რომლის მიხედვითაც საკვალიფიკაციო რბოლების ფორმატს ცვლილება ემუქრება.

ამასთან დაკავშირებით, შაბათკვირას "სან მარინოს დიდი პრიზისას" ეკლსტოუნს განზრახული აქვს შეხვდეს საჯინობოთა წარმომადგენლებს. მხცოვანი იმპრესარიოს შესაბამის გადაწყვეტილებაზე კი იმან იქონია გავლენა, რომ დღესდღეობით არსებული საკვალიფიკაციო რბოლათა ფორმატი გუნდების უკმაყოფილებას იწვევს. საქმე ისაა, რომ ამჟამინდელი ანუ ახლებური ფორმატის მიხედვით საკვალიფიკაციო სესია ორ ეტაპად მიმდინარეობს - პირველი მათგანი შაბათს, ხოლო მეორე კვირას დილით. ორივე სესიის შედეგების შეკრების შემდეგ კი დგინდება პოულის მფლობელის ვინაობა.

ახლა კი რა ხდება? ირკვევა, რომ ეკლსტოუნს ძველებური ფორმატის დაბრუნება სურს, რომლის მიხედვითაც სესიები შაბათს ტარდებოდა. იმასაც ამბობენ, გათამაშების ცვლილებები შესაძლოა, უკვე "ესპანეთის დიდ პრიზზე" ამოქმედდესო.

ყველაფერი კი "ავსტრალიის დიდი პრიზით" დაიწყო, როდესაც 2005 წლის სეზონმა აიღო სტარტი. სწორედ მელბურნის ტრასაზე გამოჩნდა ახლებური რეგლამენტის ავ-კარგიანობა. კერძოდ პირველი კვალიფიკაციისას მოხდა ისე, რომ "ფერარი" მრბოლს მიხაელ შუმახერს წვიმაში მოუწია რბოლა... მიხაელის რბოლის შედეგი იმდენად ცუდი აღმოჩნდა, რომ (ბოლო ადგილი დაიკავა. რედ.) საკვირაო კვალიფიკაციის ჩატარებამ მისთვის აზრი დაკარგა. ისე კი არც სხვა გუნდებს ეხატებათ გულზე საკვირაო სესია.

TV-სპორტი

პარასკევი. 22 აპრილი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. "ნასიონალი" (ურუგვაი) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა)
14:05 რუსეთის თასი. ფინალი. "ტორპედო" - "ხიმკი". საპასუხო მატჩი
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "ფუტბოლისტიკა"
16:35 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
17:05 ფუტზალი. სუპერთასი. "ალმაზ-ალროსა" - "დინამო". საპასუხო მატჩი
18:50 თავისუფალი დარტყმა
19:05 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 უეფას თასი. მეოთხედფინალური მატჩების მიმოხილვა
20:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 ლიბერტადორესის თასი. "ნასიონალი" (ურუგვაი) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). შესვენებისას (22:35) - თავისუფალი დარტყმა
23:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 15:35, 18:35, 20:50 პრესცენტრი
10:20, 21:05 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 69 კგ. ფინალი
12:15 "მოტოვებული კვირა"
13:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
13:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
14:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
14:40 ტაილანდური კრივი
15:50 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. ქალები. "ოთხთა ფინალი". ნახევარფინალი. "მიზო პეჩი" (უნგრეთი) - "გამბრინუს ბრნო" (ჩეხეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:50 "სპორტისიმო"
18:50 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. ქალები. "ოთხთა ფინალი". ნახევარფინალი. "ვე-ბე-ემ სგაუ" (რუსეთი) - "ლეტუვოს ტელეკომასი" (ლიტვა). პირდაპირი ტრანსლაცია
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ჰოკეი. ევროტური. ფინალი. შვედეთი - რუსეთი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია შვედეთიდან
00:00 ახალი ამბები
00:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
00:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. +75კგ. ფინალი

EUROSPORT
10:30 სამთო ველოსიპედი. მსოფლიო თასი კვიპროსზე
11:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
21:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 პლანეტის უძლიერესი ადამიანები. ფინეთი
02:45 თავგადასავალი. გაქცევა
03:15 მულტისპორტი - იტალია-2006

ფეხბურთი

საჩემპიონო ბრძოლის წინ

ცხადაძის გუნდი წინ მიიწევს

მიხეილ აბაიშვილი

ახალი მთავარი მწვრთნელის კახაბერ ცხადაძის მიერ მომართული "დინამო" თანდათან იბრუნებს უწინდელ პოზიციებს და თამაშს თამაშზე იგებს. რაც მთავარია, გუნდი ამას ლამაზი, ლაღი და კარგად ორგანიზებული თამაშით აკეთებს. გუშინ "დინამომ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და მიმდინარე ჩემპიონატში 7 ქულით დაწინაურდა. მომდევნო ტურში "დინამო" უახლოეს მდევარს - "თბილისს" ეთამაშება სტუმრად. თუ ცხადაძის შეგირდები ამჯერადაც იმარჯვებენ, პრაქტიკულად გადაწყვეტენ ჩემპიონატში გამარჯვების ამოცანას.

დინამო - ვიტ ჯორჯია 1:0 (1:0)

დინამო: ზოიძე, ლ. ჭელიძე (მახარაძე, 67`), ორბელაძე, კაშია, კანდელაკი, ნოზაძე, გ. ჭელიძე (ნავალოვსკი, 74`), ბაბუნაშვილი, ოდიკაძე, დვალიშვილი, მელქაძე (დვალი, 58`). მთავარი მწვრთნელი კახაბერ ცხადაძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კვახაძე (სახოკია, 62`), ინწკირველი, ლომაია, კობიაშვილი (ცხომარია, 73`), დილმელაშვილი, პ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, გველესიანი (გ. დათუნაიშვილი, 75`), ფეიქრიშვილი, გოჩაშვილი. მთავარი მწვრთნელი ჯანი კარნევალი
გოლი: 1:0 ოდიკაძე 25`
გაფრთხილებები: ბაბუნაშვილი, ლომაია
მთავარი მსაჯი: ალექსანდრ მეშკოვი

ეროვნული სტადიონი, 2 ათასი მაყურებელი

"დინამომ" წინა სამ მატჩში გაიმარჯვა და დამსახურებულადაც, თუმცა, სამ აუტსაიდერთან ("სიონთან", "დილასთან" და "კოლხეთთან") მოუხდა დაპირისპირება. მართალია, ეს გუნდები გადარჩენისთვის იბრძვიან და მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ თმობენ ქულებს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ "დინამო" მათზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდია. ცხადაძ-ემ და მისმა გუნდმა პირველი სერიოზული გამოცდა სწორედ გუშინ, მოქმედ ჩემპიონ "ვიტ ჯორჯიასთან" ჩააბარეს. მართალია, წლევანდელ სეზონში ვეტერინართა გუნდი შარშანდელივით არ ბრწყინავს, მაგრამ სტაბილური და დაბალანსებული შემადგენლობის, კვალიფიციური იტალიელი მწვრთნელის წყალობით არათუ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება, არამედ საპრიზო ადგილის დაკავების რეალური პრეტენდენტია. "ვიტ ჯორჯია" "დინამოსთვის" ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. შორს რომ არ წავიდე, წინა სეზონში ამ გუნდების ბოლო მატჩს გაგახსენებთ. მაშინ ვიტელებმა "დინამო" მისსავე მოედანზე 3:0 დაამარცხეს, რითაც ჩემპიონობის შანსი დააკარგვინეს. მიმდინარე ჩემპიონატის წინა, მესამე წრეშიც "ვიტ ჯორჯიამ" "დინამო" 1:0 დაამარცხა, რითაც მაშინ ჯერ კიდევ გეგუჩაძის გუნდის წარუმატებელ სერიას ჩაუყარა საფუძველი. შედეგად, "დინამომ" სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური, გეგუჩაძემ კი მთავარი მწვრთნელის პოსტი დაკარგა.

აი, ასეთი წინაისტორია ჰქონდა ამ გუნდების გუშინდელ მატჩს, რომელიც, ტრადიციულად, დაძაბულ და უშელავათო ორთაბრძოლაში წარიმართა. საგრძნობ უპირატესობას შეხვედრის ბოლომდე ვერც ერთი გუნდი ვერ დაეუფლა და შეხვედრის ბედიც ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა: დვალიშვილმა გამჭოლი გადაცემით ვიტელთა მეკარე ჭურაძესთან პირისპირ გაიყვანა ოდიკაძე, რომელმაც მოჭრილი დარტყმით უშანსოდ დატოვა გოლკიპერი. ეს 25-ე წუთზე მოხდა. ვეტერინართა საკმაოდ მაღალი შემტევი პოტენციალის მიუხედავად, დინამოელთა დაცვა და ნახევარდაცვა პრაქტიკულად არ უშვებდა შეცდომას, რის შედეგადაც, პირველ ტაიმში ირაკლი ზოიძეს საქმე საერთოდ არ ჰქონია. ეს მით უმეტეს დასაფასებელია, რომ "სიონთან" წინა ტურში მიღებული გაფრთხილებების გამო "დინამოს" დაცვის ორი წამყვანი წევრი - ჭიჭვეიშვილი და სილაგაძე აკლდა. ერთადერთი რეალური საგოლე ეპიზოდი ზოიძის კართან 88-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც შეცვლაზე შემოსული სახოკია ზუსტად ისეთ პოზიციაში აღმოჩნდა, როგორშიც ოდიკაძემ პირველ ტაიმში გოლი გაიტანა. სახოკიასაც არ დაურტყამს ურიგოდ - ბურთი ოდნავ ასცდა კარის ძელს. ეს საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე მოხდა, მანამდე კი "დინამოს" თავდამსხმელებს 2-3-ჯერ მაინც შეეძლოთ "ვიტ ჯორჯიას" მცველების გოლით დასჯა, რომლებმაც დაცვა დაივიწყეს და საკუთარი ზონების მოშიშვლების ხარჯზე ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას.

ჯანი კარნევალი: კარგი თამაში იყო. პირველ ტაიმში "დინამომ" გვაჯობა და გოლიც დამსახურებულად გაგვიტანა. მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ."

კახაბერ ცხადაძე: თამაში მთლიანად ჩვენს მიერ დაგეგმილი სცენარით წარიმართა. ფეხბურთელებმა ზუსტად შეასრულეს ის მითითებები, რომლებიც მატჩის დაწყებამდე მივეცი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და 18-კაციან განაცხადში "დინამო 2"-ის შვიდი ფეხბურთელი შევიყვანე. სამწუხაროა, რომ წამყვანი ფეხბურთელები გვაკლდა, თუმცა, მეორე მხრივ, მიხარია, რომ დუბლშემადგენლობიდან გადმოყვანილმა მოთამაშეებმაც საქმეს კარგად გაართვეს თავი. ვფიქრობ, გამარჯვება გვეკუთვნოდა და სატურნირო ცხრილის პირველ პოზიციაზეც დამსახურებულად ვართ."

ტურის კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა ზესტაფონში, სადაც იმერულ "დერბიში" ადგილობრივმა "ზესტაფონმა" ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა. ქუთაისელები მეორე ადგილისთვის იბრძვიან და მათთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. "ზესტაფონს" კი, დეკლარირებულად მაინც, ასეთი ამბიცია თითქოს არ უნდა აწუხებდეს. ამ გუნდის შეფობაც და მთავარი მწვრთნელიც იმას აცხადებდნენ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში მოლოდ ერთი მიზანი აქვთ - უძლიერესთა კომპანიაში ადგილის შენარჩუნება. თუმცა, თუ ასე გააგრძელეს, არათუ ბრინჯაოს, ვერცხლის მედლებიც აღარ ჩანს მიუღწეველ ოცნებად. თემურ მახარაძის გუნდმა ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშა და ყოფილი ტორპედოელი იონანიძის ორი გოლის წყალობით, რომელსაც სტუმრებმა ჯიქიას მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს, სამი ქულა მიითვალეს. "ზესტაფონის" ბოლოდროინდელი წარმატებები მართლაც შთამბეჭდავია: ამ გუნდმა ბოლო 12 მატჩიდან 9 მოიგო, სამი ფრედ დაასრულა და ჯიუტად მიიწევს წინ. მას უკვე 46 ქულა აქვს და მეორე პოზიციაზე მყოფ "თბილისს" 8, ხოლო მესამე პოზიციაზე ჩაჩოჩებულ "ტორპედოს" 6 ქულითღა ჩამორჩება (მესამე წრის დაწყებამდე ეს სხვაობა 20 ქულას აჭარბებდა).

29-ე ტური

დინამო - ვიტ ჯორჯია	1:0
ზესტაფონი - ტორპედო	2:1
ბათუმი - ლოკომოტივი	0:0
დილა - სიონი	0:2
კოლხეთი - თბილისი	0:1

დინამო (თბ)	29	19	4	6	60-24	61
თბილისი	29	16	6	7	49-32	54
ტორპედო	29	14	10	5	44-25	52
ლოკომოტივი	29	12	13	4	35-20	49
ზესტაფონი	29	14	4	11	32-40	46
ვიტ ჯორჯია	29	11	8	10	45-33	41
დინამო (ბთ)	29	8	11	10	31-24	35
სიონი	29	8	4	17	26-49	28
კოლხეთი	29	7	5	17	25-46	26
დილა	29	2	3	24	16-70	9

ლუიშ ფიგუ: "არ ვიცი, შემადგენლობიდან რატომ ამომაგდეს"

ლუიშ ფიგუ ფარ-ხმალს არ ყრის. ის ცდილობს შენიღბოს, რომ ვანდერლეი ლუშემბურგოს ბოლო გადაწყვეტილებები მას გულს სტკენს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ შრომას განაგრძობს. ამის მიუხედავად, მაინც აშკარაა, რომ პორტუგალიელი განაწყენებულია მწვრთნელზე, რომელმაც ის შემადგენლობიდან ამოაგდო.

- მადრიდის "რეალს" ლა ლიგას მოგება შეუძლია?

- ჩემპიონატის მოგება ძნელია, მაგრამ შეიძლება. ჩვენ საკუთარ თავზე არ ვართ დამოკიდებული, მაგრამ ბოლო ტურებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- შენი აზრით, გუნდი როგორ თამაშობს?

- გუნდი იმარჯვებს. ჩვენ სიმშვიდე გვჭირდება, რადგან სასწორზე უაღრესად სერიოზული კონი დევს. მიხარია, რომ გუნდი ფუნქციონირებს და შედეგს აღწევს. რაც შემეხება პირადად მე, ვცდილობ მუშაობა განვაგრძო, რათა კვლავ მომეცეს თამაშის საშუალება. განსაკუთრებით კი იმის გამო ვცდილობ, რომ გულშემატკივარი მხარს მიჭერს. იმედი მაქვს, 2007 წლამდე მაღალ დონეზე ვითამაშებ.

- პორტუგალიის ნაკრებში დაბრუნდები?

- ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია. ამ თემაზე პორტუგალიელ ჟურნალისტებს უნდა გავესაუბრო. ნაკრები იმიტომ დავტოვე, რომ დავიღალე და მინდოდა, მთელი ენერგია კლუბისთვის მიმეძღვნა. თუმცა, იმის გამო, რომ ახლა არ ვთამაშობ, ჩემი აზრი შეიცვალა.

- ეტო`ოს სიტყვებს როგორ შეაფასებდი?

- რაკი მან ეს თქვა, ესე იგი, ასე ფიქრობს. მე მის აზრს არ ვიზიარებ, მაგრამ მისი მოსაზრება ჩემი მხრიდან პატივისცემას იმსახურებს. ის შესანიშნავი ფეხბურთელია. ჩვენ მათ მოვუგეთ და ჩემთვის სულ ერთია, სირბილით თუ სიარულით.

- შენი მორალური მდგომარეობა როგორია?

- კარგი. მე პროფესიონალი ვარ. კარგად ვვარჯიშობ და ვაკეთებ იმას, რასაც მთხოვენ. არავითარი პრობლემა არ არსებობს. ცხოვრება გრძელდება.

- როგორ აფასებ კონტრაქტის გაგრძელების თემას ახლა, როცა ორი კვირაა სათადარიგოთა სკამზე ზიხარ?

- ამ თემაზე ძალიან ბევრი სპეკულაციაა. მე შემიძლია გითხრათ, სინამდვილეში რა ხდება: მთავრდება გარკვეული ეპოქა. ჩემი კონტრაქტი 2006 წელს იწურება და მანამ, სანამ არაფერს მეტყვიან, აქ დავრჩები. მე პროფესიონალი ვარ და ვაპირებ, კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულება ბოლომდე შევასრულო. პრობლემები არ მინდა. ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც აქ გადმოვედი, ყოველთვის სამაგალითოდ ვიქცეოდი.

- ხომ არ დაგიწესებია გარკვეული ვადა შენთვის, რომ ახალი კონტრაქტის საკითხი გადაწყვიტო?

- ვადების დადგენა ჩემი საქმე არ არის. კონტრაქტი სწორედ იმისთვის იდება, რომ მისი პირობები შეასრულო. თუმცა, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთმა მხარემ მისი პირობები არ შეასრულოს. თუ კლუბს ჩემს მიმართ ამის გაკეთება სურს, მაშინ ამ თემაზე მე უნდა დამელაპარაკოს.

- შენი აზრით, კლუბი როგორ გექცეოდა?

- ჩვენს შორის პროფესიონალური დამოკიდებულებაა. კორექტულია ეს ურთიერთობა თუ არა, არ ვიცი, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მე ჩემს სამუშაოს ვასრულებ და მორჩა.

- გული გეტკინა, რომ მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება არ აგიხსნა?

- მე ახსნა-განმარტება არ მომითხოვია. შეტყობინება და ახსნა-განმარტება სხვადასხვა რამეა. მე ახსნა-განმარტებას არც მაშინ ვითხოვდი, როცა ვთამაშობდი და არც ახლა მოვითხოვ. უბრალოდ, ვიმსახურებ, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მწვრთნელის პირით გავიგო და არა ჟურნალისტების. ეს ის მინიმუმია, რომელსაც ვითხოვ. მე პოლემიკას არ ვეძებ, არ ვთამაშობ და მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ მწვრთნელს ჩემს მიმართ მაინცდამაინც დიდი გრძნობა არ გამოუმჟღავნებია.

- სათადარიგოთა სკამზე შენს გამწესებას მხოლოდ სპორტული მხარე აქვს თუ არა?

- მინდა მჯეროდეს, რომ მხოლოდ სპორტული მიზეზი აქვს, რადგან სხვა მიზეზი, უბრალოდ, არ უნდა არსებობდეს.

- პრეზიდენტთან შენი დამოკიდებულება შეიცვალა?

- პრეზიდენტთან ჩემი ურთიერთობა ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ იძლევა. მისდამი ჩემი ურთიერთობა არ შეცვლილა. მე კლუბს იმას ვაძლევ, რისი მიცემაც შემიძლია. კლუბისგან ყველაფერს ვიღებ თუ არა, ამას ჩემთვის ვიტოვებ. სხვა კლუბებთან მოლაპარაკებას არ ვაწარმოებ, რადგან მე "რეალთან" კონტრაქტი მაკავშირებს. თუმცა, თუ ასეთი მოლაპარაკებები გაიმართებოდა, ამის შესახებ პირველად პრეზიდენტი შეიტყობდა.

- ახლა უფრო უარეს ფიზიკურ მდგომარეობაში ხარ, ვიდრე ადრე?

- მე არ ვიცი, რატომ ამომაგდეს შემადგენლობიდან. ალბათ, ცუდად ვთამაშობდი. მაგრამ მე ყოველ მატჩში ერთნაირად ვცდილობდი.

- სათადარიგოთა სკამს თუ ვერ ასცდები, წახვალ?

- ჩემს მომავალს თვითონ განვაგებ. მსურს, სასარგებლო ვიყო. როცა კლუბი მიიჩნევს, რომ სასარგებლო აღარ ვარ, მაშინ წავალ. კლუბისთვის მხოლოდ საუკეთესო მინდა. ამის შესახებ გარკვეული წინათგრძნობა მაქვს, მაგრამ ამას არავითარი შეხება არა აქვს იმასთან, რომ პირველი "გალაქტიკო" ვარ.

- როგორ მიიღე ინფორმაცია, რომ "ბარსელონასთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში არ ითამაშებდი?

- გული არ გავიტეხე. მე არ დამიდია ისეთი კონტრაქტი, რომლის მიხედვით მუდმივად უნდა ვითამაშო. მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. გული გამიტეხა მხოლოდ იმ ფორმამ, რომლითაც ამიხსნეს, რომ იმ მატჩში არ ვითამაშებდი. მე ახსნა-განმარტებას არ ვითხოვ, მაგრამ ლოგიკური იქნებოდა, თუ მწვრთნელთან რაღაცნაირი ფორმით დიალოგი გაიმართებოდა და ამ ყველაფრის შესახებ გაზეთების საშუალებით არ შევიტყობდი.

- შეგიძლია კომენტარი გაუკეთო ეპიზოდს, რომელიც შენსა და გუნდის მეორე მწვრთნელ ტეიშეირას შორის მოხდა ("ლევანტესთან" მატჩის წინ ფიგუმ საკმაოდ უკმეხად თქვა უარი, მოერგო ორმხრივი მატჩის დროს სათადარიგოთათვის განკუთვნილი მაისურა, რომელიც მას მარკოს ტეიშეირამ მიაწოდა)?

- ის ეპიზოდი უკვე აღარ იმსახურებს ყურადღებას. მატარებელმა ჩაიარა. ზარალი მიყენებულია. თუმცა, ვიდრე გამოაქვეყნებდით იმას, რაც გამოაქვეყნეთ, ჯერ მე უნდა გამსაუბრებოდით. ფილმში მთავარი ბოროტმოქმედი მე გახლავართ.

ინფოთეკა

"ბლექბერნის" ფეხბურთელი ბრალდებას უარყოფს

"როიტერსის" ცნობით, "ბლექბერნის" მცველი ენდი ტოდი კატეგორიულად უარყოფს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ წამოყენებულ ბრალდებას იმის შესახებ, რომ ინგლისის თასის ნახევარფინალში "არსენალის" წინააღმდეგ მატჩის დროს იგი უხეშად მოიქცა.

ასოციაციის წევრებმა შეხვედრის განმეორებით ნახვის შემდეგ შენიშნეს, რომ ფეხბურთელმა იდაყვი სახეში ჩაარტყა "მეთოფეთა" ფორვარდს რობინ ვან პერსის. ეს ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ჰოლანდიელმა თავისი მეორე ბურთი გაიტანა ამ მატჩში.

საქმეს რამდენიმე დღეში განიხილავენ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე.

ფიგუ მზადაა ეროვნულ ნაკრებში დასაბრუნებლად

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ შესაძლებელია, განაახლოს პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში თამაში, რაც მან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შეწყვიტა. "ნაკრებზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ მინდოდა, მხოლოდ კლუბში თამაშზე მეფიქრა, მაგრამ რადგან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავკარგე, მზად ვარ, გადაწყვეტილება შევცვალო. მჯერა, რომ კიდევ ორი წელი შევძლებ უმაღლესი დონის ფეხბურთის თამაშს. ერთადერთი, რაც ძალიან მინდა, ის არის, რომ ვიგრძნო, ვინმეს ვჭირდები", - განაცხადა "სამეფო გუნდის" პორტუგალიელმა ლეგიონერმა. იქვე დასძინა, გაბრაზებული არაა იმის გამო, რომ "რეალის" მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო მას სათამაშოდ სათადარიგო სკამიდან უშვებს, მაგრამ მაინც, რაც არ უნდა იყოს, არ მოსწონს ბრაზილიელი სპეციალისტის დამოკიდებულება მისდამი.

პრემიერლიგამ "ჩელსის" დახმარება აღუთქვა

ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობა შეჰპირდა ლონდონის "ჩელსის", რომ დაეხმარება იმაში, რომ მის ყოფილ ფეხბურთელს ადრიან მუტუს გადაახდევინოს საკომპენსაციო თანხა - აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც ფეხბურთელმა კლუბს მიაყენა.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელმა კოკაინის მოხმარებისთვის შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გარდა ამისა, "ჩელსიმ" მას კონტრაქტი გაუწყვიტა. "არისტოკრატები" ფიქრობენ, რომ მუტუს დაუდევარი საქციელის გამო მათ 15 მილიონი გირვანქა სტერლინგის ზარალი განიცადეს (ფეხბურთელი ლონდონის კლუბმა 2003 წლის აგვისტოში შეიძინა "პარმასგან"!), ახლა კი კომპენსაციის მისაღებად "ჩელსი" აპირებს, დახმარებისთვის ფიფას მიმართოს.

ბრიტანული პრესის ცნობით, "ჩელსი" მუტუს რვა მილიონ გირვანქა სტერლინგს სთხოვს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ თანხას გადაიხდის არა თავად ფეხბურთელი, არამედ მისი ახალი კლუბი "იუვენტუსი".

ივან ელგერა საავადმყოფოდან გაწერეს

მადრიდის "რეალის" მცველი გამოვიდა საავადმყოფოდან, სადაც იგი მწვავე გასტროენტერიტს მკურნალობდა. ფეხბურთელი ორი დღის წინათ უკვე გამოჩნდა ვარჯიშზე და რამდენიმე მსუბუქი მოძრაობა შეასრულა.

ივან ელგერამ მიმდინარე სეზონზე მხოლოდ სამი მატჩი გამოტოვა, მათ შორის, გასულ კვირას "ლევანტეს" წინააღმდეგ გამართული შეხვედრა.

უეფა უწესრიგობას ებრძვის

უეფამ განაცხადა, რომ გადამწყვეტ ზომებს მიიღებს იმისთვის, რომ მომავალში ევროპულ საფეხბურთო მოედნებზე თავიდან აირიდოს არეულობა, რაც საფრთხეს უქმნის ფეხბურთელებს, გულშემატკივრებსა და მსაჯებს. ტალინში უეფას წარმომადგენლების ბოლო შეხვედრისას მათ "შეშფოთება და იმედგაცრუება" გამოხატეს იმ ინციდენტის გამო, რომელიც გასულ კვირას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრის ("მილანი"-"ინტერი") შეწყვეტის მიზეზი გახდა.

შედეგად, "ინტერი" იძულებულია, ევროპის თასის, სულ მცირე, ოთხი შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატაროს. გარდა ამისა, "ინტერს" ჯარიმის სახით 300 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს.

გუშინწინ უეფამ კლუბი გააფრთხილა, რომ გაცილებით უფრო მკაცრად დასჯის იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ინციდენტი გამეორდება.

ფეხბურთი

დიდი მიხეილ მესხი

დემიკო ლოლაძე

...2003 წლის ნოემბრის მოვლენებისას, რამდენიმე დღის განმავლობაში ათასობით ადამიანი დაუზარლად ყვიროდა: "მიშა! მიშა!" და გამახსენდა ის დაუვიწყარი დრო, როდესაც მსოფლიო ფეხბურთის ჩაუქრობელი ვარსკვლავი მიშა მესხი მწვანე მინდორზე საოცრებებს ახდენდა...

40-45 წლის შემდეგ კვლავ წარმოვიდგინე ყოფილი საბჭოთა კავშირის, ევროპისა თუ სამხრეთ ამერიკის გადაჭედილი სტადიონები, სადაც ქომაგები ტკბებოდნენ დიდი სპორტსმენის უზადო ოსტატობით.

"ფინტოლოგიის პროფესორი" - ასე უწოდა ცნობილმა სპორტულმა მიმომხილველმა იური ვანიატმა განუმეორებელ მიხეილ მესხს, რომლის უდროო გარდაცვალებიდან დღეს თოთხმეტი წელი სრულდება.

მთელი საქართველო შეძრა უსაყვარლესი კაცის დაკარგვამ. ის, ვინც იცნობდა მას, გაიხსენებს არაერთ ეპიზოდს მისი ვაჟკაცობის შესახებ, რადგან მიშა ჯერ დიდი პიროვნება, ნაღდი კაცური კაცი იყო და მერე - უდიდესი ფეხბურთელი!

მიხეილ მესხმა ისევე ნაადრევად დაგვტოვა, როგორ თავის დროზე საყვარელ თამაშს გამოეთხოვა.

მისი თანაგუნდელი, არანაკლებ ბრწყინვალე ფეხბურთელი სლავა მეტრეველი იგონებდა: "როდესაც თბილისის "დინამოში" მიწვევდნენ, რა თქმა უნდა, ვორჭოფობდი, რადგან მაშინდელ გუნდში კაშკაშებდნენ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები და უპირველესად, მიხეილ მესხი. ვფიქრობდი, განა უნდოდა მოთამაშეთა ასეთ კრებულს ისეთი კაცი, რომელსაც სულაც არ სურდა მეორეხარისხოვანი როლის თამაში?"

სლავას ეჭვები მიხეილ მესხს გაუფანტავს: "თუ ვინმეს არ უნდა სურდეს "დინამოში" შენი გადმოსვლა, წესით, პირველი მე უნდა ვიყო, რადგან გულშემატკივრისთვის კერპი ვარ და, ერთი შეხედვით, არ მჭირდება კონკურენტი, მაგრამ გირჩევ, ჩამოხვიდე. ჩვენ ძმებივით ვიქნებით! შენი გადმოსვლა არა მარტო გუნდს და საქართველოს, შენც გჭირდება! აი, ნახავ, თბილისში იქცევი იმად, რასაც ვერასდროს მიაღწევ მოსკოვში. შენ ხომ ქართველი ხარ!" დამეთანხმებით, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მიხეილ მესხის პიროვნება. ის ჯერ სხვაზე ფიქრობდა - გუნდზე, სამშობლოზე, მეგობრებზე - და მერე საკუთარ თავზე.

...მიშა მესხმა თამაში დაიწყო თბილისის სახელგანთქმულ 35-ე სკოლაში. 17 წლისა ყველა ქართველი ბიჭისთვის სათაყვანებელ "დინამოში" მიიწვიეს. 1955 წელს პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და მას შემდეგ, 15 წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ასპარეზობდა.

1958 წელს იხმეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ორი წლის შემდეგ კი, ქვეყნის პირველ გუნდში თამაშისას, ევროპის თასის პირველი გათამაშების მონაწილე! ისასპარეზა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და 1966 წელს, ამავე ტურნირის მესამეზე ეტაპზე. 1964 წელს, თანაგუნდელებთან ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სამჯერ მოიპოვა პირველობის ბრინჯაოს მედალი. ექვსჯერ და მუდამ პირველ ნომრად შედიოდა ჩემპიონატის "33 საუკეთესო ფეხბურთელის" სიაში.

1965 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

...1963 წელს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, ლონდონის "უემბლიზე" გაიმართა მასპინძელთა და მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრების დაპირისპირება. ინლისელთა გუნდი, რომელშიც არაერთი ჩინებული ფეხბურთელი თამაშობდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში და მან თავისი ძალა სამი წლის შემდეგ დაამტკიცა, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. 23 ოქტომბერს ალბიონელებს ვარსკვლავები ეთამაშნენ, რომელთაც ჩილელი მწვრთნელი ფერნანდო რიერა თავკაცობდა. იმ დღეს ფიფა-ს ნაკრებში თავი მოიყარეს უძლიერესმა ფეხბურთელებმა: ესპანელებმა ალფრედო დი სტეფანომ და ფრანსისკო ჰენტომ, ბრაზილიელმა ჯალმა სანტოსმა, დასავლეთგერმანელებმა კარლ-ჰაინც შნელინგერმა და უვე ზეელერმა, შოტლანდიელმა დენის ლოუმ, უნგრელმა ფერენც პუშკაშმა, ფრანგმა რაიმონ კოპამ, რუსმა ლევ იაშინმა, პორტუგალიელმა ეუსებიომ და სხვებმა და სხვებმა.

მათ შორის უნდა ყოფილიყო მიხეილ მესხიც, რომელსაც ფიფა-ამ მოსაწვევი გაუგზავნა, მაგრამ ქართული ფეხბურთის მშვენებას ლონდონში არ უთამაშია. საბჭოთა ფეხბურთის ავტორიტეტული მოღვაწის მარტინ მერჟანოვის ცნობით, ფეხბურთის კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა საშუალება არ მისცეს მიშას ეთამაშა კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი. მათ მოსკოვიდან ფიფას აცნობეს, რომ "მტკვრისპირელი გარინჩა" სათანადო სპორტულ ფორმაში არ იყო. საინტერესოა, რომ ლონდონს, მესხის ნაცვლად, საფეხბურთო მოხელეები ესტუმრნენ...

იმ მატჩის მონაწილე, ევროპის 1962 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, ჩეხოსლოვაკიელი იოზეფ მასოპუსტი გულდაწყვეტილი იყო, რომ მესხის მხარდამხარ თამაში ვერ შეძლო. სხვა ფეხბურთელებიც არ მალავდნენ გულისტკივილს ქართველი ფორვარდის არყოფნის გამო...

ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენი ფეხბურთის უბრწყინვალესი წარმომადგენლის სპორტულ ბიოგრაფიაში არცთუ იშვიათი იყო ასეთი ეპიზოდები. არც ისაა დასამალი, რომ ცალკეული პიროვნებების "წყალობით" მესხმა ადრე დაანება თავი დიდ ფეხბურთს. არადა, როგორ განიცდიდა ამას დიდი ანდრო ჟორდანია...

სხვათა შორის, შესანიშნავმა მხატვარმა და მწერალმა ელგუჯა ბურძენიძემ მითხრა, ურუგვაის "ნასიონალთან" მატჩის მესხის ფეხბურთიდან გაცილების შემდეგ სტადიონზე აღარასდროს მისულარა...

არ დამავიწყდება 1969 წლის 16 ივლისს მაშინდელი "ლოკომოტივის" ტრიბუნების რეაქცია - მქუხარე ტაში, დაუსრულებელი ოვაცია და ათასობით აცრემლებული სახე. ასე გამოხატა მაყურებელმა მიხეილ მესხისადმი სიყვარული.

არც გამაყრუებელი სტვენა მავიწყდება, რომლითაც ქომაგებმა პროტესტი განუცხადეს მათ, ვინც მესხს ამ ნაბიჯის გადადგმა აიძულა.

...მსგავსი პროტესტი "ლოკომოტივის" სტადიონზე 2001 წლის 26 მაისსაც ვიხილე, როცა ქომაგები გამაყრუებელი სტვენით შეხვდნენ რკინიგზის დეპარტამენტის (სტადიონი ამ ორგანიზაციის საკუთრება გახლავთ) მაშინდელი ხელმძღვანელის აკაკი ჩხაიძის გამოსვლას, რომელმაც ისურვა, არენისთვის ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელი მიენიჭებინა (?!).

არადა, 1995 წლიდან ქართულ პრესაში მუდმივად იწერებოდა, რომ, დრო იყო, ამ სარბიელისთვის მიხეილ მესხის სახელი დაერქმიათ. ვაჟა ჭიაურელი, რომან ბაქრაძე, ჯემალ ბაღაშვილი, კოკა ცხაკაია, სპარტაკ ხორნაული, ვაჟა დანელია, შალვა ქირია, დათო მანჯავიძე, ბესიკ ჯანგავაძე, ამირან ბესელაშვილი, კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე და სხვები ხმამაღლა ითხოვდნენ გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას.

2001 წლის 23 ოქტომბერს, ინტელიგენციისა და ფეხბურთის ქომაგთა მიმართვის საფუძველზე, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭომ (გიგა ლორთქიფანიძე, ბადრი ქუთათელაძე) დააკმაყოფილა მიშა მესხის ნიჭის თაყვანისმცემელთა მოთხოვნა, თუმცა, რკინიგზის დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ამ ავტორიტეტული კომისიის თხოვნა უყურადღებოდ დატოვა.

და მაინც, ორგანიზაციას მოევლინა ხელმძღვანელი, რომელმაც საქმის ვითარებაში გარკვევას ორიოდე დღე მოანდომა და 2004 წლის 9 აგვისტოს, დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, "ლოკომოტივს" მიეკუთვნა იმ ადამიანის სახელი, რომელმაც მთელი სპორტული ცხოვრება ქართული ფეხბურთის დიდებას შეალია.

მინდა, გაზეთ "24 საათის" საშუალებით, საშვილიშვილო საქმისთვის ულრმესი მადლობა გადავუხადო დეპარტამენტის უფროსს ბატონ დავით ონოფრიშვილს, დირექტორთა საბჭოს წევრებს არჩილ კონცელიძეს, შოთა ქელდიშვილს, რამაზ გიორგაძეს, თენგიზ დონაძეს, აგრეთვე საინვესტიციო პროექტების სააგენტოს დირექტორს ლადო თოდრიას.

მომავალმა თაობამ, რომელსაც, სამწუხაროდ, მწვანე მინდორზე არ უნახავს დიდი მიხეილ მესხი, მხოლოდ უნდა დაგვიჯეროს მისი ტალანტის თაყვანისმცემლებს. დარწმუნებული ვარ, ისინი ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებენ ადამიანს, რომელმაც ფეხბურთი ხელოვნებამდე აიყვანა და დატოვა სახელი, რომელსაც დავიწყება არ უწერია!

GEORGIA ONLINE
8-07 ამერიკა 35 თეთრი
ყველაზე სწრაფი, იაფი და ხარისხიანი მომსახურება

GEORGIA ONLINE
8-07 ევროპა 35 თეთრი
ყველაზე სწრაფი, იაფი და ხარისხიანი მომსახურება

GEORGIA ONLINE
8-07 რუსეთი 35 თეთრი
ყველაზე სწრაფი, იაფი და ხარისხიანი მომსახურება

ინფოთეკა

მოურინიო პორტუგალიის ტელეარხმა გააბრაზა

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ გადაწყვიტა, თანამშრომლობა შეეწყვიტა პორტუგალიის ტელეარხთან SIC. ამ ტელეკომპანიის ეთერში უნდა გასულიყო ყოველთვიური ანალიტიკური გადაცემა ფეხბურთის შესახებ, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მოურინიო იქნებოდა. თუმცა, ბრიტანული გამოცემა The Independent-ის ცნობით, პირველი გადაცემის შემდეგ მწვრთნელმა განაცხადა, რომ ამ პროექტში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

ოფიციალური ვერსიით, რომელიც მწვრთნელის აგენტმა ხორხე მენდიშმა გაახმოვანა, მოურინიოს ეშინია, რომ შესაძლებელია, ჟურნალისტებმა მის თითოეულ სიტყვას შემდგომში არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ.

"ჟოზე ამ გადაცემაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. მას დრო არა აქვს", - აღნიშნა მენდიშმა.

თუმცა, არაოფიციალური ვერსიით, მოურინიო იმიტომ გაბრაზდა, რომ გადაცემა, რომელიც სილაბონის დროით 21:15 უნდა გასულიყო ეთერში, 23:00 გადაიტანეს, რამაც ტელეაუდიტორიის საგრძნობი დავიწროება გამოიწვია. გარდა ამისა, გადაცემის შუაში შეწყდა სატელიტური კავშირი ლისაბონსა და ლონდონს შორის.

ლონდონის "ჩელსის" თავკაცმა პირობა დადო, რომ მასობრივ საინფორმაციო წყაროებთან ურთიერთობას კვალავაც გააგრძელებს, ოღონდ სხვა გზით, მაგალითად, ყოველკვირეული გაზეთის სვეტის მეშვეობით.

ჯერარდი "ლივერპულის" ერთგულია

ლონდონის "ლივერპულის" ნახევარმცველმა სტივენ ჯერარდმა არაერთხელ განაცხადა, რომ თავის გუნდში დარჩენას აპირებს. მისი გადაწყვეტილების დამატებით დასტურად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ ამ დღეებში ფეხბურთელმა უარი თქვა ლონდონში სახლის შეძენაზე.

როგორც ცნობილია, ჯერარდისამდი დიდ ინტერესს ამჟღავნებს ლონდონის "ჩელსი", რომელიც მის შეძენას 30 მილიონ გირვანქა სტერლინგად ვარაუდობს.

"ნიუკასლის" ფეხბურთელები შეიძლება ციხეში ჩასვან

"ნიუკასლის" ნახევარმცველების კირონ დაიერისა და ლი ბოიერის წინააღმდეგ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. მართალია, ფეხბურთელები დისკვალიფიკაციითა და ჯარიმით უკვე დასაჯეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

შეგახსენებთ, ინგლისის პრემიერლიგაში "ასტონ ვილას" (0:3) წინააღმდეგ თამაშის დროს ეს ფეხბურთელები პირდაპირ მოედანზე დაერივნენ ერთმანეთს. ბრიტანეთის პოლიციას საჩივრის წერილით მიმართეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა. ამჟამად მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება.

"ჩელსის" გულშემატკივრები გულთბილად მიესალმნენ კოულს

ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, "არსენალსა" და "ჩელსის" (0:0) შორის მატჩის დროს "არისტოკრატების" გულშემატკივრებმა გულთბილი მიღება მოუწყვეს "მეთოფეთა" ფეხბურთელს ეშლი კოულს. სპეციალურად მომზადებულ პლაკატზე ეწერა: "კეთილი იყოს შენი მოსვლა სახლში".

როგორც ცნობილია, არსებობს იმის ალბათობა, რომ კოული მომავალ სეზონზე "ჩელსიში" გადავიდეს.

აქვე ერთი ინფორმაცია ამ მატჩთან დაკავშირებით.

გაზეთ "სანის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა "ჩელსისთან" მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ახლა უკვე ვეღარაფერი დაუდგება წინ ჟოზე მოურინიოს გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში.

"ვულოცავ "ჩელსის". ეს გუნდი ჩემპიონობის ღირსია. დარწმუნებული ვარ, იგი ეროვნულ ჩემპიონატს მოიგებს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მან ჩემპიონის ტიტული ვერ მოიპოვოს", - განაცხადა "მეთოფეთა" თავკაცმა.

ნედვედმა "იუვენტუსის" დატოვება გადაიფიქრა

იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, "იუვენტუსის" ჩეხმა ფეხბურთელმა პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ თავისი სიტყვები კლუბიდან წასვლის შესახებ უკან მიაქვს.

"იუვენტუსში" დარჩენა გადავწყვიტე. მინდა, რომ კლუბს გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარო. ვფიქრობ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ მექნება. ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ", - განაცხადა ფეხბურთელმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

აინშტაინის წელი - მსოფლიო ფიზიკის წელს აღნიშნავს

რეზო შანიძე

ზუსტად 100 წლის წინ, 1905 წელს, 26 წლის ახალგაზრდამ, რომელიც იმ დროს ბერნის (შვეიცარია) საპატენტო ბიუროს კლერკი იყო, სამი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა. ამ სამმა ნაშრომმა, რომელთაგან ყველაზე ცნობილში ფარდობითობის თეორია იყო ჩამოყალიბებული, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ფიზიკისა და, საერთოდ, მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. ეს ახალგაზრდა ალბერტ აინშტაინი იყო, რომელმაც 1901 წელს დაამთავრა ციურიხის ფედერალური ტექნიკური უნივერსიტეტი. აინშტაინი არ მოხვდა მათ შორის, ვისაც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა თუ მუშაობის საშუალება მიეცა. მისი აკადემიური მაჩვენებლები ამის საშუალებას არ იძლეოდა. შემდგომში ალბერტ აინშტაინი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მეცნიერი გახდა, ხოლო 1905 წელი ფიზიკოსებისთვის ცნობილია როგორც "სასწაული წელი", (annus mirabilis).

სწორედ ამ "სამეცნიერო სასწაულიდან" 100 წლის აღსანიშნავად, გაერთიანებული ერების 58-ე გენერალურმა ასამბლეამ 2005 წელი მსოფლიო ფიზიკის წლად გამოაცხადა. ფორმალურად მსოფლიო ფიზიკის წელი, რომელიც აინშტაინს ეძღვნება და მის სახელს ატარებს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) პარიზში გახსნა, 2005 წლის 13-15 იანვარს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც "ფიზიკა მომავლისთვის" ერქვა. ამ კონფერენციის მუშაობაში მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მონაწილეობდა. მათ შორის ნობელის პრემიის რვა ლაურეატი იყო.

დღევანდელი ცივილიზაცია მეცნიერებისა და მის საფუძველზე აღმოცენებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ცივილიზაციაა. დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია კომპიუტერების, ინტერნეტისა თუ მობილური ტექნოლოგიების გარეშე. თანამედროვე სატრანსპორტო და კომუნიკაციური საშუალებები, ახალი, ხელოვნურად შექნილი მასალები და ბიოტექნოლოგიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შედეგია. დღევანდელ მსოფლიოში ის ქვეყნებია ყველაზე განვითარებული, როგორც სოციალური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რომელთაც განვითარებული მეცნიერება, ტექნიკა და ტექნოლოგიები აქვთ. ამ ქვეყნებში, რომელთა შორის ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია გამოირჩევიან, კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გარეშე. მომავალი ეკონომიური სისტემისთვის ამ ქვეყნებში ახალი ტერმინიც კი გაჩნდა - "ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა" (ცოდნის ეკონომიკა). აინშტაინის წლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ცოდნის მიღების ძირითადი საშუალების - მეცნიერების, განსაკუთრებით კი ფიზიკის, როგორც ბუნებისმეტყველების საფუძვლის პოპულარიზაციაა საზოგადოებაში.

საქართველოში, სამწუხაროდ, მეცნიერების როლი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული. საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებულ სამეცნიერო სისტემას დამოუკიდებელ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილება დღემდე არ განუცდია. ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საბჭოთა (რუსული) სამეცნიერო სისტემის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, ახალ პირობებში არაეფექტური აღმოჩდნენ. ასეთი დაწესებულებები მოწყდნენ იმ სამეცნიერო სკოლებს, რომელთა ჩარჩოებშიც ჩამოყალიბდნენ და რომელთა სამეცნიერო პროგრამებზეც მუშაობდნენ. ამას დაემატა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურო მდგომარეობის გამო მეცნიერების დაფინანსების მკვეთრი შემცირება, რამაც საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების უმრავლესობაში სამეცნიერო პერსონალის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. ყოველივე ამის შედეგად საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა მცდარი და ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან საზიანო აზრი, რომ საქართველოს საერთოდ არ სჭირდება მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა და სამეცნიერო დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ მეცნიერება და განათლება ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილებია და ერთი მათგანის - ამ შემთხვევაში მეცნიერების ჩამორჩენა უეჭველად გამოიწვევს განათლების დონის მკეთრ დაქვეითებას. განათლების რეფორმის გატარება ჩვენს ქვეყანაში დღეს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და მისი წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელი იქნება საქართველოს სამეცნიერო სისტემის მოწესრიგება და განვითარება.

აინშტაინის წელს მეცნიერება და მეცნიერები მთელ მსოფლიოში, ან, უფრო სწორად, მსოფლიოს იმ ნაწილში, რომლის წევრობასაც ჩვენი ქვეყანა ასე ესწრაფვის, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არიან. მრავალი ქართველი მეცნიერის წარმატებული შრომა, ხშირად ურთულეს მატერიალურ პირობებში, ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს აქვს სამომავლო სამეცნიერო პოტენციალი. სწორედ ამ პოტენციალის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენება უნდა დაედოს საფუძვლად მეცნიერების რეფორმას. ქართულმა სახელმწიფომ, ბუნებრივია, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებას და მისი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აყვანას. ეს ინფრასტრუქტურა უმაღლესი განათლების ნაწილი უნდა გახდეს. სხვანაირად დღეს წარმოუდგენელია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზრდა. ახალი სამეცნიერო ინფრასტრუქტურა ძირითადად უკვე არსებული მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ისეთი სამეცნიერო ცენტრების შექმნა, რომლებიც მეცნიერების რამდენიმე დარგს მოემსახურება და რომლებსაც აქვთ პოტენციალი, რეგიონული მასშტაბის, ამ შემთხვევაში, კავკასიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებად გადაიქცნენ. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შემუშავებულია ერთ-ერთი ასეთ რეგიონული ცენტრის პროექტი ("ტანდემი").

ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტის არნახული ზრდა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ამ ცვლილებების ძირითადი აზრი საქართველოს განვითარებულ ქვეყნად გადაქცევაა, როგორც სოციალური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ რთული და ხანგრძლივი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება განვითარებული სამეცნიერო სისტემის ფუნქციონირების გარეშე. მეცნიერება ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ოპტიმალური სახით. ჩვენმა სახელმწიფომ თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი მეცნიერების განვითარებისთვისაც უნდა გამოიყენოს. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების დახმარება ამ მიმართულებით.

აინშტაინის წელი კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ მეცნიერება და მეცნიერები ქართული საზოგადოებისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ მოექცეს. საქართველოს სამეცნიერო სისტემის ოპტიმიზაცია ისეთივე პრიორიტეტული ამოცანა უნდა გახდეს, როგორც განათლების სისტემის რეფორმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლება და მეცნიერება დიდი ინერციის მქონე სისტემებს წარმოადგენს, რომელთა ფუნქციონირება წარმოუდგენელია ქვეყანაში არსებულ სამეცნიერო და პედაგოგიურ სკოლებზე დაყრდნობის გარეშე. სწორედ ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არსებული და წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური სკოლები კი არ დაზარალდნენ, არამედ მეტად გაძლიერდნენ რეფორმების შედეგად, რომ ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს გაძლიერებას შეუწყონ ხელი.

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ [illegible] ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, [illegible] გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

ორშაბათი 25.04

რუსთავი - 2

25.04 07.30 დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ზევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "ტრავმა" მე-3ნ. **00.00** მხ. ფილმი "დაცემული ანგელოზები" (18) (მ. რიჩარდსონი) **02.00** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. 06.55პოლ პოტის საიდუმლო. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** კაბალა. მხ. ფილმი. Мали.2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **03.45** მანჰეტენი უდაბნოში. დოკ. ფილმი. **04.25** მაშველები. ტელესერიალი.

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - მარგარეტ ტეტჩერი **16.30** დოკ. ფილმი "ანდრე ლაბარტი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სამყაროს შექმნა **23.30** მხ. ფილმი "აპოკალიფსი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". კახა ცხადაძე. **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** მუსიკა მზეზე **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** ბალეტი. მიხეილ ლავროვსკი. **23.45** მხ. ფილმი "არამზადა" (15) (როს კემპი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ზაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "მონგოლური ცხენების დაბრუნება" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 04.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაფი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "დაუნჰაუზი" (ფ. ბონდარჩუკი) **03.45** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.35** კომედია "შესისხლხორცებულნი" **12.40** დეტექტივი "რვა ქალი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მუსიკა **15.15** თრილერი "მზის ცრემლები" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ზღვა" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ჩვიდმეტისწლისანი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Владимир Машков в фильме **"ПАПА". 11.10** Искатели. "Под пятой императора". **12.20** Фильм **"ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ: ИМПЕРИЯ НАНОСИТ ОТВЕТНЫЙ УДАР". 14.30** Неизвестная планета. "Марш тысячи самураев". **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Предъявите валюту". **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Марина Александрова в многос. фильме **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 22.40** Спецрасследование. "Таксистская мафия". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Гитлер - архитектор апокалипсиса". **00.30** Егор Бероев в программе "Путешествия "Русского экстрима". **01.00** Пайпер Перабо в комедии **"БАР "ГАДКИЙ КОЙОТ".** Двадцатилетняя Виолет Сэнфорд из провинциального городка Нью-Джерси страстно мечтает стать певицей и исполнять свои собственные песни. Даже природная застенчивая и необъяснимый страх перед освещенной сценой, не могут ее заставить отказаться от своей мечты. Заручившись согласием отца, девушка отправляется в Нью-Йорк. Там она устраивается на работу в одно из самых популярных ночных заведений города - бар "Гадкий койот". Ей везет: ведь хозяйка отбирает только красивых и уверенных в себе девушек с прекрасными манерами. Что ж! Тропинка к цели проложена, и теперь будущее Виолет в ее руках. **02.40** Что? Где? Когда? **03.50** Кристофер Рив в детективе **"ВНЕ ПОДОЗРЕНИЙ".** Полицейский детектив Дэмпси Кейн парализован и прикован к инвалидному креслу. И в последнее время его и без того нелегкая жизнь становится совсем невыносимой. Жена завела роман с его братом Ником, тоже полицейским. Несмотря на пикантность ситуации, парочка прекрасно себя чувствует. Какое-то время Дэмпси подумывает о самоубийстве, но потом на ум ему приходит более интересный план по выходу из надоевшей ситуации.

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: СЕКТОР ОБСТРЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ДЕТИ ПОДЗЕМЕЛЬЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Наталья Антонова в сериале **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.10** Журнал Лиги чемпионов. **01.40** Кэри Мэчетт в фильме **"КУБ-2: ГИПЕРКУБ".** В замкнутом пространстве встречаются семеро незнакомых людей - мужчин и женщин разного возраста, причем никто из них не понимает, как попал сюда. Пространство "играет" с ними в страшные, злые игры, уничтожая и возрождая вновь. К реальности возвращается только одна из семерых. **03.15** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

სამშაბათი 26.05

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "სრულიად არაჩვეულებრივი ამბავი" (გ) **15.25** სერიალი "ზევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა. **22.45** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგა. **03.45** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ნაბატეენის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. 12.15შეხვედრა დრაგონთან. რეჟისორი ელენ ანჟელი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეტამაში. **17.25** დ.დიზაინი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** პოლ პოტის საიდუმლოება. დოკ. ფილმი. **03.25** სანაას სიმღერა. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: აქტუალური თემა.

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ა. ხორავა", "ა. ვასაძე" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (სეიშელი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **19.40** სასამართლო დარბაზებში **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ხელოვნური ადამიანი" **23.00** პროფესიონალი - "პიარ-მენეჯერი" **23.30** მხ. ფილმი "დედუნა" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **14.15** ბალეტი. მიხეილ ლავროვსკი. **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.00** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "უსათაუროდ", "ეტიუდი 6", "მივიწყებული სევილიელი". **00.00** მხ. ფილმი "რესტორანი" (18) (ედიენ ბროდი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ზაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ვეჰემოტის საიდუმლო" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 03.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დაუნჰაუზი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "დავძიროთ მონა" (გ) (დენი დე ვიტო) **01.10** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **02.45** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი **11.35** მხ. ფილმი "მამაცი გული" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "გულთან ახლოს" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** კომედია "ქალიშვილები კალენდარიდან" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "ობობა" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Николай Прокопович в детективе **"ТЕЛОХРАНИТЕЛЬ". 14.00** Док. фильм "Башня для "безбашенных". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Многосерийный фильм **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Осколки "красного фонаря". Дело 2001 г. **19.50** Михаил Жигалов в боевике **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **22.40** Кремль-9. "Дорогой Никита Сергеевич". **1**-я с. **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Рузвельт. Между Сталиным и Гитлером". **00.30** Док. фильм "Железный поток". **01.00** Джеймс Белуши в триллере **"РАЗДВОЕНИЕ ЛИЧНОСТИ".** Полицейский Том Бекуита пережил страшную трагедию. Его жена покончила жизнь самоубийством. Том решил уйти со службы, начал изучать психологию и оказался способным учеником. Его преподавательница Лорен Поттер относится к Тому с большим доверием. Однажды она просит, чтобы Том последил за ней. В детстве она перенесла тяжелую душевную травму. Лорен уверена, что тогда совершила убийство. Вспомнив о своей прежней профессии, Том решает начать собственное расследование этого давнего дела. **02.50** Что? Где? Когда? **04.10** Билл Косби в фильме **"ПАПАША - ПРИЗРАК".** Отец-одиночка Эллиот Хоппер торопится на заключение важной сделки. Садится в такси и погибает в автомобильной катастрофе ... Оказавшись на границе между этим и потусторонним миром, он превращается в призрака. Ему необходимо научиться общаться с людьми и продолжать заботиться о трех детях. Но времени, чтобы уладить земные дела у него очень мало...

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.20** Профессия - репортер. **10.50** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.30** Чистосердечное признание. **14.05** Анатолий Котенев в фильме **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 1**-я с. 1944 год, наши войска наступают по всем фронтам. Обманчиво спокойствие на базе торпедных катеров, где служит старший лейтенант Шубин. Во время одной из вылазок Шубин и его товарищи обнаруживают секретный фарватер вражеских подлодок. Вскоре и сам Шубин оказывается пленником на одной из них. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ДЕТИ ПОДЗЕМЕЛЬЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.35 Футбол.** Лига чемпионов. Полуфинал. **"Милан" (Италия) - ПСВ (Голландия).** Прямая трансляция. **01.00** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 02.05** "Футбольный клуб" **02.45** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

ოთხშაბათი 27.04

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ზევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ვეფხვების მომთვინიერებელი" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა. **22.45** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგა. **03.45** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.50 (შვეიცარია), 03.15(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **07.00** ამაზონის უცნობი ტომები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ბატონი მონდის გაქცევა. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ გორეტა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** გადაცემა: პირადი საუბრები. **24.30** შოაჰ. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ ლანზმანი. **03.35** დამხრჩვალი ქვეყანა. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

პირველი არხი

08.00 "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "ხელოვნური ადამიანი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ზ. ქარუმიძე **16.30** დოკ. ფილმი "შტრაუსი - ვალსის მეფე" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **19.40** "შიდსი მეგობრობით არ გადადის" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **23.00** ახალი პროექტი - "საქართველო და ევროპა" **23.30** კინოსამყარო "სიკვდილით მოვაჭრენი" (15) **02.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "ტაქსის მძღოლი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "პარადამური", "მხოლოდ ხელოვანთა კადრები", "შეტყობინება მთავრობის სახელზე". **00.00** მხ. ფილმი "მატყუარა" (18) (როზანა არკეტი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ზაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 02.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დავძიროთ მონა" (გ) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.30** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "ოქროს თასი" (12) (უ. თურმანი) **02.00** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** კომედია "ნაჯიონალური პოლიტიკის თავისებურებანი" **13.00** თრილერი "შიში ჩ" **14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** "აქტუალური მინიატურები" **15.15** მხ. ფილმი "ნორმალური" **17.55** მულტფილმი **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ცნობილ ჯენტელმენთა ლიგა" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "ლამაზი არსებანი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

ОРТ

